გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
სამშაბათი, 5 ივლისი, 2005 წელი.
№157 (5190)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკად-რისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ერთის შეცდომა თუ მეორის „სისულელე?“



სანამ ერთი უწყების თავკაცი მეორეს, ამ ბოლო დროს ჩვენთან დამკვიდრებული სამწუხარო ტრადიციისამებრ, „ეპითეტებით“ ამკობს, „მონადირეს“ ორი აქლემის ჭიდილში გაჭყლეტილი კოზაკივით მოსდის.

ამ საკითხთან დაკავშირებით დავა, ალბათ, გაგრძელდება. ერთი რამ კი ცხადია: ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ ხელისუფლებაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს. თავად კოდორის მოსახლეობის შეფასებით კი ეს შეცდომა ხეობის უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემას უქმნის.

იხ. მე-2 გვ.

## ანონსი




CONFORMIS – ამ ლათინური ტერმინის ხსენება წესიერ ადამიანებში უხერხულობის გრძნობას იწვევს. უცნაური არაფერია, რადგან კონფორმიზმი რომელიმე პიროვნებისადმი, პოლიტიკური ძალისადმი შეგუებას, უკრიტიკო დამოკიდებულებას, საბოლოოდ, ამ ძალისადმი ნებაყოფლობით სამსახურს ნიშნავს.

უხერხულობის და სირცხვილის შეგრძნება კი ოდესღაც საკუთარი სინდისის წინააღმდეგ მოქმედებით არის გამოწვეული.

არსებობენ აქტიური და პასიური კონფორმისტები. აქტიურია, ვინც აშკარად იცავს და ემსახურება დროებით გაბატონებულ ანტისაზოგადოებრივ, ანტისახელმწიფოებრივ ან დანაშაულებრივ ძალას. პასიურია, ვინც ფორმალურად არ ემსახურება, მაგრამ თავისი უმოქმედობით ეხმარება და აქეზებს მას.

გსურთ გაიგოთ, როგორნი არიან ამჟამინდელი ცალკეული ქართველი კონფორმისტები და რამდენად არის გავრცელებული კონფორმიზმის სენი ჩვენს ყოველდღიურობაში? – წაიკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ხვალინდელ ნომერში თემურ ქორიძის სტატია CONFORMIS.

### ⊙ პრეზიდენტი

## ახალი კაბინეტი – ტექნიკურ უნივერსიტეტში

გუშინ საღამოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწვია, სადაც ტრაგიკულად დაღუპული გუბერნატორის ბეჟან (ჟანი) კალანდაძის სახელობის კაბინეტის გახსნას დაესწრო.

უნივერსიტეტში პრეზიდენტმა გააკეთა რამდენიმე განცხადება, რის შესახებაც ვრცლად ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ.



## დაუცველი „თავდამცველები“



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი შენობიდან ამერიკელი სამხედრო ექსპერტების კაბინეტები გაძარცვეს. წაღებულია საოფისე ტექნიკა. ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა. გაზეთის ცნობით, ქურდობა სავარაუდოდ 24-25 ივნისის ღამით მოხდა. მძარცველებმა ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე თავდაცვის სამინისტროს ყოფილ შენობაში ოთხი ოთახი გაძარცვეს. გაიძარცვა მე-8 სართულზე მდებარე ამერიკელ სამხედრო წარმომადგენელთა ჯგუფ „ოდისის“ კაბინეტი და მე-4 სართულზე, სამხედრო მრჩეველთა ჯგუფ „კუბიკის“ ოთახი. წაღებულია რამდენიმე ნოუტ-ბუქი, გატეხილია სეიფები და მოპარულია მნიშვნელოვანი რაოდენობის თანხა.

არსებული მონაცემებით, დაახლოებით სამი კვირის წინათ, ანუ მაშინ, როდესაც თავდაცვის უწყება ჯერ კიდევ ძველ ოფისში იმყოფებოდა, სამინისტროს შენობაში საღამოს საათებში სამი პირი ოფიციალურად, საშვებით შევიდა და მესამე სართულზე მდებარე საფინანსო სამმართველოს ოთახების გატეხვა დაიწყო. დამნაშავეებმა ხმაურზე გამოსული ოფიცერი ჯერ სცემეს, შემდეგ გაკოჭეს და მიიმალნენ.

თავდაცვის სამინისტროს აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია. თუმცა, მომხდარს ადასტურებს.

ინტერპრესნიუსი

„სრ“ რედაქციისაგან: გუშინ საღამოს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ეს ინფორმაცია უარყო.

## ფრთხილად, ქართველნო!



შიშმა შეიძლება ადამიანები აიძულოს, ესა თუ ის მითითება შეასრულონ, მაგრამ იგივე შიში მათ ხელს უშლის წინსწარდასახულობისკენ, მიზნისკენ სიარულში. შიში არ შეიძლება გახდეს წესიერად მოწყობილი საზოგადოების სული, იგი წესრიგს კი არ ქმნის, არამედ ქაოსს ფარავს. ქართულ საზოგადოებაში ამჟამად შიშმა დაისადგურა ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ის, რასაც დღეს შეიძლება მიაღწიოს ხელისუფლებამ შიშის დათესვით, ხვალ ხელს შეუშლის უფრო დიდი მიზნის გადაწყვეტაში.

იხ. მე-3-4 გვ.

### ⊙ ინფორმაცია

## რეფორმა – სიცოცხლის ფასად

საუნივერსიტეტო რეფორმით აღშფოთებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები დიდი ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადებასა და ხელისუფლების გადაყენებაზე საუბრობენ. 4 ივლისს დილით ცნობილი გახდა, რომ არქეოლოგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკმა თამარ კეკელიძემ, რომელიც უნივერსიტეტში ხელფასის ასაღებად მივიდა, სალაროსთან გაიგო, რომ უნივერსიტეტის თანამშრომელი აღარ იყო და შესაბამისად, ხელფასს ვეღარ მიიღებდა, იგი გულის შეტევით გარდაიცვალა.

– თამარ კეკელიძე არის პირველი მსხვერპ-



ლი უნივერსიტეტის იმ თანამშრომლებს შორის, რომლებიც თსუ-ში დაწყებულ არაადამიანურ წმენდაში მოჰყვნენ, – განაცხადა გუშინ უნივერსიტეტში გამართულ პრესკონფერენციაზე ისტორიის კათედრის პროფესორმა ნესტან კირთაძემ.

საოლქო სასამართლომ კი სამართალწარმოებაში მიიღო ნესტან კირთაძის სარჩელი, რომლის მოპასუხეც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იქნება. ნესტან კირთაძე მოითხოვს პრეზიდენტის იმ ბრძანებულების გაუქმებას, რომლითაც უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო გაუქმდა.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა დაუმორჩილებლობის კომიტეტი დღეიდან საპროტესტო აქციებს განაახლებს. მათი მოთხოვნა უცვლელია: უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელთა ნაწილი პრეზიდენტ სააკაშვილის 8 ივნისის ბრძანებულების გაუქმებას მოითხოვს, რომლის ძალითაც, მათივე მტკიცებით, უნივერსიტეტი გაუქმდა.

## სასამართლო პროცესები გადაიდო

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გუშინ ორი პროცესი უნდა ჩატარებულიყო, თუმცა სასამართლო დარბაზსა და ფოიეში მომხდარი არეულობის გამო ორივე პროცესი გადაიდო. პირველ პროცესში სისხლის სამართლის საქმე განიხილებოდა, რომელიც ერთი წლის წინათ ზუგდიდში მომხდარ მკვლელობას უკავშირდებოდა. ირაკლი ფიფიას მკვლელობაში ეჭვმიტანილ დავით ქორთუას სასამართლო დარბაზში გარდაცვლილის ახლობლებმა სხვადასხვა საგნები ესროლეს, რის შემდეგაც ბადრაგმა პატიმარი სასამართლო დარბაზიდან სასწრაფოდ გაიყვანა. მოსამართლემ პროცესი გადადო.



რაიონული სასამართლოს შენობის ფოიეში კიდევ ერთი ჩხუბი მოხდა დაზარალებულებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის. მესტიის რაიონის სასამართლოს გამსვლელ სხდომას, რომელიც ზუგდიდის რაიონში უნდა ჩატარებულიყო, უნდა განეხილა ორი წლის წინათ მესტიის რაიონის სოფელ ნაფიჩხოვში მომხდარი მკვლელობის საქმე. სოფელ ნაფიჩხოვში ერთ-ერთი მწყემსი მოკლეს, რომლის ახლობლებსა და მკვლელობაში ეჭვმიტანილის ნათესავებს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. სიტუაციის განმუხტვა სასამართლოს შენობაში გამოძახებულმა სამართალდამცველებმა შეძლეს.

ინტერპრესნიუსი

### ⊙ საზღვარგარეთ

ეუთო კრახის პირასაა მისული: იგი არავის არ სჭირდება. დასავლეთის მთავრობები ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას ტვირთავენ იმ ფუნქციე-




ბით, რომლებიც მისთვის არ არის დამახასიათებელი. რუსეთი ეუთოში სამუშაოდ გზავნის დიპლომატებს, რომლებსაც არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, დიქტატორული რეჟიმები კი უბრალოდ, უგულებელყოფენ ამ ორგანიზაციას.

* * *

კალინინგრადში 3 ივლისს გამართულ შეხვედრაზე საფრანგეთის და გერმანიის ლიდერებმა აცნობეს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, რომ ევროკავშირის გაფართოების სა-



კითხი არის ამ ბლოკის საშინაო საქმე და არა რუსეთის ფედერაციისა. მოსკოვი შეშფოთებულია აღმოსავლეთის მიმართულებით ევროკავშირის გაფართოებისა და ამ ორგანიზაციაში უკრაინის და საქართველოს გაწევრიანების გამო, მიაჩნია „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნს“.

* * *

ერაყში ინტერვენციის გამო უთანხმოების მიუხედავად, პარიზში მოქმედებს საიდუმლო ოპერაციათა დაგეგმვის ამერიკა-საფრანგეთის ერთობლივი ცენტრი. ამ ორი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს ერთმანეთთან საუკეთესო ურთიერთობა აქვთ და ერთობლივად გეგმავენ საიდუმლო ოპერაციებს. როგორც შეერთებულ შტატებს, ისე საფრანგეთს ჩინებულად აქვთ შეგნებული, რომ ტერორიზმი მთელი მსოფლიოს მტერია.

* * *

ინდოეთში განხორციელდა თავდასხმა ჯამუსა და ქიშმირის შტატის ორ მინისტრზე. მოთარეშეებმა გზაზე დადეს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ამოქმედდა მინისტრთა კორტეჟის გამოჩენამდე რამდენიმე წუთით ადრე. აფეთქების შედეგად დაიჭრა პოლიციის ექვსი თანამშრომელი.

## რახან ფულს ვიხდი, ბარემ ჩოლოყაშვილი გავხდები

თუ კაცმა საკუთარი გვარის გამოცვლა განიზრახა, ის უბრალოდ გვარს არ აირჩევს, იტყვის – ფულს ვიხდი და ცუდ გვარს ხომ არ ავირჩევო?! მაგრამ გვარიშვილობას დამსახურება უნდა, კაი ქართველობით მოპოვება სჭირდება. იქნებ იმის უფლება მაინც მოგვცენ, რომ თუ ვინმეს ჩემი გვარის მიღება მოუნდა, მოვიდეს და ჩვენი გვარიშვილების თანხმობის შემთხვევაში მიიღოს ამისი უფლება.

იხ. მე-3 გვ.

ვის გინდათ გორგასალობა?



## როგორ მოვიკლათ წყურვილი?



ექიმების აზრით კი, 6-7 წლამდე ბავშვებისთვის საერთოდ არ არის მიზანშეწონილი გაზიანი სასმელები, რადგან ის კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებს, ბერავს ნაწლავებს, რაც მუცლის არეში ტკივილს იწვევს. ზოგჯერ შეიძლება გავახაროთ ბავშვები მცირეოდენი გაზირებული სასმელით, 3 წლამდე ბავშვებისთვის კი მისი მიცემა ნამდვილად არ შეიძლება.

იხ. მე-3 გვ.

## სულიერ მარტოობაში ისევ და ისევ მამის სული მიმიძღვის გზამკვლევად



„ახლა რომ ასე მოვკვდე, რას იტყვიან ჩემზე?.. – გაიფიქრა X-მა. – ღმერთო, ამას როგორ არ ვუფიქრდებოდი აქამდე! მთავარია არა ის, თუ როგორ იცოცხლე სიკვდილამდე, არამედ როგორ იცოცხლებ სიკვდილის შემდეგ. როგორი სახით შერჩები მარადისობას... რა კარგია, რომ ეს გავიგე. ეს ხომ ძალიან მნიშვნელოვანია. რა კარგი იქნება, რომ შემეძლოს ეს სხვებსაც შევატყობინო, ყველას, მთელ ქვეყნიერებას ვუთხრა ეს...“

ეს სიტყვები ერთ საოცრად კარგ ქართველს, გამოჩენილ ხელოვანს ეკუთვნის და ისინი მკითხველებს მისმა შვილმა გაგვაცნო. კონკრეტულად ვისზეა საუბარი? ამის გასაგებად

იხ. მე-6 გვ.



## ზედმეტმა ქებამ პატრულსაც ხომ არ აწყინა?

ერთი ცოლ-ქმრის ჩხუბს, რომელიც ქართული ანდაზის მიხედვით მართალი მხოლოდ რეგვენს ეგონა, შეიძლება პოლიციელიც გადაჰყვეს, პროკურორიც, გამომძიებელიც, იზოლატორის უფროსიც, მოსამართლეც. რა ამბავია? რა ამბავია და...

იხ. მე-2 გვ.

## დაპირება დაპირებად დარჩა

პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად 2005 წლის 1 ივლისიდან მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმს გაუტოლდებოდა. კანონი პრეზიდენტის ბრძანებით ძალაში 1 ივლისიდან შევიდოდა. ხელფასი როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში 200 ლარი გახდებოდა.

„წინ საქართველოს“ ლიდერები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ დაპირება დაპირებად დატოვა.

იხ. მე-2 გვ.

### ⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## რუსი და ქართველი დეპუტატების დაპირისპირება ვაშინგტონში

ვაშინგტონში გახსნილი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მე-14 ყოველწლიური სესია ერთბაშად ორი კონფლიქტით აღინიშნა, რომელთაგან ერთ-ერთს სკანდალიც კი შეიძლება ვუწოდოთ. დაპირისპირება მოხდა რუსეთის და საქართველოს დელეგაციებს შორის. უფრო სწორად კი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ლუბოვ სლისკას და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შორის.

ყველაფერი დაიწყო ქართველი კანონმდებლების შაბათის გამოსვლით, რომლებმაც მოუწოდეს ეუთოს, ყურადღება მიაპყროს იმას, რომ „რუსეთი არასათანადოდ აქტიურობს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში“. ამის პასუხად, რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ლუბოვ სლისკამ განაცხადა, რომ საქართველო გადიდებულმა ამბიციებმა შეიპყრეს. „ჩვენ ამას უბრალოდ უნდა შევეჩვიოთ და არანაირი ყურადღება აღარ მივაქციოთ, – თქვა მან სხდომებს შორის შესვენების დროს. – ჩვენ რა, ისეთ გუბერნიასთან, როგორიც არის საქართველო თავისი 2,5 მილიონი მოსახლეობით, ისევე ხომ არ უნდა გავარკვიოთ ურთიერთობა, როგორც დიდ და სერიოზულ სახელმწიფოსთან?“ „გულახდილად რომ ვთქვათ, არ ველოდი, თუ ქალბატონი სლისკა ასეთი თვალით უყურებს სუვერენულ სახელმწიფოებს, – თქვა ამის პასუხად ნინო ბურჯანაძემ. – როცა მე მას შევხვდი, მისი შეხედულებები სულ სხვაგვარი იყო, გაცილებით უფრო დემოკრატიული. მას მიაჩნდა, რომ ყველა სახელმწიფო, დიდი თუ პატარა თანასწორია“.

მეორე კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნა სესიაზე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც აღნიშნა, რომ 1 აგვისტოს სრულდება ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელმოწერის 30 წლისთავი. ეს ის დოკუმენტია, რომელმაც მონიშნა საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები და ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტის გზები. „სამწუხაროდ, ეუთოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა, განსაკუთრებით კი ბელორუსია და უზბეკეთი, არ ასრულებენ ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პატივისცემისთვის ნაკისრ ვალდებულებებს, – თქვა რაისმა. – ისინი უარს აცხადებენ ეუთოს დახმარებაზე და აღნიშნავენ, რომ ეს მათ საშინაო საქმეებში ჩარევაა. ეს მცდარი ბრალდება იყო საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში და მცდარია ახლაც“. „როგორც ჩანს, ამერიკელებს არ მოსწონთ ბელორუსიაში არსებული ის სტაბილურობა, რომლითაც ვერ გამოირჩევა მრავალი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, – განაცხადა ამის პასუხად ბელორუსიის დელეგაციის წარმომადგენელმა. – ჰოდა, ისინიც პოულობენ საბაბს შარის მოსადებად“.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესია 5 ივლისამდე გასტანს. დეპუტატები მიიღებენ შემაჯამებელ დეკლარაციას, რომელშიც აღნიშნული იქნება აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის, ანტისემიტიზმის, სიტყვის თავისუფლების პრობლემები. თუმცა, დოკუმენტს სარეკომენდაციო ხასიათი ექნება.

გიორგი ილინი

ИЗВЕСТИЯ

ოპოზიცია

# დაპირება დაპირებად დარჩა

**მოძრაობა „წინ საქართველოს“ ინიციატივით თავისუფალი აზრის დარბაზში მორიგი შეხვედრა გაიმართა. საუბრის თემა მეტად მტკივნეული და ჯერჯერობით მოუგვარებელი შეარჩიეს — საარსებო მინიმუმი დღევანდელ საქართველოში.**

ხშირად ამბობენ, ოპოზიცია ხელისუფლების მოქმედებას უსაფრდება, რაიმე შეცდომის შემთხვევაში უცებ აყვირდებიან და თემით მანიპულირებას იწყებენო. ზოგჯერ, ალბათ, ესეც საჭიროა. თუმცა, გუშინდელ შეკრებაზე „წინ საქართველოს“ ლიდერების მიზანი საქართველოში არსებული რეალური სურათის დახატვა, ხელისუფლების დასანახად პრობლემების წინ წამოწევა იყო.

გაიხსენეს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ 2003 წლის ნოემბრის არჩევნების მთავარ ლოზუნგად ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი საარსებო მინიმუმის დაცვა გამოაცხადა... მისივე ინიციატივით პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად 2005 წლის 1 ივლისიდან მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმს გაუტოლდებოდა. კანონი პრეზიდენტის ბრძანებით ძალაში 1 ივლისიდან შევიდოდა, ხელფასი როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში 200 ლარი გახდებოდა. მაგრამ, როგორც „წინ საქართველოს“ ლიდერები ამბობენ, ხელისუფლებამ დაპირება დაპირებად დატოვა.

„წინ საქართველოს“ წარმომადგენლებისთვის ცნობილი გახდა, რომ ეს კანონი 2008 წლის 1 იანვრამდე არ ამოქმედდება. მოტივი ასეთია — ხელისუფლება ვერ მოახერხებს მის აღსრულებას. სწორედ ამგვარი გადავადების გამო თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ კანონში ცვლილებები უნდა შევიდეს, რომელიც პენსიონერებზე და სტიპენდიანტ სტუდენტებზეც გავრცელდება, მათთვის განკუთვნილი თანხა საარსებო მინიმუმს უნდა გაუტოლდეს. მისი თქმით, შესწორება შესატანია თანხასთან დაკავშირებითაც, რადგან საარსებო მინიმუმად ხელისუფლება 115 ლარს მიიჩნევს. არადა, დამოუკიდებელი ექსპერტების გამოთვლით, ეს თანხა 250 ლარს შეადგენს. წინა წლებისგან განსხვავებით, ცხოვრება 3-4-ჯერ გაძვირდა.

„მეცნიერებთან, არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, მოსახლეობასთან ერთად, ხელისუფლების მიერ უკვე მიღებული კანონებისა და გადაწყვეტილებების კონტროლს ვიწყებთ. რეალური დემოკრატია არის ის, როცა ხალხი აკონტროლებს ხელისუფლებას, თუ როგორ ასრულებს იგი ნაკისრ მოვალეობას, სად და რაში იხარჯება ხალხის ფული — ქვეყნის ბიუჯეტი“, — ამბობენ მოძრაობის ლიდერები.

ამ საკითხებს „წინ საქართველოს“ წევრები მომავალი თვეების განმავლობაში შეისწავლიან, მანამდე კი პარალელურად, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელსაც შეიტანენ.

შეხვედრაზე განათლების რეფორმით აღშფოთებული პროფესორებიც გამოვიდნენ. მათი თქმით, უნივერსიტეტში დაწყებული საკადრო პოლიტიკა სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც გაგრძელდება. თქვეს, რომ სადღეისოდ ცუდი მდგომარეობაა საავადმყოფოებშიც. იმ თანხით კი, რაც სახელმწიფომ ქალაქის ჯანდაცვის სამმართველოს რემონტს დაახარჯა, შეიძლებოდა რამდენიმე საავადმყოფოს გარემონტება. ამ სფეროში არსებული სატკივარი გაცნობიერებული აქვთ პროფესორ-მასწავლებლებს და სიტუაციის მოგვარებას თავადვე ცდილობენ. „მედიკოსთა და პაციენტთა ღირსების დაცვის ასოციაციამ“ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც მედიცინას ჩიხიდან გამოიყვანს. ასოციაციის თავმჯდომარის აკადემიკოს სულხან ქემოკლიძის თქმით, ჯანდაცვაში ამ პოზიტიური რეფორმის განხორციელებას ძალისხმევას არ აკლებენ ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. მათი მონდომების მიუხედავად, რეფორმა სიძნელეებს მაინც აწყდება იმ ძალების მხრიდან, რომლებიც ამ სისტემაში წინა ხელისუფლების მემკვიდრეები არიან.

ოპოზიცია, იცოცხლეთ, კარგი რამაა, როცა მის სიტყვას შედეგები მოაქვს. რას მოგვცემს „წინ საქართველოს“ გამოცოცხლება? ჯერჯერობით არავინ იცის...

**ლელა ხვადაგიანი**

აქტუალური თემა

# ერთის შეცდომა თუ მეორის „სისულელე“?

**გავრცელებული ხმები აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შესაძლო დაშლის შესახებ, არ დასტურდება. უბრალოდ, საუბარია ამ სტრუქტურის რეორგანიზაციაზე, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის მთავრობა ძირითადად ჯანდაცვის, კულტურისა და განათლების საკითხებით დაკავდება, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში კი ფედერალური სტრუქტურა შეიქმნება, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, როგორც ამბობენ, რეალურ პოლიტიკას გაატარებს.**

კონკრეტულად რა იგულისხმება რეალურ პოლიტიკაში, ძნელი სათქმელია. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, ერთიანი სამინისტროს შექმნა იგეგმება. სავარაუდოდ, ახალი უწყების ხელმძღვანელად აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია მოიაზრება.

საპარლამენტო კულუარებში ახალი, სპეციალიზებული სტრუქტურის შექმნას სხვადასხვაგვარად განიხილავენ. დეპუტატების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ინიციატივა, შესაძლოა, საზოგადოებამ ცუდად გაიგოს, ანუ იგი ქართული მხარის მიერ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ლიკვიდაციის მზადებად შეფასდეს. ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, ფედერალურ დონეზე აფხაზეთის საკითხზე მომუშავე სტრუქტურის შექმნა დევნილი ხელისუფლების ლეგიტიმურ სტრუქტურებს უფუნქციოდ ხომ არ დატოვებს? პროექტის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ ამგვარ ვარიანტს არც ცენტრალური ხელისუფლება და არც აფხაზეთის მთავრობა არ განიხილავენ.

ამ სიახლესთან დაკავშირებით სხვა კითხვებიც ჩნდება. კერძოდ, ახალი სტრუქტურა დღის წესრიგში ხომ არ დააყენებს კონფლიქტების დარგში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის, ასევე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არსებობის მიზანშეწონილობას? ინტერესთა კონფლიქტი გამორიცხული არ არის. ცხადია, სტრუქტურული რეფორმა უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. კონკრეტულად ეს ყველაფერი, როგორც ამბობენ, სექტემბრისთვის გადაწყდება. მანამდე კი ხელისუფალთა ინტერესების კონფლიქტში ქვედანაყოფი „მონადირე“ მოექცა.

მოგეხსენებათ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კოდორის ხეობაში ერთადერთ ქართულ შეიარაღებულ ფორმირებას ბატალიონ „მონადირეს“ ლეგიტიმურობა ჩამოართვა. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია თვლის, რომ ეს შეცდომა იყო. ამ დღეებში, აფხაზეთის მთავრობის სესიაზე ირაკლი ალასანიამ კოდორის ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფის აღდგენის შესახებ განცხადება გააკეთა. მისი შეფასებით, თავის დროზე აღნიშნული სამხედრო დანაყოფის გაუქმება შეცდომა იყო და მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კოდორის ხეობაში მცხოვრები 300-მდე ადამიანისგან ქვედანაყოფი ხელახლა დაკომპლექტდეს.

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ალასანიას ამ განცხადებას „სისულელე“ უწოდა. მინისტრი აცხადებს, რომ „მონადირე“ არ აღდგება და თავდაცვის სამინისტროს საქმეებში ჩარევა ალასანიას კომპეტენცია არ არის.

ამ საკითხთან დაკავშირებით დავა, ალბათ, გაგრძელდება. ერთი რამ კი ცხადია: ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ ხელისუფლებაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს. თავად კოდორის მოსახლეობის შეფასებით კი ეს შეცდომა ხეობის უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემას უქმნის.

**მზია გელენავა**

ინფორმაცია

## კახელი რეზერვისტების მზადყოფნის მაღალი დონე

**ყვარლის** რაიონის სოფელ შაქრიანის მიმდებარე ტერიტორიაზე ეროვნული გვარდიის კახეთის რეზერვისტთა მომზადების მე-14 ბატალიონი მესამე კვირაა წვრთნებს გადის. 250-მდე რეზერვისტი 4 ივლისს სასროლეთზე შეიკრიბა და საბრძოლო მომზადების კიდევ ერთი ეტაპი გაიარა. გათამაშდა ინსცენირება, რომელიც თავდამსხმელის განადგურებას ისახავდა მიზნად. პირობითი დივერსიული ჯგუფის განადგურებისას გამოყენებულ იქნა ნამდვილი საბრძოლო ვაზნები და ყუმბარმტყორცნები.

ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობამ წვრთნების დასრულების შემდეგ შეაჯამა რეზერვისტთა საბრძოლო მომზადება. კერძოდ, ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსმა მურთაზ გუჯეჯიანმა დადებითად შეაფასა რეზერვისტთა საბრძოლო მომზადების დონე.

შაქრიანის რეზერვისტთა ბანაკი დაკომპლექტებულია კახეთის რვავე რაიონიდან გამოწვეული რეზერვისტებით. 7 ივლისს დაგეგმილია ბანაკის დახურვა, რომელშიც, სავარაუდოდ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მიიღებს მონაწილეობას.

## უზენაესი სასამართლოს ახალი პროექტი



**ნებისმიერი** ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გაცნობა უახლოეს მომავალში სპეციალურ ვებ-გვერდზე იქნება შესაძლებელი. ამ პრაქტიკის დანერგვას უზენაესი სასამართლოს მიერ ინიცირებული ახალი პროექტი ითვალისწინებს, რომელიც განსახილველად რეფორმების და განვითარების ფონდს წარედგინა. სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული ვერსიის გაცნობა ჯერჯერობით მხოლოდ უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზეა შესაძლებელი, სხვა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მიღება კი მოქალაქეებს, მხოლოდ ადგილზე მისვლის შემდეგ შეუძლიათ.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მოქალაქეს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაცნობა კომპიუტერის საშუალებით შეეძლება. ვებ-გვერდზე სასამართლოს გადაწყვეტილებები ისე იქნება განლაგებული, რომ სასურველი ინფორმაციის მოძიება არა მხოლოდ იურისტებს, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც არ გაუჭირდეთ. პროექტის თანახმად, პირველი ინსტანციის მოსამართლეებს საშუალება ექნებათ ვებ-გვერდზე გაეცნონ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკვე გამოტანილია მსგავსი შინაარსის საქმეებზე.

## ცემა-ტყეპა მაინც ვერ მოიშალეს...

**ევროპის** წამების საწინააღმდეგო კომიტეტი საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მნიშვნელოვან დარღვევებზე მიუთითებს. არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ინიციატივით წარმართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების კამპანიის შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნებაზე. ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა საქართველოში წამების მდგომარეობის შესახებ მეორე ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 2004 წლის მაისამდე პერიოდს მოიცავს.

ორგანიზაციის ინფორმაციით, ანგარიშში ნათქვამია, რომ კომიტეტი გამოთქვამს წუხილს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში პროგრესის არარსებობის გამო და მიუთითებს, რომ ციხეებში არსებული სავალალო მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს არღვევს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში განმარტავენ, ანგარიშში მოცემული მწვავე კრიტიკა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი რეაგირებისკენ მოუწოდებს.

## იმატა შიდსით დაავადებულთა რიცხვმა

**ინფექციური** პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნულ ცენტრში აივ-ინფიცირებულთა რაოდენობამ იმატა.

როგორც შიდსის ცენტრში განაცხადეს, 2005 წლის ექვსი თვის განმავლობაში აივ-ინფექცია შიდსის 102 შემთხვევაა დარეგისტრირებული, მაშინ, როდესაც 2004 წლის განმავლობაში მხოლოდ 70 შემთხვევა იყო აღრიცხული.

ივნისში აივ-ინფექცია შიდსის 23 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. აქედან 13 პირი ნარკოტიკების მოხმარების გზით, 5 — ჰეტეროსექსუალური, 4 — ჰომოსექსუალური გზით დაავადდა. ინფიცირებულთაგან 18 მამაკაცია და 5 ქალი. მათი უმრავლესობა თბილისის მკვიდრია, დანარჩენი კი სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებზე ნაწილდება. ინფიცირებულთა ასაკი 30-35 წელია.

## აკრძალვა კვლავაც ძალაშია

**ლისის** ტბაზე, წლეულს, ზაფხულის განმავლობაში ბანაობა კვლავ აკრძალულია.

თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მონაცემებით, ლისის ტბაზე წყალი სერიოზულად არის დაბინძურებული, რის გამოც იქ ბანაობა კატეგორიულად იკრძალება. რაც შეეხება დედაქალაქის სხვა წყალსაცავებს — კუს ტბას, თბილისის ზღვას ასევე მდინარე ვერეს სპეციალისტთა შეფასებებით იქ შედარებით კარგი მდგომარეობაა და ბანაობა დასაშვებია.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## გეკუთვნის, მაგრამ... არ გეკუთვნის

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის რუსუდან ლორთქიფანიძის მტკიცებით, უნივერსიტეტიდან არც ერთი მეცნიერ-თანამშრომელი არ გათავისუფლებულა. თუმცა, რეფორმის ფარგლებში უნივერსიტეტს მრავალი თანამშრომელი რომ დატოვებს, ამას ლორთქიფანიძე არ უარყოფს.

საუნივერსიტეტო ვნებათაღელვასთან დაკავშირებულ საკითხებზე განმარტებების გასაკეთებლად გუშინ, ლორთქიფანიძემ თანაგუნდელებთან ერთად სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, აჟიოტაჟი პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან მათი არაინფორმირებულობით იყო გამოწვეული. ლორთქიფანიძის განცხადებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის წარმომადგენლები, რომლებიც, ამჯერად საქართველოს განათლების სამინის-



ტროს ექვემდებარებიან, საგრანტო სისტემით დაფინანსდებიან. ხოლო მათ, ვინც სამინისტროდან გრანტი ვერ მიიღო, ანაზღაურება ერთი წლის ვადით სტიპენდიის სახით დაენიშნებათ.

რაც შეეხება უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილს, აქ თანამშრომელთა შერჩევა კონკურსის წესით მოხდება. ლორთქიფანიძე ადასტურებს, რომ კონკურსის პირობებს ყველა აკადემიური კადრი ვერ დააკმაყოფილებს, თუმცა მათ სანუგეშოდ აცხადებს, რომ სოციალური დაცვის გარანტიების გარეშე, თანამდებობას უნივერსიტეტის არც ერთი თანამშრომელი არ დატოვებს. კონკურსი იურიდიულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე უკვე დაიწყო.

## მრეწველობის სტატისტიკური ანარეკლი

**საქართველოში** პროდუქციის 78,5 პროცენტს მსხვილი საწარმოები აწარმოებენ. როგორც სტატისტიკის დეპარტამენტში განაცხადეს, 2005 წლის იანვარ-მაისში მსხვილ საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მოცულობამ 1377,9 მლნ. ლარი, ანუ სამეწარმეო სფეროს პროდუქციის მთელი მოცულობის 78,5 პროცენტი შეადგინა. 2004 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ, 2 პროცენტით შემცირდა. მთლიანად, ქვეყანაში გამოშვებული პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთელმა მოცულობამ ფაქტობრივ ფასებში, დღგ-სა და აქციზის გარეშე, 1754,4 მლნ. ლარი შეადგინა, აქედან, იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებში - 1714,2 მლნ. ლარი, ანუ მთელი გამოშვებული პროდუქციის 97,7 პროცენტი.

სამეწარმეო სფეროს მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიერ (ინდივიდუალური საწარმოების ჩათვლით) გამოშვებული პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) საერთო მოცულობიდან 42,9 პროცენტი (753,5 მლნ. ლარი) მრეწველობის საწარმოებზე მოდის, 29,8 პროცენტი (522,2 მლნ. ლარი) — ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, 8,5 პროცენტი (148,8 მლნ. ლარი) — ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის, 7,6 პროცენტი (132,8 მლნ. ლარი) — მშენებლობის საწარმოებზე.

**ინტერპრესნიუსი**

ტარიფი

## გაზს გაგვიძვირებენ?



**რუსეთმა საქართველოს, ესტონეთს, მოლდოვას, ლიტვასა და უკრაინას შესაძლოა ბუნებრივი გაზი გაუძვიროს.**

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან აღნიშნული ქვეყნებისთვის ბუნებრივი გაზის საფასურის გაზრდას და მის საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას ითხოვს. შესაბამისი მოთხოვნით საპარლამენტო ფრაქცია „ედინაია რასიამ“ უკვე მიმართა რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხეილ ფრადკოვს.

„ედინაია როსიას“ ამ ინიციატივას მხარს უჭერს რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიაც, რომელიც დამატებით იმ დავალიანებების სასწრაფო წესით დაფარვასაც ითხოვს, რომელიც რუსეთის მიმართ რუსული გაზის იმპორტიორ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს დაუგროვდა.

ფაქტი

## ქართულ-აფხაზური შეხვედრა გადაიდო

**საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის თბილისის ოფისში ხვალისთვის დაგეგმილი ქართულ-აფხაზური შეხვედრა, ქართული მხარის მოთხოვნით გადაიდო და იგი, სავარაუდოდ, 21 ივლისს გაიმართება.**

ამის შესახებ, სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს. თბილისში დაგეგმილ შეხვედრაზე მხარეებს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ომის განუახლებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე უნდა ემსჯელათ. 21 ივლისის შეხვედრაზე ქართულ მხარეს, სავარაუდოდ, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, აფხაზურ დელეგაციას კი აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა უხელმძღვანელებენ.

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ომის განუახლებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების საკითხებზე მხარეთა კონსულტაციები 2002 წლიდან მიმდინარეობს. ამ თემაზე მორიგი შეხვედრის თბილისში ჩატარება 2005 წლის აპრილში, ჟენევაში, გაეროს ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა. სერგეი შამბას თქმით, კონფლიქტის ზონაში ომის განუახლებლობის საერთაშორისო გარანტიებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, სოხუმი თბილისის წინაშე კატეგორიულად აყენებდა აფხაზეთის საზღვაო აკვატორიის უსაფრთხოების გარანტიებისა და საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურის მიერ „აფხაზეთის საზღვაო წყლებში“ თურქული გემების დაკავების ფაქტების აღკვეთის საკითხს.

**ინტერპრესნიუსი**

სოფელი

## გლეხებს შრომა გაუადვილდებათ

**კახელმა გლეხებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან ყურძნის გადამმუშავებელი მინი-საამქრო დანადგარები მიიღეს. აღნიშნული დანადგარები 4 ივლისს სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა კახეთში თავად ჩაიტანა.**

მცირე საწარმოში რამდენიმე ოჯახს შეუძლია გაერთიანდეს და საკუთარი ვენახიდან მიღებული ყურძნის 10-15 ათასი ბოთლი ღვინო ჩამოასხას. იტალიური წარმოების „Ferrari“-ის მინი-საწარმოს თერთმეტი კომპლექტი კახეთის რამდენიმე სოფელში უკვე დამონტაჟდა. დანადგარები ნაწილობრივ მექანიკური მართვის სისტემისაა, თუმცა ყურძნის დამუშავების მძიმე შრომას გლეხებს მაინც გაუმარტივებს. მისი ღირებულება 5000 აშშ დოლარს შეადგენს, თუმცა სოფლის მეურნეობის განვითარების ამერიკული ფონდის მიერ გამოყოფილი ორწლიანი უპროცენტო სესხი გლეხებისთვის მინისაწარმოს შეძენის ხელსაყრელ პირობას ქმნის. ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით დარეგისტრირებული ოჯახური საწარმოები საკუთარი დასახელების ღვინოს ჩამოასხამენ და მის რეალიზაციაზეც თავად იზრუნებენ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის განცხადებით, მცირე ოჯახური საწარმოების შექმნა ხელს შეუწყობს ფალსიფიცირებული ღვინის წარმოების შეწყვეტას და ყურძნის მოსავლის რეალიზაციის პრობლემის მოხსნას.

**ინტერპრესნიუსი**



წადი, წადი!

# ზედმეტმა ქებამ პატრულსაც ხომ არ აწყინა?

### ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო

**ერთი ცოლ-ქმრის ჩხუბს, რომელიც ქართული ანდაზის მიხედვით, მართალი მხოლოდ რეგვენს ეგონა, შეიძლება პოლიციელიც გადაჰყვეს, პროკურორიც, გამომძიებელიც, იზოლატორის უფროსიც, მოსამართლეც.**

**რა ამბავია? რა ამბავია და... გადაბმულები არიან ეს სამართალდამცავები ერთიერთმანეთზე. პირველი რომ დაიჭერს ვინმეს, მეხუთე არტყამს ბეჭედს საკანში მის გასტუმრებაზე. თუმცა ბოლო ხანს ძალიან მომრავლდა ასეთი კითხვები — სამართლიანად იჭერენ? სამართლიანად იძიებენ? სამართლიანად ასამართლებენ?**

რატომ? იმიტომ, რომ გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ ორიოდე თვის მანძილზე იმდენი დარღვევა გამოავლინა, რაც არ გამოვლენილა გასული 10-12 წლის მანძილზე. რაც მთავარია (იქნებ, უფრო წარმოუდგენელია), პროკურატურის ამ სამსახურმა გვერდში ამოიყენა თავისუფლების ინსტიტუტის, სახალხო დამცველის და ადვოკატურის წარმომადგენლები, რომლებიც ადრე მის „მტრებად“ მიიჩნეოდნენ. აგერ, გუშინაც, როდესაც გადაცდომის კონკრეტულ ფაქტზე მსჯელობდნენ, ეს უწყებები „ერთ ხმაში მღეროდნენ“.

მაინც, რა მოხდა?

1 ივლისს, ღამის ღამის 12 საათზე, მეტრო სადგურ „300 არაგველში“ პატრულმა დააკავა ძმები — რობერტ და ედუარდ მარკოსიანები. ისინი ოჯახის წევრებთან ერთად, კამათით (ხანდახან სიტყვიერი შეურაცხყოფით) ბრუნდებოდნენ წვეულებიდან. მათ გამოეკიდათ პატრული, ხელი სტაცეს ძმებს, სცემეს (ცხვირიდან სისხლიც ადინეს), მერე კი პოლიციის სამმართველოში წარადგინეს. საქმეში ჩაება პროკურატურაც (გამომძიებელი ბადრი გილიგაშვილი), მაგრამ 48 საათში ვერ მოხერხდა დაკავებულთათვის წინასწარი პატიმრობის შესაფარდებლად პროკურატურის შუამდგომლობის დაყენება. მიუხედავად ამისა, მოსამართლე მილერი ხარებავამ საქმე მაინც ჩაიბარა და სასამართლო პროცესიც დანიშნა.



და როცა ადვოკატების, სახალხო დამცველისა და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლებმა განგაში ატეხეს, მარკოსიანები 4 ივლისს, დაახლოებით დღის 12 საათზე საკნიდან გამოუშვეს. ეს ძმებიც (ერთ-ერთი სისხლიანი ტანსაცმლით) და ოჯახის წევრებიც (მათ შორის, ქმრის მიერ შეგინებული ცოლიც) ბრიფინგიდან გამოსულ ჟურნალისტებს მართლქომაგებმა გენერალური პროკურატურის ჭიშკართან დაახვედრეს, მეორე ბრიფინგი, უფრო ფართომასშტაბიანი, იქ გამართეს და ეს ჩვენი სამართალდამცავები მიწაში ჩადეს...

ისე, თავისუფლების ინსტიტუტისა თუ სახალხო დამცველის აპარატის „აღდგომა“ მაშინაა, როცა ასეთი ლაფსუსი ჩაუვარდებათ ხოლმე ხელში. რა იყო მაინც ესკალატორის ესკალაციაში საგანგაშო და საჩქარო? რახან პატრული ხარ, ღამის 12 საათზე ცოლის შემგინებელი ქმარი აუცილებლად უნდა გაკოჭო და ცხვირიდან სისხლი ადინო? რახან პროკურორი ხარ, მეუღლესთან წაკინკლავებული ახალგაზრდა საკანში უნდა გამოამწყვდიო, მერე შენს ვადაში ვერ ჩაეტიო და თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთო? რახან მოსამართლე ხარ, პროკურატურის დაკვეთები უნდა ასრულო და პროცესი უსამართლოდ ჩანიშნო? მერე სწყინთ, როცა ამბობენ, — სასამართლოები პროკურატურისა და პოლიციის განყოფილებებად გადაიქცაო.

სხვათა შორის, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელს თეა თუთბერიძესა და სახალხო დამცველის წარმომადგენელს გოგა ონიანს ერთი სიტყვითაც არ შეკამათებია გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი, ამ ახალბედა სტრუქტურის ერთობ აქტიური ხელმძღვანელი ლაშა მაღრაძე. პირიქით, უხეში კანონდარღვევები მანაც აღიარა და ამ საქმის სწრაფი და ობიექტური გამოძიება იკისრა, დამნაშავეთა დასჯაც „ივალდებულა“.

როგორც ბრიფინგზე ითქვა, თურმე სამართალდამცავთა გულგრილობას, წაყრუებას, უპასუხისმგებლობას ხშირად თანა სდევს არა მხოლოდ ცოლის შემგინებელი ქმრის, არამედ გაცილებით სერიოზული დამნაშავის გათავისუფლება, საკნიდან თავის დაძვრენა. ასე მოხდა რაღაც ორიოდ თვის წინათ, როცა ზუსტად ამ რაიონში რუსეთიდან ექსტრადირებული მკვლელი ციხიდან გამოუშვეს და ამ კურიოზს ზედ რამდენიმე მუშაკი „წააკლეს“.

ვფიქრობ, ახლაც დაისჯება ის 4-5 კაცი, რომლებსაც ხელს ადებენ ძმები მარკოსიანების დაკავებაშიც, ცემა-ტყეპაშიც და თავისუფლების უკანონო აღკვეთაშიც. თუ არადა, ისეთი ტენდენცია მოდის, სამართალიც წელში გაწყდება და საზოგადოებაც ძველებურად დაითრგუნებაო. ეს გვინდა?

**ბონდო გულიაშვილი**

◉ სიტყვა ერის გასაგონად

# ფრთხილად, ქართველნო!

## „შეცთომილნი განამტკიცენ, ჭაბუკნი განაბრძვენ...“

> **„მომაპყარნით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროისცა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქვენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყვათა ამათ ჩემთა...“**
>
> **იოანე საბანისძე**

### ევროპელები თუ აზიელები? — არა, ქართველები!

დასავლეთის სამყაროში გადაბარგების გაუაზრებელმა სურვილმა, წამხედურობამ თუ კეკლუცობამ წარმოშვა არათუ საჩოთირო ფრაზა, არამედ ქმედებანიც: **„ჩვენ ნამდვილი, პირველი ევროპელები ვართ!“ იგი მე ძალიან მაგონებს უფრო ადრინდელ ფრაზას: „ჩვენთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“**. ორივე გამონათქვამი ისტორიულადაც, კულტურულადაც და პოლიტიკურადაც გაუაზრებელია და მკრეხელური. გახსოვთ, რა მალე აღმოჩნდა, რომ საქართველოსთვის, პოლიტიკური თვალსაზრისითაც კი, მზე ჩრდილოეთიდან არ ამოდიოდა? ასევე ჩვენი „პირველევროპელობაც“ ხელსაყრელი რომ არ არის, შეიძლება, ესეც მალე დადასტურდეს. თავი დავანებოთ იმას, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ხდება დღეს საერთო კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით. განა კი ეს კავშირი არ მოითხოვს ჩვენგან ე.წ. „თურქი მესხების“ მიღებას, რომელთა შორის დიდ უმეტესობას მესხეთის აბორიგენ მოსახლეობასთან კავშირი არა აქვს? განა კი ევროპა არ გვთხოვს ჩემეული კანონები მიიღე მიწის, განათლების, ეროვნულობის გამოხატულების სფეროებშიო? განა კი რუსულ-საბჭოური კავშირიც ამას არ მოითხოვდა ჩვენგან? თუ რუსეთს ასე თუ ისე გადავურჩით, მართლმადიდებლობას უნდა ვუმადლოდეთ, რომელიც საბჭოური და ბოლშევიკური მომწამვლელი იდეოლოგიის წნეხქვეშ, მაინც ფეთქავდა ბედშავ რუსებში.

ადრე ნახსენებ „ქართ-ქალდობის“ ფუნქციასაც რომ წავუყრუოთ, განა ევროპელობაზე ნაკლებ საამაყოა თუნდაც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია?

პოლიტიკური ამინდი ცვალებადია, ერის ღირსება და წარმომავლობა კი საამაყო და ხელშეუხები. ჩვენ მსოფლიოს პირველი ცივილიზაციის აკვანში ვართ გაზრდილი. ის აკვანი კი არც ალპებში დარწეულა და არც ანდებში. იგი წინა აზიაში: შუბურის, ანშანის, ზაგროსის, ტავრისა და კავკასიის მთებში დაირწა. უბაიდური ერიდუ, შუმერი, ელამი, ხეთა, ხური-მითანი, ურარტუ — აი, ის სახელმწიფოები და კულტურა, რომლის შემოქმედნი ჩვენი წინაპრები იყვნენ. დემოკრატიის სათავეებიც დასავლეთში — ამერიკასა და ევროპაში კი არ უნდა ვეძიოთ (სხვათა შორის, არც საბერძნეთსა და რომში), არამედ ჩვენს წიაღში, ძვ. წ-ის დაახლოებით 2800 წელს ურუქის მეფის — გილგამეშის ორპალატიან „სენატში“, აქვე შეიქმნა ურ-ნამუს უძველესი კანონები (ჰამურაბის კანონებზე 300 წლით ადრინდელი) და პირველი 11-მსაჯულიანი სასამართლო. აქ გაჩნდა პირველად სიტყვა და გაგება „თავისუფლება“ — შუმერული „ამარგ“ (ქართველები რომ ვამბობთ დღესაც — „ამაგი დავდეო“ — აქედან მომდინარეობს). ჩვენ ევროპელები და ინდოევროპელები კი არა, იბერიულ-კავკასიური მოდგმის, წინააზიური, „მტკვარ-არაქსისა“ და „თრიალეთური კულტურის“ მატარებელი ხალხი ვართ. ვისაც ყოველივე ამაზე ეღიმება, თავისი წარსულის მესაფლავეა და მტრის ძმაა, თუმცა ზოგჯერ მტერიც აღიარებს სიმართლეს. ამ ორი წლის წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ი. ივანოვმა ამერიკელთა ჯინაზე თავზე ხელი გადაგვისვა და გვითხრა ის, რაც 200 წლის მანძილზე არ უთქვამთ: — „თქვენ, ქართველებს სხვათაგან ჭკუის სასწავლებელი არაფერი გჭირთ, იქით უნდა არიგებდეთ ჭკუას“-ო. გაუჭირდა და იმიტომაც აღიარა. მაგრამ, ვინ იცის, მერამდენედ მებადება ეს შეკითხვა: ჩემო ძმაო და დაო, მამავ და ძეო, დედავ და ასულო, შენ კი რეალურად, სიღრმისეულად იცი ყოველივე ეს? ჩვენ რომ ეს ვიცოდეთ, ევროპელობისათვის ჭკუას არ დავკარგავდით, არც ენასა და გონებას დავუწყებდით კაზმვას სხვათა ბჭობითა და მიბაძვით. მარკიზ დე კიუსტენის მიერ ნიკოლოზის დროინდელი რუსეთის შესახებ ნათქვამი მაგონდება, რომელიც ხანდახან საკუთარ სახეს მახსენებს: **„მე რუსებს არ ვკიცხავ იმისათვის, რანიც არიან, მაგრამ ვგმობ მათ სურვილს, თავი ევროპელებად მოგვაჩვენონ... შეიძლებოდა ევროპას იმედი არ დაეკარგა მათი კულტურული შეთვისებისა, რომ ისინი მაიმუნებივით არ ბაძავდნენ სხვა ერებს და იმავდროულად არ დასცინოდნენ მათ, ვისაც ჰბაძავენ“**. ახლა ჩვენთვის ესოდენ მისაბაძის ქვეყნის, ამერიკის XIX საუკუნის ფილოსოფოს-ესეისტსა და პოეტს რალფ ემერსონსაც მოვუსმინოთ: **„მიბაძვა დედანს ვერ აღემატება. მიმბაძველი განწირულია, რამეთუ უიმედო საშუალო დონეს თავს ვერ დააღწევს“**. აი, როგორ ყოფილა საქმე! სხვათა წესჩვეულებების, კანონების, ბრმად გადმოღება და კალკირება სამარცხვინო საქმეა და მით უმეტეს მაშინ, როცა შენს მიძინებულ წარსულში და დამტვერილ კიდობანში ურიცხვი თვალმარგალიტი და ოქრო-ვერცხლი მოგეძიება. ვინ თქვა, რომ **მოძღვრებით ჩამოდის (უცხოეთიდან — ზ.ქ.) ჩვენში და მას ფიქრადაც არ მოსდის ყოველივე ამის განსჯა თავისი ქვეყნის მდგომარეობის თვალთახედვით — და იმას კი აღარ ფიქრობს თუ როგორი იქნება ჩვენში შედეგი მისი ყალბი იდეა-ძალის მუშაობისა. არ იხილავს იგი ქართული თვალთახედვით ამ თეორიებს, რადგან ქართული ცხოვრებით არასდროს არ უცხოვრია. და განა მარტო სოფელში ცხოვრება და გლეხთან ლაპარაკია ქართული ცხოვრება; არა, იგი სულიერი განცდაა ქართველი ერის მთელი ისტორიისა, მისი სულისკვეთებისა და მისწრაფებებისა“.**


დავით გარეჯის მონასტერი.

ოთხივ მხრივ არ გავიხედოთ და რაც კარგია, არ შევითვისოთ, არ შემოვიტანოთო? მაგრამ ცხრილები არ დაგვავიწყდეს, რადგან ადიდებულსა და ამღვრეულ მდინარეს ოქრო მისხლობით მოაქვს, ლაფი და ჭუჭყი კი უამრავი. არც ქურა დაგვავიწყდეს ხალიბთა ჩამომავლებს — ავკარგის წრთობისა და ქართულად მოქცევისა ქურა. რაკი ჩვენი პრეზიდენტი დედით წინაპრებს დიდ პატივსა სცემს, მის საყურადღებოდ, მიხაკო წერეთლის ნათქვამს გავიხსენებ და მაშინღა ვთქვათ, პრეზიდენტის მრჩევლები უფრო თანამედროვენი არიან თუ მისი დიდი პაპა:

**„ქართველი ჩავარდება ხოლმე იმ საზოგადო იდეათა მორევში და უმეტეს შემთხვევაში, ვერავითარ ორიგინალურ კრიტიკას ვერ უწევს ამ მიმართულებას. იგი ან სხვისი კრიტიკით კმაყოფილდება, ან დოგმატურად ირწმუნებს ხოლმე სხვისი შოვინიზმის უკიდურეს თეორიებს... ორივე შემთხვევაში იგი შეიძლება გულწრფელია, მაგრამ ყალბი**

ასეა, სხვისი კანონებით ვერ იცხოვრებ, სხვისი თვალებით ვერ გაიხედავ, სხვისი ხმით ვერ იმღერებ, ჰოდა, ამიტომ არც სხვის დაკრულზე უნდა იცეკვო. **სახელმწიფოს, სადაც ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება და კრიზისი სხვა ქვეყნის გავლენითაა გამოწვეული, სადაც საზოგადოებრივ-კულტურულ ურთიერთობათა ქვეშაგები სხვა სახელმწიფოს საწოლის თარგზეა შეკერილი, მომავალი არა აქვს, მან მხოლოდ წარმატებული კოლონიის სახელი შეიძლება ატაროს.** ჩვენ უცხოური კონსპექტებით კი არ უნდა ვაშენებდეთ სახელმწიფოს მომავალს, არამედ ქართული პოლიტიკის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით ვხელმძღვანელობდეთ ძირითადად. ფარსმან ქველის, გორგასლის, აღმაშენებლის, ბაგრატ III-ის, გიორგი III და გიორგი ბრწყინვალის, ილიას თვალსაწიერით უნდა ვისაზრდოოთ. არც ერეკლე II დავიწყება გვმართებს.

**გაგრძელება.**
**დასაწყისი იხ. „სრ“ № 153, 156.**

### შიში წესიერად მოწყობილი სახელმწიფოს სული არ არის!

გაპიარებული დაპატიმრებები, ანუ დაჭერობანა ფიცხელი ბიჭების პოლიტიკურ თამაშებში...

ნიღბიანი, ავტომატმომარჯვებული ბიჭები და დაფეთებული ხალხი...

რაც ამას წინათ რესტორან „ნიკალაში“ ჩაიდინა საგადასახადო ინსპექციამ იქ შეჭრით და უდანაშაულო მომხმარებლების შოკირებით, მარტო ეს გამოდგება მთავრობის ძალმომრეობის გასასამართლებლად, მაგრამ ხელისუფლება ამაზეც არ შეჩერდა და ახლახანს რუსთაველის პროსპექტზე სრულ ანშლაგში წარმოადგინა ძალმომრეობის ახალი შოუ. კორუფციისა და უკანონოდ დაგროვილი ქონების წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ხელისუფლებას კარგ საქციელად უნდა ჩაეთვალოს. ქრისტიანი ვარ და საციხოდ ყველა მეცოდება, მაგრამ სახელმწიფომაც რა ქნას — ქვეყანას ერთი-ორი კაცის მუცელს ხომ არ გადააყოლებს?! ერთი სიტყვით, დასაჭერი უნდა დაიჭირო, მაგრამ როგორ უნდა დაიჭირო და დასაჯო, ამასაც თავის ნორმები აქვს. ამაზე იმდენი დაიწერა და ითქვა, მე თავს როგორღა შეგაწყენთ. ერთს დავუმატებ მხოლოდ: უზნეობასთან უზნეო მეთოდებით ბრძოლა უზნეობასა და ცოდვებს ამრავლებს. ქრისტიანული მორალის ქვეყანაში არც ყაჩაღი არსენას ბოლშევიკური ლოზუნგის — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ — გამოფენაა საკადრისი საქმე და მით უმეტეს მაშინ, როცა ღარიბს არც არაფერს აძლევ.

ძველად საქართველოში მამაპაპანი შვილებს, ქვეყნის სიყვარულთან ერთად, პირადი გამოცდილებით, პირადი მაგალითით და უწკეპლოდ ზრდიდნენ. ბავშვის ცემა და დაშინება იკრძალებოდა (ეს წესი, სხვათაშორის, ჩვენზე უკეთ ჩეჩნებმა შემოინახეს), იკრძალებოდა იმიტომ, რომ დაშინებულნატყეპი ბალღისგან გმირი მებრძოლი ვერ დადგებოდა. გენიალურობაც თავისი ბუნებით სწორედ გმირობასთანაა წილნაყარი, ხოლო გმირობა თავისუფლების ტოლფასია. შიშმა შეიძლება ადამიანები აიძულოს, ესა თუ ის მითითება შეასრულონ, მაგრამ იგივე შიში მათ ხელს უშლის წინსწარდასახულობისკენ, მიზნისკენ სიარულში. შიში არ შეიძლება გახდეს წესიერად მოწყობილი საზოგადოების სული, იგი წესრიგს კი არ ქმნის, არამედ ქაოსს ფარავს. ქართულ საზოგადოებაში ამჟამად შიშმა დაისადგურა ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ის, რასაც დღეს შეიძლება მიაღწიოს ხელისუფლებამ შიშის დათესვით, ხვალ ხელს შეუშლის უფრო დიდი მიზნის გადაწყვეტაში. საზოგადოება თუ დაშინებული იქნა, ვერანაირად გაწვრთნილი ჯარი ქვეყანას ვერ დაიცავს, — უამრავი მოღალატე გამოჩნდება. თუ რაიმე უნდა ვისწავლოთ დღეს დემოკრატიული ქვეყნებიდან, უმთავრესი სწორედ ეს არის. ქართველმა კაცმა უნდა იცხოვროს ღვთის შიშით, კანონის მორჩილება-პატივისცემით და თანამოქალაქის სიყვარულით.

იხ. მე-4 გვ.

◉ რა კანონი მოდის?

# რახან ფულს ვიხდი, ბარემ ჩოლოყაშვილი გავხდები

*როგორც ჩანს, სიტყვები „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“ იმდენად ძველმოდური და არაევროპული გახდა, რომ მომავალში მისი გარკვევის საჭიროება აღარ იარსებებს. ახალი კანონპროექტი, რომელიც საკუთარი სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლის საშუალებას გაძლევს, ალბათ, სულ მალე შევა ძალაში. მომავალი კანონი ადამიანს სრულ თავისუფლებას ანიჭებს საკუთარი გვარ-სახელის არჩევაში. გინდა გქონდეს თავადური გვარი? კი ბატონო! იქნებ სულაც მეფური გირჩევნია?! — არც ამაზე გეტყვიან უარს. თუ არც ერთი გინდა, არც მეორე, და საერთოდ ქართული არაფერი, შეგიძლია სახელად ჯორჯი დაირქვა და გვარად ბუში, ვერავინ მოგედავება. რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ახალმა ცვლილებებმა, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა იუსტიციის სამინისტროში ამ ფაქტს ბოლომდე დადებითად აღიქვამენ და საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ.*

**ნატო ბაზნიძე, სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე:** — საქართველოს მოქალაქეებს დღეს მოქმედი კანონმდებლობითაც შეეძლოთ გვარ-სახელის შეცვლა, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში: თუ სახელი არაკეთილხმოვანი იყო ან დამაკნინებელი. გვარის შეცვლის შესაძლებლობა პირს იმ შემთხვევაში აქვს, თუ მას პირდაპირი აღმავალი შტოდან აიღებს ან ქორწინებისას თუ შეიცვლის, აგრეთვე შესაძლებელია ფაქტობრივი აღმზრდელის გვარზე გადასვლა. კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე კი უფრო გამარტივდება გვარ-სახელის შეცვლის პროცედურა.




**— როგორ ფიქრობთ, რამდენად მზად არის ამისთვის საზოგადოება? ბევრი, ალბათ, უარყოფითად შეხვდება...**

— არა მგონია ასე მოხდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ საკითხის ირგვლივ ყველაფერი გამარტივდება, და ეს, თავისთავად, დადებითი პროცესია.

**— რა აკრძალვები იქნება არჩევანის გაკეთებისას?**

— ერთადერთი აკრძალვა იქნება სიმბოლოების, ციფრების, უცენზურო სიტყვების, უსულო საგნების სახელწოდებების დარქმევაზე.

**— გვარს აუცილებლად გვაროვნული ფუძე უნდა ჰქონდეს?**

— არა, ეს პიროვნების ფანტაზიაზე და გემოვნებაზეა დამოკიდებული, კანონპროექტი სხვა შეზღუდვებს არ ითვალისწინებს.

**— ახალი კანონით, ალბათ, ძირითადად, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელნი ისარგებლებენ და ქართულ გვარ-სახელებს აირჩევენ. როგორ გგონიათ, ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ეს ქართველ მოსახლეობაში პროტესტის გრძნობას არ გამოიწვევს?**

— ასეც რომ იყოს, ჩვენ უფლება არა გვაქვს, მხოლოდ საკუთარ თავზე ვიფიქროთ. ნებისმიერი კანონი საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქისთვის უნდა იყოს დაწერილი, საქართველო კი, მოგეხსენებათ, ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა. არ შეიძლება კანონი იწერებოდეს მხოლოდ ქართველისთვის.

**— ახალი კანონი სამართალდამცავებს პრობლემებს არ შეუქმნის?**

— კანონში ეს საკითხიც გათვალისწინებულია. თუ პირი ან ბრალდებულია, ან ეჭვმიტანილი, მას ამ კანონით მინიჭებული უფლება არა აქვს. საერთოდ, ამ კანონპროექტს საკმაოდ დადებითად ვაფასებ. იგი აქამდეც უნდა მიგვეღო.

„საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლობისა და თავადაზნაურთა საკრებულო“ კი ამ საკითხს სხვანაირად აფასებს, ისინი მიიჩნევენ, რომ ქართული გვარი ისტორიული ფასეულობების მატარებელია და მისი ასე იოლად მითვისებაც სხვა გვარის მხრიდან, ყოვლად დაუშვებელია.

**კოტე ჩოლოყაშვილი:** — ნებისმიერ ქართულ გვარს, თავისი ღირებულება და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ჩემს გვარს ისეთი დამსახურება ჰქონდა ქვეყნის წინაშე, რომ ჩოლოყაშვილს მეფეც რომ მოეკლა, მისთვის მხოლოდ ცერა თითის მოჭრა შეიძლებოდა. ამას ხომ დამსახურება უნდა?! ეს, მე ჩემს გვარზე რაც ვიცი, და წარმოიდგინეთ, რამდენი გვარია, რომელსაც უკეთესი ისტორიული ღირებულება აქვს მინიჭებული საქართველოში?! თუ კაცმა საკუთარი გვარის გამოცვლა განიზრახა, ის უბრალოდ გვარს არ აირჩევს, იტყვის — ფულს ვიხდი და ცუდ გვარს ხომ არ ავირჩევო?! მაგრამ გვარიშვილობას დამსახურება უნდა, კაი ქართველობით მოპოვება სჭირდება. იქნებ იმის უფლება მაინც მოგვცენ, რომ თუ ვინმეს ჩემი გვარის მიღება მოუნდა, მოვიდეს და ჩვენი გვარიშვილების თანხმობის შემთხვევაში მიიღოს ამისი უფლება.

**გიორგი უშიკიშვილი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი:** — თუ სახელმწიფოს ამ კანონის მიღება სურს, ალბათ, რაიმე სარგებელსაც ხედავენ ამაში. თუმცა ჩემი პირადი აზრით, გვარი იგივე ეროვნული ფასეულობაა, რაც ხალხური სიმღერა, მისი სხვისთვის მიკუთვნება არ შეიძლება. არსებობს გვარები, რომლის ტარების უფლება, სხვა ეროვნების წარმომადგენელს კი არა, ყველა ქართველსაც არ უნდა ჰქონდეს (სამეფო და თავადური გვარები), არც ჩვეულებრივი გვარის მიღება უნდა წარმოადგენდეს იოლ საქმეს, უნდა გატარდეს რაიმე პროცედურები და ამის შემდეგ, კი ბატონო. უნდა დადგინდეს, არის თუ არა ესა თუ ის პიროვნება იმ გვარის ტარების ღირსი.

**— თქვენი გვარი რომ მიიღონ?**

— თუ პიროვნება შემხვდება და მეტყვის, რომ უშიკიშვილი გავხდიო, შოკს მივიღებ. მე ჩემს გვარში ის ხალხი მეამაყება, ვინც მისი ღირსეული მატარებელი იყო საუკუნეების მანძილზე. ჩვენი ხალხური სიმღერები ნელ-ნელა გააქვთ საქართველოდან, ღმერთმა დაგვიფაროს და თუ აქ რაიმე სიმღერა განადგურდა და ვერ შემოვინახეთ, არავინ აღარ იტყვის, ქართული იყოო, სხვები მიითვისებენ. იგივე ბედი შეიძლება ეწიოს ქართულ გვარს.

**სანამ კანონი დღის შუქს იხილავს, საზოგადოებას ისღა დარჩენია, მოსალოდნელ შედეგებზე ივარაუდოს. თუმცა, როგორც ჩანს, ამაოა ზოგიერთების წუხილი ისტორიული ღირებულებების დაკნინებასა და ძირძველი ქართველობის ხელყოფაზე. როგორც ნებისმიერი ახალი წამოწყება მთავრობის მხრიდან, ეს კანონიც უთუოდ მოგვევლინება. ჩვენ გული მხოლოდ იმით უნდა დავიმშვიდოთ, რომ რომელიმე ჭარბი ფანტაზიისა და მოდერნისტული იდეების მქონე მშობელი თავის შვილს „ოთხმოცდაცხრამეტს“ — ვერ დაარქმევს.**

**ნათია მეკოკიშვილი**

◉ ბაზარი

# როგორ მოვიკლათ წყურვილი?



**გაფხულია, ცხელა. ასეთ დროს რით შეიძლება სწრაფად დავიცხროთ წყურვილი? მართალია, ჩვენს ბაზრობებზე უხვადაა გაზირებული ტკბილი სასმელი, მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, მათი უმეტესობა ფალსიფიცირებულია, ზოგი კი ჯანმრთელობისთვის სახიფათოც.**

**აი, რას ამბობენ სპეციალისტები:**

ტკბილ, გაზირებულ სასმელს ხალხი ასწლეულის მანძილზე სვამდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მისი შემადგენლობა თითქმის უცვლელი რჩებოდა. საფუძველთა საფუძველი კი წყალი, შაქარი, საკვები მჟავა, არომატიზატორები და საღებავებია — ასეთია კლასიკური გაზირებული წყალი. განსაკუთრებული სასმელი ღირებულება არ გააჩნია, მისი ძირითადი დანიშნულებაა — მოუკლას ადამიანს წყურვილის გრძნობა და ამით ასიამოვნოს.

ნატურალურ არომატიზატორებს გაზირებულ წყალში იშვიათად ამატებენ. უფრო მარტივი და იაფია მათი იდენტური ხელოვნური არომატიზატორების გამოყენება, რომლის შესახებაც მწარმოებლები ირწმუნებოდნენ, სასმელის საერთო თაიგულს არ აფუჭებსო.

სხვა საქმეა საღებავი. სამწუხაროდ, მაღაზიებში, ბაზრობებზე ძალიან ბევრია სხვადასხვა ფერის სასმელი. დღეს ეს ფერადი პალიტრა გაუფერულდა, მყიდველი უფრო ხარისხიანს ეტანება და სამართლიანადაც.

შაქართან კი ყველაფერი პირიქითაა. მის ნაცვლად ხშირად ამატებენ ხელოვნურ დამატკბობლებს. ასეთი სასმელი კალორიებს არ შეიცავს და მწარმოებელთა მტკიცებით უკეთესია.

თუმცა გავრცელებულია აზრი, რომ ტკბილი წყალი წყურვილს არ კლავს, პირიქით, ამძაფრებს ამ გრძნობას. ეს ხდება მაშინ, თუ სასმელი დამტკბარია არა შაქრით, არამედ შაქრის შემცვლელით. ასეთი სასმელი პირში ტოვებს შეგრძნებას, რომელიც ჩაკვლას ითხოვს. შენც სვამ, სვამ, მაგრამ ეს გრძნობა არ ქრება. ის კალორიებს არ შეიცავს, მაგრამ არც ჯანმრთელობისთვისაა სასარგებლო. ზედმეტი სითხე ავნებს თირკმელებს და გულს. გაზიან წყალში დამატებული ხელოვნური დამატკბობლები განსაკუთრებით ვნებს ბავშვებს.

ასე რომ, მხოლოდ შაქარზე დამზადებულ სასმელს შეუძლია სწრაფად ჩაკლას წყურვილის გრძნობა და არა მის შემცველს.

თუმცა შაქრის შემცვლელის მთლიანი უარყოფა არ შეიძლება, ვინაიდან დიაბეტური ან დიეტური კვება შაქრის შემცვლელის გარეშე წარმოუდგენელია. სამაგიეროდ, ამ შემთხვევაში ზუსტად განსაზღვრული რეცეპტი გამოიყენება.

ვის უფრო უყვარს გაზირებული წყალი? რა თქმა უნდა, მისი ყველაზე დიდი მომხმარებლები ბავშვები არიან. ექიმების აზრით კი, 6-7 წლამდე ბავშვებისთვის საერთოდ არ არის მიზანშეწონილი გაზიანი სასმელები, რადგან ის კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებს, ბერავს ნაწლავებს, რაც მუცლის არეში ტკივილს იწვევს. ზოგჯერ შეიძლება გავახაროთ ბავშვები მცირეოდენი გაზირებული სასმელით, 3 წლამდე ბავშვებისთვის კი მისი მიცემა ნამდვილად არ შეიძლება.

უფროსი ასაკის ბავშვებს გაზირებული წყალი არ ავნებს. საკვები ღირებულება მას, მართალია, მინიმალური აქვს: შეიცავს მხოლოდ ნახშირწყლებს და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემადგენლობაში არის შაქარი და არა შაქრის შემცვლელი. შაქარზე დამზადებული გაზირებული წყალი შესაძლოა გამოვიყენოთ როგორც წყურვილჩამცხრობი საშუალება, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიცხეში წყალი ოფლიანობას ზრდის. ამიტომ სიცხის დროს ჩაის მიღება უფრო სჯობს, ხოლო მათ, ვისაც კუჭი ან ნაწლავის დაავადებები აწუხებს, გაზირებულ წყალზე საერთოდ უარი უნდა თქვან.

**ნაზი იმნაიშვილი**

**სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასი ლარებში ცენტრალურ სუპერმარკეტში 2005 წლის 5 ივლისისთვის**

| | |
|---|---|
| ხორცი საქონლის | — 5,50-6 |
| ხორცი ღორის | — 5-7 |
| ხორცი ცხვრის | — 6-7 |
| ქათამი სოფლის | — 11-13 |
| ქათამი ფაბრიკის | — 3,50-8 |
| ყველი იმერული | — 3,50-4 |
| სულგუნი | — 5-6 |
| ყველი თუშური | — 13-15 |
| კვერცხი სოფლის | — 0,20-0,25 |
| კვერცხი ფაბრიკის | — 0,18-0,20 |
| კარტოფილი | — 0,35-0,40 |
| ჭარხალი | — 1-1,50 |
| კომბოსტო | — 0,30-0,40 |
| სტაფილო | — 1-50-2 |
| ხახვი თავიანი | — 0,50-1 |
| ვაშლი ახალი | — 0,80-1 |
| ვაშლი ძველი | — 1-2 |
| ბალი | — 1,50-2 |
| ალუბალი | — 1-50-2 |
| ატამი | — 1-2,50 |
| გარგარი | — 1,30-2 |
| მარწყვი | — 3-4 |
| ალუჩა | — 1-1,50 |
| ტყემალი | — *0,50* |
| მოცხარი | — 2-3 |



◉ ინფორმაცია

### ელექტროენერგია — ბარტერით

**თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი საქართველოდან 3 ივლისს, გვიან ღამით ქვესადგურ „დიდი ბათუმიდან“ განხორციელდა. ამ პროცესს ხოფის ქვესადგურზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და საქართველოში თურქეთის გენერალური კონსული შევქი მევთიოღლუ დაესწრნენ.**

**ელექტროენერგიის მიწოდება თურქეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა, რომელსაც მხარეებმა ივლისში მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ელექტროენერგიის ბარტერს ითვალისწინებს. ზაფხულში მიწოდებული ელექტროენერგიის სანაცვლოდ, თურქეთი ელექტროენერგიას ზამთარში დააბრუნებს. აჭარა ზამთარში თურქულ ელექტროქსელში ჩაერთვება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდისთვის აჭარის მოსახლეობას 24-საათიანი ელექტრომომარაგება ექნება. ელექტროგადამცემ ხაზ „აჭარის“ საშუალებით თურქეთში 1 საათში 70 მეგავატი ელექტროენერგიის მიწოდება განხორციელდება.**



**თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი დაწყებიდან რამდენიმე საათში შეწყდა. ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო დაზიანდა 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „პალიასტომი“, რომელიც აჭარას ელექტროენერგიით ამარაგებს.**

**როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა, წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემების გამო, თურქეთთან ქართულ მხარეს გართულებები არ შეექმნება და გადამცემი ხაზის აღდგენისთანავე ექსპორტი განახლდება.**

**— თურქეთთან ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედება ქართული მხარისთვის მომგებიანია, რადგან თურქეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგია ქართულ მხარეს ზამთარში უკან დაუბრუნდება. თუ რუსეთიდან ელექტროენერგია საქართველოში 2,6 ცენტად, სომხეთიდან 2,7 ცენტად შემოდის. თურქეთიდან ბარტერის სახით შემოტანილი 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება 1,8 ცენტი დაჯდება, — განაცხადა ხეთაგურმა.**

**ექსპორტი ზაფხულის განმავლობაში განხორციელდება. „აჭარის ენერგოკომპანია“ კი თურქეთისგან 2005 წლის დეკემბრიდან 2006 წლის ივნისამდე 230 მილიონი კილოვატსაათ ელექტროენერგიას მიიღებს. 1 კვტ/სთ ელექტროენერგიაში ქართული მხარე თურქეთს 1,2 კვტ/სთ ელექტროენერგიას დაუბრუნებს. “აჭარის ენერგოკომპანია“ ვალდებულია ივლისში „თურქეთის ელექტროენერგიის სავაჭრო და კონტრაქტების კომპანიას“ 40 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიაწოდოს.**

### ვისია ხელყუმბარები?

**მარჯანიშვილის ქუჩაზე გუშინ ორი ხელყუმბარა და ავტომატის 100-მდე ტყვია აღმოაჩინეს. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ განაცხადა, ხელყუმბარები და ტყვიები პოლიეთილენის პარკში იყო მოთავსებული და მარჯანიშვილის ქუჩაზე ერთ-ერთ გამწვანების ზოლში იყო მიტოვებული. ამ ფაქტთან დაკავშირებით მოქალაქეებმა საპატრულო პოლიციას აცნობეს. საბრძოლო მასალის მფლობელის სავარაუდო ვინაობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების მუხლით აღიძვრება.**

### პანკისს მშვიდობა აღარ ეღირსა

**პანკისის ხეობაში 4 ივლისის შუადღისთვის სტაბილური ვითარება იყო, თუმცა ხეობაში ჯერ კიდევ რჩებოდა შს სამინისტროსა და შს კახეთის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის ნაწილი.**

**3 ივლისს დუისში სპეცოპერაციის დროს დაიჭრა ოთხი ადამიანი: ზვიად ქავთარაშვილი, თამილა გაორგაშვილი, ცეზარ გუმაშვილი და როლანდ ალხანაშვილი, რომელიც მარცხენა ქვემო კიდურზე მრავლობითი მოტეხილობით თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმები არ გამორიცხავენ, ასევე თამილა გაორგაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესებას, მას შუბლის ძვლის მოტეხილობა და ქალა-ტვინის დახურული ტრავმა აღენიშნება.**

**ადგილობრივმა მოსახლეობამ განაცხადა, რომ მათი საპროტესტო აქცია, რომლის გამართვასაც 4 ივლისს აპირებდნენ, არ ჩატარდება, რადგან მუსულმანური ტრადიციის მიხედვით, ჯერ უნდა დაიკრძალოს ცხედრები. საპროტესტო აქციების გამართვა მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი.**

**მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ცხედრების დამარხვამდე აქციის გამართვა დაღუპულების სულების შეურაცხყოფაა. პანკისის ხეობის სოფელ დუისში 3 ივლისს, დილის ოთხ საათზე, სამართალდამცველებმა ძებნილების დასაკავებლად ავთანდილ გუმაშვილის საცხოვრებელ სახლთან ოპერატიული ღონისძიების ჩატარება დაიწყეს, რა დროსაც ძებნილებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს, რის გამოც პოლიციამ დამატებითი ძალა, სპეცდანიშნულების რაზმი გამოიძახა. ეჭვმიტანილების მხრიდან, განუწყვეტელი სროლის გამო, ცეცხლი სამართალდამცველებმაც გახსნეს, რის გამოც გუმაშვილის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა, შედეგად ძებნილი ავთანდილ გუმაშვილი დაიღუპა.**

### დაჭრილებს ძალოვანები მიხედავენ

**დუისში სპეცოპერაციის დროს დაჭრილი ორი ადგილობრივი მკვიდრის მკურნალობის ხარჯებს მთლიანად შს სამინისტრო გაიღებს.**

**ამის შესახებ შს სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ სამცხე-ჯავახეთის მხარე



## ვიზიტი ყარსში

**მეზობელი თურქეთის ქალაქ ყარსს 3-დღიანი ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა სამცხე-ჯავახეთის დელეგაცია, რომელსაც პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე არმენ ამირხანიანი, ქალაქ ახალქალაქის მერი ნაირ ირიციანი და მხარეში მოღვაწე ბიზნესმენები წარმოადგენდნენ. ვიზიტის მიზანი საქართველოსა და თურქეთის სასაზღვრო რეგიონებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობების განხილვა იყო. დელეგაციას ოფიციალურად ქალაქ ყარსის მერი ნაიფ აიბეიოღლუ მასპინძლობდა.**

ვიზიტის ინიციატორები იყვნენ თურქულ-სომხური ბიზნესის განვითარების საბჭოს ევროპის რეგიონული კოორდინატორი ბურჩუ გულთექინი და უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის საქართველოს ფილიალში ჯავახეთის პროექტის კოორდინატორი მიქაელ ჰერტოფტი.

მხარეებს შორის დიალოგის ძირითადი თემა „კარწახი-ჩილდირ-აქთამას" სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გახსნა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება იყო.

ამ საბაჟო პუნტის საშუალებით ყარსიდან ახალქალაქში ჩასვლა ერთ საათში გახდება შესაძლებელი, „კარწახი-ჩილდირი-აქთამას" გამტარი პუნქტის ამოქმედების თაობაზე ორივე ქვეყნის მთავრობებში, კარგა ხანია, მიმდინარეობს მუშაობა. როგორც პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ არმენ ამირხანიანმა განაცხადა: „მისი ამოქმედება საქართველოსა და თურქეთის ამ სასაზღვრო და შედარებით ღარიბ რეგიონებს უდიდეს ეკონომიკურ მნიშვნელობას მიანიჭებს. ჩვენ ვისაუბრეთ იმ ძირითად პრიორიტეტებზე, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნება ახალი საბაჟოს გახსნის შემთხვევაში. ესენია – ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობები ერთობლივი სავაჭრო, საინვესტიციო და ტურისტული მნიშვნელობის პროექტების ფარგლებში".

არმენ ამირხანიანის განცხადებით, შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო ასევე „ფოსოფ-ვალეს" სასაზღვრო-გამტარი პუნქტის საკითხიც. აქ ახალციხე-ვალეს გზის არასახარბიელო მდგომარეობა და შემდეგ ილგარის უღელტეხილი სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში, რაც აისახება კიდეც საბაჟოს ეკონიმიკურ ეფექტიანობაზე.

მხარეებმა განსაკუთრებით დიდი იმედები გამოთქვეს „ათასწლეულის გამოწვევის საქართველოს" პროექტის მიმართ. ამ პროექტით თურქეთის საზღვრიდან ახალქალაქი-თბილისის საგზაო მაგისტრალის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის განვითარებაა გათვალისწინებული.

შეხვედრის დასასრულს ყარსისა და სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენლები შეთანხმდნენ შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობები ახალქალაქში განიხილონ. ყარსის მერმა ნაიფ აიბეიოღლუმ სურვილი გამოთქვა შეხვედრის ორგანიზებისათვის კარწახის გამტარი პუნქტის გახსნა ერთი დღით მაინც მოხერხდეს, რაც სიმბოლურად მისი რეალური ამოქმედების წინაპირობა იქნება.

## დიდ ხანჩალოში სკოლა დაინგრა

**ნინოწმინდის რაიონის სოფელ დიდ ხანჩალოში 1928 წელს აშენებული სკოლის შენობა დაინგრა, რომელიც არასოდეს არ გარემონტებულა.** წლეულს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია უცხოურმა ორგანიზაციამ „სსიფ-ი" ითავა. თუმცა სამუშაოების დაწყებისთანავე ხშირი მიწისძვრებისაგან დაზიანებული შენობა მთლიანად დაიშალა. კედლების რღვევა სახურავის მოხსნის შემდეგ დაიწყო. რის გამოც სამშენებლო ფირმა „პირამიდამ" სამუშაოები შეაჩერა. როგორც ნინოწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე ჯუმბერ გელაშვილი აცხადებს, სკოლა არანაირ სარემონტო სამუშაოებს აღარ ექვემდებარება, საჭიროა, ახალი შენობის აგება. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის 300-მდე მოსწავლე სკოლის გარეშე დარჩება.

ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა ბედი ეწევა იმ 75 000 ლარს, რომელიც სკოლის კაპიტალურ რემონტზე იყო განაწილებული. დიდი ხანჩალოს მოსახლეობა კი ახალი სკოლის აშენებას ითხოვს.

## ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია იწყება



**ქვეყნის მთავრობის განკარგულებით „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით გათვალისწინებული „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების" ფონდიდან ფინანსთა სამინისტრომ ახალქალაქის რაიონის ბიუჯეტს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის 800 000 ლარი გამოუყო.** საუბარია ასევე დამატებით 324 000 ლარის გადმორიცხვაზეც. ეს თანხა ახალქალაქში გზების რეაბილიტაციასა და გარე ფასადების მოპირკეთებას მოხმარდება. ტენდერი მშენებარე კომპანიის მოსაძიებლად უახლოეს დღეებში გამოცხადდება. განსახორციელებელი სამუშაოების მიმდინარეობას კი უშუალოდ პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში გოგა ხაჩიძე გააკონტროლებს.

## ინტეგრაციული პროექტი

**გაეროს სამცხე-ჯავახეთის ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოქმედი ქალთა რეგიონალური ცენტრი აგრძელებს ინტეგრაციულ პროექტს, რომელიც ქართველი და სომეხი ეროვნების ახალგაზრდების გაცნობა-დამეგობრებას ისახავს მიზნად. პროექტი ბორჯომში ჯავახეთის სკოლების მოსწავლეების სტუმრობით დაიწყო.**

19 ივნისიდან კი ამჯერად ბორჯომის რაიონის სკოლებიდან 30 მოსწავლე პედაგოგებსა და მშობლებთან ერთად ჯავახეთს სტუმრობდა. მათ ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების რამდენიმე ოჯახმა გაუწია მასპინძლობა. ინტეგრაციული პროექტის დევიზია: „ჩემი ხატია სამშობლო", რომლის ფარგლებშიც გაიმართა ლექცია-საუბრები, ექსკურსიები ჯავახეთის ღირსშესანიშნაობათა მოსანახულებლად, კულტურული, სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებები, ვიქტორინები „ვინ უკეთ ფლობს ქართულ და სომხურ ენებს".

ინტეგრაციული პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორის მარინა გაჩეჩილაძის განცხადებით, ეს პროექტი საკმაოდ წარმატებული და ეფექტიანი აღმოჩნდა. იგი არა მარტო ბავშვების, არამედ მათი ოჯახებისა და სახელისუფლებო სტრუქტურების ინტეგრაციასაც უწყობს ხელს, შეუძლებელია გულგრილად უცქირო ერთმანეთზე შეყვარებულ მოსწავლეებს, რომლებიც, სულ ცოტა ხნის წინათ, დამეგობრდნენ. მისივე თქმით, პროექტის წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის ხელმძღვანელობის, პროექტში მონაწილე რაიონების გამგებლების თანადგომამ და მხარდაჭერამ.

## ორფოლაში წვრთნები მიმდინარეობს

**ორფოლის სასწავლო პოლიგონზე ტანკისტთა სწავლება სახელწოდებით „ჯავშანი 2005" მიმდინარეობს. მასში პირველი და ქუთაისის ბრიგადები და გორის სატანკო ბატალიონი იღებენ მონაწილეობას.**

სატანკო წვრთნა 21 ივნისს ღამით დაიწყო. სწავლებას გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობს. მიზანს წარმოადგენს ღამის მანევრები, ღამის პირობებში ობიექტის მოძებნა და განადგურება, ბარიერებისა და დაბრკოლებების გადალახვა.



ჯავშანსატანკო სწავლება „ჯავშანი-2005" ერთი თვე გაგრძელდება და საზეიმოდ დაიხურება საჩვენებელი წვრთნით, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დაესწრებიან.

**სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახური.**

◉ საჭიროა ნამდვილი რეფორმა

# როცა უწყება გადამეტებულ ფუნქციებს იღებს

***ამ ცოტა ხნის წინათ, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების პროცესში, ქვეყნის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი „საქსტანდარტი", რომელიც შეცვლილი ფორმითა და შტატით ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში.***

***„საქსტანდარტის" ირგვლივ ატეხილ ხმაურს დიდი ხნის ისტორია აქვს. მასში კარგად არიან გარკვეული სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დვაწლმოსილი სპეციალისტები, დამოუკიდებელი ექსპერტები, საქართველოს ეროვნული, სამხედრო-სამრეწველო, საინჟინრო და რუსეთის ფედერაციის მეტროლოგიის აკადემიების წევრი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი გელარი ბაქრაძე და დამსახურებული სტანდარტიზატორი, „საქსტანდარტის" კახეთის რეგიონული ორგანოს ყოფილი ხელმძღვანელი მალხაზ ყალაბეგიშვილი.***

**— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ის ბაქანალია, რომელიც ამ ბოლო წლების განმავლობაში განვითარდა მნიშვნელოვან სახელმწიფო უწყება „საქსტანდარტში"?**

— ჩემი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, თითქმის 30 წელია დაკავშირებული ვარ „საქსტანდარტის" სისტემასთან. ამ ხნის განმავლობაში ურთიერთობა მქონდა უწყების 7 ხელმძღვანელთან, რომელთაგანაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი იყო დარგის სპეციალისტი. დანარჩენები კი, ხელმძღვანელ თანამდებობაზე კომპარტიის ცკ-ს რეკომენდაციების საფუძველზე ინიშნებოდნენ. სამწუხაროდ, ამ ტენდენციამ XXI საუკუნემდე მიაღწია, მხოლოდ ერთი განსხვავებით – კომპარტიის ცკ და რაიკომები შეიცვალა სხვა დასახელების სახელისუფლებო ორგანოებით, საკადრო პოლიტიკა კი უცვლელი დარჩა. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების დროს „საქსტანდარტს" კვლავ მართავდნენ არაპროფესიონალები, რომელთა ირგვლივ დილეტანტები შეიკრიბნენ. მათი „საქსტანდარტში" საქმიანობის ერთადერთი მიზანი საკუთარი კლანის პირადი გამდიდრება, კორუფციაა, ჰოდა, შემთხვევითი სულაც არ არის, რომ უწყების საქმიანობით დაინტერესდნენ არა მხოლოდ საზოგადოება და პრეზიდენტი, არამედ გენერალური პროკურატურაც.

ავიღოთ, თუნდაც, ერთი ფაქტი. ათეული წლების განმავლობაში „საქსტანდარტის" სისტემაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა ვინმე შოთა გლოველი. მისი კარიერის უმაღლესი მწვერვალი იყო ზედამხედველობის მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტი. შემოწმებებისა და რევიზიების დროს აღმოჩენილი დარღვევებისა და ჩადენილი დანაშაულის გამო მას ხშირად ათავისუფლებდნენ დაკავებული თანამდებობიდან და ასევე ხშირად ნიშნავდნენ სხვა, არანაკლებ პრესტიჟულ თანამდებობაზე. მეტყველებს თუ არა ეს იმაზე, რომ „საქსტანდარტში" კლანური მართვის სისტემაა გამეფებული? ამას წინათ კი შოთა გლოველი „საქსტანდარტის" სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელად მოგვევლინა. როდესაც შესაბამისი უწყებები დაინტერესდნენ ამ „ცენტრის" საქმიანობით, აღმოჩნდა, რომ იგი წარმოადგენდა უკანონოდ არსებულ, არალიცენზირებულ სასწავლებელს. ხელმარჯვე ბატონ შოთას ირგვლივ შეკოწიწებული მასწავლებელთა გუნდის წევრები იყვნენ თვით „საქსტანდარტის" სხვადასხვა დონის ჩინოვნიკები, რომლებიც არცთუ ისე მცირე საზღაურის ფასად, საბიუჯეტო ორგანიზაციის კედლებში, სამუშაო საათების დროს, სახელმწიფო ხარჯზე უზიარებდნენ თავის „მდიდარ გამოცდილებას" მომავალ ექსპერტებსა და სახელმწიფო ინსპექტორებს. და, რაც ყველაზე მთავარია, თავისივე გუნდის მიერ მომზადებულ „კადრებს" ბატონი შოთა „საქსტანდარტის" სახელით ურიგებდა შესაბამის სერტიფიკატებს (რასაკვირველია, არა უფასოდ!), უფრო მეტიც, შოთა გლოველის რჩევით „საქსტანდარტის" თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ჩამოყალიბდა ექსპერტთა ატესტაციის 61 სფერო, რომელთა შესახებ არა მარტო თვით ამ საქმის ინიციატორი, არამედ „საქსტანდარტში" არავინ იყო გარკვეული. ატესტაციის სფეროების განსაზღვრამდე აუცილებლად უნდა შემუშავებულიყო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულიყო მათი შესაბამისი გეგმები და პროგრამები. ვითარებას ამძაფრებდა ის პარადოქსიც, რომ არც მუდმივმოქმედი საატესტაციო კომისიის წევრებს შორის და არც თეთი სისტემით „საქსტანდარტს" არც ჰყავდა და არც არასოდეს ეყოლება შესაბამისი პროფილის სპეციალისტები. უფრო, რომ ეს სისტემა „საქსტანდარტში" დაინერგა მხოლოდ და მხოლოდ მავანთა ხელის მოსათბობად.

**— ბატონო მალხაზ, როგორ ფიქრობთ, რა მიზეზით გაივსო ქართული ბაზარი უხარისხო პროდუქციით?**

— ქვეყნის მთავრობამ უნდა შემოიღოს (ან, შეძლებისდაგვარად, აღადგინოს) ის პოლიტიკური ბერკეტები, რომელთა მეშვეობით ზუსტად განისაზღვრება მეწარმეთა პასუხისმგებლობა, რათა გამოშვებული პროდუქცია პასუხობდეს გონივრულ მოთხოვნებს მისი ვარგისიანობისა და სანდოობის თვალსაზრისით; ამის გარდა, წარმოებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზანს, რომლისთვისაც იგი განკუთვნილია, ხოლო ვაჭრობის მუშაკთა მოვალეობაა დაიცვან ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები. ანალოგიური პოლიტიკა მომსახურების სფეროშიც არის განსახორციელებელი. საქართველოს სინამდვილეში კი ყველა იმ პირობის შესრულება, რომელიც განსაზღვრულია გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში, თვითდინებაზეა მიშვებული...

**— ბატონო გელარი, ვინ უნდა ადასტურებდეს საქართველოში პროდუქციის ამ მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შესაბამისობას დადგენილ ნორმებთან?**

— ყოველ შემთხვევაში არა „საქსტანდარტი". მსოფლიო გამოცდილება გვკარნახობს, რომ ზედამხედველობის ფუნქცია „საქსტანდარტს" უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს შსს-ს სპეციალურ ქვედანაყოფებს, რომელთა დანიშნულებაა ეკონომიკურ დანაშაულებებთან ბრძოლა. მთავრობა კი, საჭიროებისას, ისეთი პოლიტიკის გამტარებლად უნდა იქცეს, რომლის პირობებში ამა თუ იმ საქონელში სერიოზული დეფექტის აღმოჩენისას შესაძლებელი გახდება მისი ამოღება ხმარებიდან და დეფექტის აღმოფხვრა. მომხმარებელს კი შესაბამისი კომპენსაცია უნდა მიეცეს.

იგივე შეიძლება ითქვას სტანდარტიზაციის პროცესზეც. ვინაიდან სტანდარტი კანონმდებარე აქტს წარმოადგენს, იგი უნდა შემუშავდებოდეს არა „საქსტანდარტში", რაც კორუმპირებულ ჩინოვნიკებს იოლად ფულის შოვნის საშუალებას აძლევს, არამედ სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტების მიერ. დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შესაბამისი შეთანხმების შემდეგ, სტანდარტი, რეგისტრაციისა და დამტკიცებისათვის, უნდა გადაეგზავნოს ეკონომიკის სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბრძანა, „საქსტანდარტმა" გადამეტებული ფუნქციები აიღო თავის თავზე და უწყება არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკების ხელში აღმოჩნდაო. მე და ჩემი თანამოაზრეები სავსებით ვეთანხმებით პრეზიდენტის ამ აზრს და მიგვაჩნია, რომ საჭიროა, სრულიად ახალი სისტემის შექმნა, რომელიც ადაპტირებული იქნება თვითრეგულირებად პროცესებთან და თვითდაფინანსების პრინციპს დაეფუძნება. მერწმუნეთ, ასეთ პირობებში „საქსტანდარტი" სიცოცხლისუნარიან და მრავალფუნქციურ სისტემად გადაიქცევა. ასე რომ, სახელმწიფო დამღა სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს და არა სოკოებივით გამრავლებულ შპსებში. ბოლოს და ბოლოს, დადგა იმის დრო, რომ სახელმწიფომ განსაზღვროს და დაამტკიცოს სახელმწიფო დამღის საკუთვნო.

**— ბატონო გელარი, რა ვითარებაა დღეს ქართულ მეტროლოგიაში?**

— მეტროლოგიაში არსებული საერთო სიტუაცია საქართველოში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ეს ფაქტორი სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნის სტანდარტების მოთხოვნილების დანერგვის პროცესს, რომელიც ქვეყნის მეწარმეებმა და მომხმარებლებმა წარმოებასა და სავაჭრო ქსელს წაუყენეს. ამას წინათ, უცხოელმა დამკვირვებლებმა დაათვალიერეს მეტროლოგიის ინსტიტუტის ყველა ლაბორატორია, ასევე საკვები პროდუქტების, საშენ მასალათა და ნავთობპროდუქტების ლაბორატორიები. მდგომარეობა ყველგან ძირითადად ანალოგიურია – ლაბორატორიები აღჭურვილია მოწყობილობით, რომელიც შეესაბამებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედ სტანდარტებს. ლაბორატორიების აბსოლუტური უმრავლესობა დღემდე ძველი ხელსაწყოებითაა აღჭურვილი, რაც უარყოფითად მოქმედებს გაზომვათა სიზუსტეზე.

ქვეყნის სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში ნამდვილი რეფორმებია ჩასატარებელი, რომლის განხორციელება უნდა დაეკისროს არა დილეტანტ-ჩინოვნიკებს, არამედ პროფესიონალებს, საკუთარი ქვეყნის მოჭირნახულე პატრიოტებს...

**ესაუბრა**
**დავით ქევხიშვილი**

◉ ინფორმაცია

### ერთს გაჰქონდა, მეორეს — შეჰქონდა, სწორად არც ერთი არ იქცეოდა

**ქართველმა მესაზღვრეებმა** აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში ორი თურქული სატვირთო გემი დააკავეს. ერთ-ერთ გემს აფხაზეთიდან ჯართი გაჰქონდა, მეორე – აფხაზეთში პურის ფქვილის შეტანას ცდილობდა.

მეორე გემი ქართველმა მესაზღვრეებმა 4 ივლისს დილის 6.00 საათზე დააკავეს. ამჟამად ორივე თურქული გემი ეკიპაჟთან ერთად ფოთშია გადაყვანილი. მიმდინარეობს მოკვლევა, რომელსაც საქართველოს შესაბამისი უწყებები აწარმოებენ.

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა გალში აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე სამმხრივი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. "აღნიშნული ფაქტი ნათლად მიუთითებს საქართველოს სურვილს, ხელი შეუშალოს აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას", – მიაჩნია შამბას, რომელიც თურქული გემების დაკავებას პროვოკაციის კვალიფიკაციას აძლევს.

### "თელასი" დასჯას უპირებს...

**კომპანია** „თელასის" მოვალე 1135 საბიუჯეტო ორგანიზაციას დავალიანების დასაფარავად ექვსი დღე რჩება. როგორც „თელასში" განაცხადეს, ელექტრომომარაგების შესაძლო შეწყვეტის შესახებ გაფრთხილება საბიუჯეტო ორგანიზაციებს უკვე გაეგზავნათ. თუ მოვალეები დავალიანებას 11 ივლისამდე არ დაფარავენ, მათ ელექტრომომარაგება შეუწყდებათ. საგადასახადო ინსპექციისგან დაყადაღებულმა „თელასმა" საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება 28 ივნისს გადაწყვიტა, თუმცა ფინანსთა სამინისტროსთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ ყადაღის მოხსნის პირობა მიიღო და სადამსჯელო ღონისძიება ათი დღით გადადო.

დასასჯელ უწყებათა ნუსხაში მოხვდნენ: პრეზიდენტის ადმინისტრაცია, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, ენერგეტიკის, კულტურის და განათლების სამინისტროები, სააღსრულებლო და საზღვრის დაცვის დეპარტამენტები, საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ცენტრალური არქივი და სხვა.

ფინანსთა სამინისტრო და ფინანსური პოლიცია კომპანია „თელასის" ახალ მეპატრონეს „ეი-ი-ეს"-ის დროინდელ 3,6 მილიონი ლარის ოდენობის დღგ-ს დავალიანებას ედავება. აღნიშნული დავალიანება „თელასს" აღიარებული აქვს, თუმცა ორმხრივი შეთანხმების შედეგად, ვალი შეღავათიანი ვადებითა და პირობებით უნდა გადაიხადოს.

თავის მხრივ, 4,8 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება „თელასის" მიმართ გააჩნია საბიუჯეტო ორგანიზაციებსაც. დასაფარია ლტოლვილების მიერ მოხმარებული 37 მილიონი ლარის ღირებულების ელექტროენერგიის საფასურიც.

### კონტროლის გაძლიერება არ მოსწონთ

**წითელი** ხიდის საბაჟო-გამტარ პუნქტზე 4 ივლისს დილიდან ხმაური იყო. აზერბაიჯანიდან საქართველოში მომავალი ტვირთის მეპატრონეები საქონლის გამბაჟებაზე უარს აცხადებენ. მათი მტკიცებით, საბაჟოზე ტვირთის სიმცირის მიუხედავად, მებაჟეები გადასახადს მაინც ითხოვენ.

აღსანიშნავია, რომ წითელ ხიდზე ახალი საბაჟო ტერმინალის გახსნის შემდეგ, კონტროლი უფრო გაძლიერდა. თუ აქამდე საზღვარზე 20 კგ ტვირთის გადმოტანა პრობლემას არ წარმოადგენდა, ახლა ტვირთის მეპატრონეებს საბაჟო გადასახადის გადახდა 150 ლარზე მეტი ღირებულების საქონელზეც კი უწევთ. აქედან გამომდინარე, წითელი ხიდის საბაჟო-გამტარ პუნქტთან მოქალაქეებს საკუთარი ჩანთების დასაბრუნებლად რიგში დგომა რამდენიმე დღე უწევთ.

**ინტერპრესნიუსი**

◉ სიტყვა ერის გასაგონად

# ფრთხილად, ქართველნო!

(მესამე გვერდიდან)

მშიშარა მთავრობაც საძრახისია და ხალხიც. მშიშარა ხალხს მშიშარა მთავრობისა ეშინია – მესვრის და მომკლავსო, მაგრამ მშიშარა ხალხი თუ დაიმშა, მტრისას რასაც ის იზამს – გონება დაებინდება და ჯოხს წამოავლებს ხელს. ხალხის უმეტესობა კი ყოფნაარყოფნის სწორედ კრიტიკულ ზღვარზეა და ამიტომაც არავის გაგონება აღარ უნდა და აღარავისი სწამს. რა უნდა ვთქვა, ან გავიხსენო ხალხის გაჭირვების შესახებ იმაზე მეტი, რაც ამას წინათ ტელევიზიით ვიხილეთ: სამშობლოდაკარგულმა და ცალუღელად დარჩენილმა ორი მცირეწლოვანი შვილის მამამ, ულუკმაპურო და იმედგამოცლილი მომავლის შემხედვარემ, თავის მოკვლა განიზრახა. ნამდვილად უფალმა იხსნა იგი ამ ცოდვისაგან. მერედა, რა წერილს უტოვებდა პრეზიდენტს, მწერლის ფანტაზიაც კი ვერ შესწვდება! მსგავსი რამ არც გამიგია და არც წამიკითხავს. მე ვიგრძენი თავი დამნაშავედ, მე, რომელსაც ლამის იგივე დღე მადგას, მაგრამ ხელისუფლებამ თუ იგრძნო თავი დამნაშავედ? არა მგონია, და იცით რატომ? აქედანაც კი თავის სასარგებლო პიარი ააგორა. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა საქმე იშოვნა და იმავე წუთს ეკრანს გაეკრა, ხოლო რომელიღაც ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღარ იცოდა როგორ გამოეჩინა ავადმყოფისათვის გადასაცემი ფული. ეს ფული იმდენ ხანს ატრიალეს სხვადასხვა რაკურსით ეკრანზე, რომ დათვლაც კი მოვახერხე – 20 ცალი 10-ლარიანი გახლდათ. შე, დალოცვილო, სახარება თუ არ წაგიკითხავს, ის მაინც არ იცი, რომ მთელი საქართველო კითხულობს – ეს ბიძინა ივანიშვილი ვინ არის, ერთხელ მაინც დაგვანახეთ, რომ ამდენი კაცის მადლს ისხამს და სახით ერთხელაც არ გვჩვენებიაო! აკი ვამბობდი, რომ პიარი უზნეო საქციელი არის-მეთქი. ხომ გახსოვთ რა „ვაიუშველებელი" ატყდა – პენსიები გავაორმაგეთო. მაგრამ იმაზე რატომ კრინტსაც არ ძრავს ხელისუფლება, რომ საქმე კიდევ უფრო უკან წავიდა და ცხოვრება არნახულად გაძვირდა, საქონლის ფასები უსაშველოდ გაიზარდა და უმუშევრობამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია? ან ის თუ ახსოვს ხელისუფლებას, ხალხს რომ შეჰპირდა – 1 ივლისიდან მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმის (დღეისათვის 250 ლარი) ტოლი იქნებაო? არ ახსოვს!..

ვითომ, არ ახსოვს!..

აი, ამ „ვითომ-ვითომს" ჰქვია პიარი.

ასე გვაბიაბრუებდა ძველი „მოქკავშირიც" – მილიონ სამუშაო ადგილს შევქმნიო. შექმნა? – არა! ახალმა „მოქკავშირმა" კი ათიათასობით ადამიანი დაუმატა უმუშევართა არმიას.

### წაქცეული გლეხკაცი

„რა წაიქცეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა", – გვასწავლიდა არჩილი.

წაიქცა გლეხი კაცი, ქალაქის მტვრიან ქუჩებში წაიქცა. სოფლებს მოხუცები შემორჩნენ მეტწილად, ჯან-ღონით სავსე მუშახელის უმეტესობა კი ქალაქებს მიეძალა სარჩოს საძებნელად. სარჩო ადრე სოფელს ჰქონდა და ეხლაც შეიძლება ჰქონდეს, რომ გლეხის შრომა ფასდებოდეს [illegible] ალალად მოწეულ პროდუქტს [illegible] ეთიდან ჩალის ფასად შემოტანილი მოწამლული პროდუქტი არ უწევდეს უთანაბრო კონკურენციას. სადღაა ყურძნით დაზურგული მარნები, ან ქართული ხორბალი ვის რაში სჭირდება, როცა უცხოეთიდან შემოდის მოსახლეობისათვის საპირუტყვე იაფი მარცვლეული! სოფლიდან წამოსული გლეხკაცობის ნაწილი ერთხანს სამამულო საქონელთან ერთად იმპორტულ საქონელსაც ყიდდა ერთ დიდ ბაზრად გადაქცეულ ქალაქებში და გროშებს შოულობდა, მაგრამ უმეტესობა აჰყარეს – ქალაქი ბინძურ ბაზარს დაამგვანეთო. ერთი შეხედვით, ხელისუფლებას მართლაც ვერ შეედავები, მართლაც ჭუჭყსა და ლაფს მიჰქონდა უბნების დიდი ნაწილი. მაგრამ სამუშაო ადგილები კი გამოუძებნეს ამ ხალხს ან ქალაქად ან სოფლად? ან მოვაჭრეთა მცირე ნაწილი რომ შემოზღუდულ ადგილებში შეიყვანეს და იქ გადასახადები დაუწესეს, ამან სურსათს ფასი არ აუწია? ან იმდენი ჭარბი სოფლის პროდუქტი კი არისღა, რამდენიც ადრე იყო?

რა თქმა უნდა, მისწრება იქნებოდა ჩამოქალაქელებული გლეხები უკან გაბრუნებულიყვნენ სოფლად და მიწისათვის მიეხედათ, მაგრამ საამისოდ ხელისუფლებამ რა შესთავაზა? – 20 ლიტრი დიზელის საწვავი. ესა და ეს!

სადაცაა ქვეყანაში ახალი მიწის კანონი ამოქმედდება. მისი პროექტი ჩვენმა ბედოვლათმა თუ მოღალატე (აქ ერთი მეორეს არ გამორიცხავს) პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო. მიწის პრივატიზება, ჩვენში კარგა ხანია, დაიწყო, გლეხობამ, რასაც უსახრობის პირობებში აუდიოდა, იმდენი მიწა მოიზომა და ნეტავ კი იმის დამუშავებაც შეძლოს. დანარჩენი ახალმა „გაფართოებულმა" ფინან[illegible] დი და მასთან ჯერ კიდევ გაუსხვისებელი მიწების სრული გაყიდვაა გათვალისწინებული თავისი ტყით, საძოვრებით, წყლით და მიწისქვეშეთით. თანაც ისე, რომ მიწის კადასტრის კანონი არა გვაქვს და არც ყველაფერია ბოლომდე აზომილ-დათვლილი (პასპორტიზაციას ვგულისხმობ). სახელმწიფო საზღვრისთვის ბოლოს კეთილი ინებეს და 500 მეტრის სიფართოვის ხაზი შექმნეს (ვითომაც საქმეს ეს უშველიდეს). რეზერვადაც არაფერს იტოვებს სახელმწიფო, რომ თუნდაც სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა გამოიყვანოს დამეწყრილი, ან მეწყერ თუ ზვავსაშიში ადგილებიდან. ერთი სიტყვით, მიწა ჩვეულებრივ საგნად აქციეს და ამ დიდ-დიდი დარჩენილი ნაკვეთების ყიდვის უპირატესობაც იმათ მისცეს, ვისაც იჯარით ჰქონდა აღებული (როგორ ამუშავებდა, არავინ კითხულობს). მერედა, რა აღმოჩნდა? ეს მიწები (ზოგჯერ ასობით და ათასობით ჰექტარიც კი) იჯარით ძველი და ახალი მთავრობისა და პარლამენტის წევრებს აუღიათ – გამგებლებს, პროკურორებს და სხვა მისთანათ ჰქონიათ დარიგებულ-ჩამწკრივებული. მიწის სამუდამოდ გა[illegible]წინებენ, [illegible]ანაც მისი ყიდვა უცხოეთის ყველა მოქალაქეს შეუძლია. კი მაგრამ, მტერმა რომ იყიდოს ეს მიწა, ან ზედ ფეხს ვინ დაგადგმევინებს მომავალში, ან მასში მიწის წონა ფულიც რომ გადაიხადო, ვინღა დაგიბრუნებს. ჩვენი დიდი „ეკონომმაისტერი" კახა ბენდუქიძე გვამშვიდებს – მიწას ხომ ვერ აიკიდებენ და წაიღებენო. აკიდება და წაღება რად დასჭირდებათ, როცა თავად შენ იქნები იქიდან წამოსული გუდანაბადაკრებილი. ერთი საიდუმლო მიწების ასე ხელაღებით გაყიდვისა ის გახლავთ, რომ ფული, ვისგანაც ამოსაღები იყო, ამოიღეს და ბიუჯეტის შევსება ახლა ამით არის განზრახული. ეს იმასა ჰგავს, დამშეული ოჯახი, რომელსაც სხვა რომ აღარაფერი დარჩება გასაყიდი, საკუთარ ჭერსაც რომ გაიმეტებს, ოღონდაც კი რამდენიმე დღით მაინც გაიხანგრძლივოს სიცოცხლე. ან ეს გაზრდილი ბიუჯეტი სადღა მიდის, როცა ქვეყანა დამშეულია? ამის პასუხი მზადა აქვთ – ჯარსა და გზების მშენებლობას ხმარდებაო. კი მაგრამ, ეს გაწვრთნილი ჯარი რომ ბოლომდე შენგან მართული არ არის? თუ მართულია, მაშინ, კეთილი ინებე და, გამოიყენე. მაგრამ ამის უფლებას ვინ მოგცემს, ჩვენს ამერიკულად გაწვრთნილ მეომარს ამერიკის ინტერესების დაცვა თუ შეუძლია ერაყში, აფხაზეთში და სამაჩაბლოში საკუთარი ქვეყნის ინტერესებისა კი არა. მე ეს არა მარტო საბჭოთა ეპოქას, არამედ აქემენიდების იმპერიაში შემავალ სატრაპოებსაც მაგონებს.

ჯარისა და გზების მშენებლობის საიდუმლოსაც გავთქვამ – ფრიად სარფიანი სფეროებია! ახლა ამის გაგონებაზე იტკიცავენ ხელს ხელისუფალნი – ჩვენში კორუფცია არ არსებობსო. არსებობს, როგორ არ არსებობს, ოღონდ უფრო გასაიდუმლოებული და ვიწროდ შემოფარგლული. ასე, მაგალითად: ადრე კორუფციით შემოსული ფული თუ პროცენტულად რამდენიმე კაცზე ნაწილდებოდა, დღეს ასეთი მეწილეები თითზე ჩამოსათვლელნი არიან და ამიტომაც ეს უნამუსო ფული ჯერ არა ყვირის, მაგრამ ისე აყვირდება მომავალში, რომ შეიძლება თმა ყალყზე დაგვიდგეს. ხალხს სურს ქუჩაში გამოვიდეს და იყვიროს ამის თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით ეშინია.



უფლისციხე.

**გელა კოძიაშვილი.**
**(გაგრძელება იქნება).**

№ 157. სამშაბათი, 5 ივლისი, 2005 წელი.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# იმსჯელეს რკინიგზის ამოქმედებაზე

**გალში სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა სოჭი-თბილისის გამჭოლი სარკინიგზო მოძრაობის აღდგენას, მხარეებმა დაადასტურეს, რომ წლეულს 15 ივლისიდან ერთობლივად განახორციელებენ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გამოკვლევას ფსოუ-ენგურის მონაკვეთზე. ამ სამუშაოების შესრულებისთვის მხარეებმა განსაზღვრეს სამი მობილური ბრიგადა შემდეგი მიმართულებებით:**

№ 1 მობილური ბრიგადა შეისწავლის ენერგომომარაგების საკითხს, ლიანდაგების, მიწის ვაკისისა და პატარ-პატარა ხელოვნური ნაგებობების მდგომარეობას.

№ 2 მობილური ბრიგადა შეისწავლის საშუალო და დიდი ზომის ხელოვნურ ნაგებობებს. მის შემადგენლობაში შევლენ ასევე საპროექტო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

№ 3 მობილური ბრიგადა შეისწავლის ლოკომოტივების, სავაგონო-სამგზავრო მეურნეობის მდგომარეობას და იმუშავებს მატარებლების მოძრაობის ორგანიზების, ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის საკითხებზე.

მობილური ბრიგადების დისლოკაციის ადგილები იქნება შემდეგი დასახლებული პუნქტები: გაგრა, სოხუმი, გალი. ზემოაღნიშნულ დასახლებულ პუნქტებში აფხაზური მხარე უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურების, კავშირგაბმულობის, მობილური ბრიგადების წევრთა კვების, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, და შეიმუშავებს წინასწარ ბიუჯეტს იმ მიზნით, რომ მხარეებმა შეათანხმონ იგი და განსაზღვრონ დაფინანსების წყაროები.

მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ კოორდინატორთა თათბირი გამართონ თბილისში, 2005 წლის 11 ივლისს. ამ შეხვედრის შემდეგ, მხარეთა ექსპერტები შეიმუშავებენ კვლევითი სამუშაოების განხორციელების უშიშროების უზრუნველყოფისთვის გამიზნულ ღონისძიებათა კომპლექსს.

ოქმს ხელი მოაწერეს აფხაზეთის ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ, რუსეთის სარკინიგზო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს საქმეთა მმართველის მოადგილემ იგორ ივანოვმა, საქართველოში გაეროს მისიის მეთაურმა ჰაიდი ტალიავინიმ.

**კომენტარი**

ვლადიმერ ბელიავსკი, სარკინიგზო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს სამხრეთის ტერიტორიული სამმართველოს ხელმძღვანელი, შეხვედრის მონაწილე: „გალში გამართულმა მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ მხარეებს განზრახული აქვთ უახლოესი მომავლისთვის დაიწყონ აფხაზეთის ტერიტორიის გავლით გამჭოლი სარკინიგზო მოძრაობის აღდგენისთვის გამიზნული პირველი სამუშაოები... ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლის რკინიგზის ინფრასტრუქტურაში არსებულ სიტუაციას და უშიშროების საკითხები გადაწყდება კომპლექსურად“.

ჰაიდი ტალიავინი, გაეროს სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში: „შეხვედრა გაიმართა ძალზე კონსტრუქციულ ვითარებაში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია. ივნისის შუა რიცხვებში ასეთივე სულისკვეთებით გაიმართა შეხვედრა მოსკოვშიც. ეს მოწმობს იმას, რომ ყველა მხარეს სურს ამ საკითხის დაძვრა გაყინული წერტილიდან... რეგიონის ქვეყნების დამაკავშირებელი სარკინიგზო კომუნიკაციების აღდგენა სერიოზული საკითხია და ძალზე კარგია, რომ მხარეებს აქ აქვთ საერთო ინტერესები“.

REGNUM

# ყველა საკორესპონდენტო ანგარიში შენარჩუნებულია

**აფხაზეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარემ ილარიონ არღუნმა უარყო თავისი ქართველი კოლეგის რომან გოცირიძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთში გაყინეს აფხაზური ბანკების ანგარიშები ამ ქვეყნის კომერციულ ბანკებში.** – რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ბანკების ყველა საკორესპონდენტო ანგარიში შენარჩუნებულია, – თქვა „აფსნიპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ილარიონ არღუნმა. საქართველოს თხოვნით აფხაზური ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების შესაძლო დახურვასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მოხსნილია, დასძინა მან.

ეროვნული ბანკის თავმჯდომარემ კატეგორიულად უარყო ქართული მხარის მიერ გამოთქმული ბრალდება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში არალეგიტიმურად მოქმედებს დაახლოებით 50 რუსული კომერციული ბანკი, რაც „ქმნის ნიადაგს სხვადასხვა სახის ფინანსური მაქინაციებისთვის, მათ შორის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისთვის“.

„ყველა ჩვენი ბანკის საქმიანობა გამჭვირვალეა და ასეთ ბრალდებას არანაირი საფუძველი არა აქვს“, – აღნიშნა ილარიონ არღუნმა. როგორც მან თქვა, აფხაზეთის ბანკებს აქვთ სხვა ბანკებთან თანამშრომლობის უფლება. ილარიონ არღუნმა აბსურდული უწოდა საქართველოს ეროვნული ბანკის წინადადებას ქართულ კომერციულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნის შესახებ. „ამის არანაირი საჭიროება არ არსებობს“, – დასძინა მან.

АПСНЫПРЕСС

# სატელეფონო საუბრები პუტინის

**რუსეთის მოქალაქეები, როგორც წესი, ტელევიზიის მეშვეობით იგებენ ხოლმე როცა ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი ტელეფონით ესაუბრება რომელიმე ქვეყნის ხელმძღვანელს.**



2004-2005 წლების განმავლობაში პრეზიდენტის სატელეფონო საუბრების სიით თუ ვიმსჯელებთ, დავადგენთ, რომ პუტინი ყველაზე ხშირად დაუკავშირდა გერჰარდ შრედერს (13-ჯერ). მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ჯორჯ ბუშმა და ...მიხეილ სააკაშვილმა (12-12-ჯერ). თუ ავიღებთ მარტო მიმდინარე წლის მონაცემებს, დავინახავთ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას სურს, მხედველობის არედან არ დაკარგოს, უწინარეს ყოვლისა, უკრაინა: თანამეგობრობის წევრი-ქვეყნების ლიდერთაგან ყველაზე ხშირად პუტინი უკავშირდებოდა ვიქტორ იუშჩენკოს (სამჯერ). ჩვენ ასევე დავადგინეთ, რომ უცხო ქვეყნების ლიდერებთან ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბრები საშუალოდ 10 წუთს გრძელდებოდა.

(...)

ვის დაურეკა პუტინმა?

ამ ბოლო წლინახევრის განმავლობაში სატელეფონო საუბრების მხრივ გამოიკვეთა ლიდერთა ხუთეული: 1. შრედერი (13-ჯერ); 2. ბუში და სააკაშვილი (12-12); 3. შირაკი (10); 4. ნაზარბაევი (8); 5. ბლერი და ბერლუსკონი (7-7-ჯერ).

**(იბეჭდება შემოკლებით).**

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ


## შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ 2005 წლის 5 აგვისტოს აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ქ. ზუგდიდის ადმინისტრაციული შენობის თავისუფალი ფართის იჯარით გაცემაზე

**I. ინფორმაცია იჯარით გასაცემი ქონების შესახებ:**

ა) მეიჯარე – შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

ბ) ობიექტის დასახელება: „ელექტროსისტემის“ დასავლეთის რეგიონის ზუგდიდის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 1970,4 კვ. მ თავისუფალი ფართი;

გ) შესაძლებელია მთლიანი ფართის ნაწილობრივი (ცალ-ცალკე) გაქირავებაც;

დ) მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 90;

ე) 1 კვ. მ ფართის ყოველთვიური საწყისი საიჯარო ქირა შეადგენს 5 ლარს;

ვ) მთლიანი ფართის საწყისი საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 118 224 ლარს;

ზ) „ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება მთლიანად ან ნაწილობრივ გასაცემი ფართის წლიური საიჯარო ქირის 10 პროცენტის ოდენობით; „ბე“-ს სიდიდე გადახდილი უნდა იქნეს „ელექტროსისტემის“ შემდეგ ანგარიშზე: **ბანკი „რესპუბლიკა“ კოდი: 220 101 757, ა/ა 334 030 001.**

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათაო ოფისს, მის.: **ბარათაშვილის ქ. № 2, III სართ., ოთახი 344, ტელ/ფაქსი: 26-15-72, შიდა: 28-77, 21-72.**

**II. აუქციონის პირობები:**

1. საიჯარო/ქირავნობის ქირის ყოველთვიურად გადახდა;

2. ქონება გადასაცემად ელექტროსისტემასა და „მოიჯარე“-ს შორის ორმხრივად ხელმოწერილი ქონების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

3. ქირის გადახდის სახელშეკრულებო ვადების დარღვევისთვის „მოიჯარის“ მიერ ქირის წარმოქმნილი დავალიანების საერთო თანხის 0,1 პროცენტის გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

4. ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებული კომუნალური გადასახდელების (ელექტროენერგიის, გაზის, დასუფთავების და სხვ.) „მოიჯარე“-ს მიერ გადახდა;

5. ხელშეკრულების შეწყვეტა ელექტროსისტემის ინიციატივით:

ა) თუ „მოიჯარე“ არ გადაიხდის სამი თვის ქირას, მათ შორის ფორს-მაჟორის მიზეზით;

ბ) თუ „მოიჯარე“ ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მიუხედავად წინასწარი გაფრთხილებისა;

გ) თუ „მოიჯარე“ გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას;

დ) ცალმხრივად, „მოიჯარე“-სათვის 60 დღით ადრე შეტყობინებით;

ე) ცალმხრივად, აღნიშნული ქონების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პრივატიზების დღიდან.

6. „მოიჯარე“-ს არ აქვს უფლება გასცეს ქონება ქვექირავნობით ან სხვა ანალოგიური გარიგების საფუძველზე რომელიმე მესამე პირზე.

7. „მოიჯარე“-ს არ აქვს უფლება გამოიყენოს ან/და ისარგებლოს გადაცემული ქონებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნებისთვის ან/და განსხვავებული ფორმით.

8. „მოიჯარე“-ს არ აქვს ქონების გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება, ელექტროსისტემის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

9. იჯარით/ქირავნობით გაცემული ქონების განადგურების ან/და გაუვარგისების დაფიქსირების ემთხვევაში, „მოიჯარე“ ვალდებულია აუნაზღაუროს ელექტროსისტემას ქონების სრული საბალანსო ღირებულება ხელშეკრლების დადების დღის მდგომარეობით.

10. „მოიჯარე“-ს ეკისრება გადაცემული ქონების მიმდინარე რემონტის საკუთარი ხარჯით წარმოების ვალდებულება, ამასთან მიმდინარე რემონტის სახეობა და სპეციფიკაცია წინასწარ წერილობით უნდა შეთანხმდეს „მეიჯარესთან“. რემონტზე დახარჯული თანხები „მოიჯარე“-ს არ უბრუნდება.

11. აუქციონში მონაწილეობის მსურველმა რეგისტრატორთან უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განაცხადს, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება და „მეიჯარი“-ს თანხმობა გამოცხადებული აუქციონის პირობების შესრულებაზე;

ბ) „მეიჯარი“-ს მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ;

გ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სსე-ის მიერ მითითებულ ანგარიშზე;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

12. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების თარიღამდე. ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში.




# წარმატებული შეჯახება

**ნასას „დიფ იმფექტ“ კოსმოსური ზონდიდან გაშვებული 372 კილოგრამი წონის სპილენძის ბლოკი შეეჯახა ტემპელ-1 კომეტას. როგორც მეცნიერები ამბობენ, დიდ სიჩქარეზე მომხდარი ეს შეჯახება მათ დაეხმარებათ ამ ციური სხეულის „შიგთავსის“ შესწავლაში. ჩვენს ირგვლივ სამყაროს შესწავლის დროს კაცობრიობას ჯერ მსგავსი ექსპერიმენტი არ განუხორციელებია.**

კომეტის გამოკვლევა მეცნიერებს საშუალებას მისცემს შეისწავლონ ჩვენი მზის სისტემის ფორმირებისა და დედამიწაზე სიცოცხლის ჩასახვის ისტორია. მოვლენათა განვითარებას თვალყურს ადევნებდნენ როგორც კოსმოსურ ხომალდზე, ისე დედამიწაზე განლაგებული სხვადასხვა ხელსაწყოს მეშვეობით.

შეჯახება მოხდა 4 ივლისს, გრინვიჩით დილის 5 საათსა და 52 წუთისთვის. მეცნიერთა გაანგარიშებით, კრატერი, რომელიც წარმოიქმნა შეჯახების შედეგად, დაახლოებით ფეხბურთის მოედნის ზომის უნდა იყოს. ამ მომენტისთვის კოსმოსური ხომალდი დედამიწიდან 133 მილიონ კილომეტრ მანძილზე იმყოფება.

კომეტები – ძირითადად ყინულისა და კოსმოსური მტვრისგან შემდგარი სხეულები, ბრუნავენ მზის ირგვლივ. მათი ორბიტები ხშირად მზის სისტემის ფარგლებს გარეთაცაა გადაჭიმული.

ტემპელ-1 კომეტა, ისევე როგორც სხვა მსგავსი ციური სხეულები, შეიცავს ზოგიერთ ისეთ ნივთიერებას, რომელთა ასაკი სამყაროს ფორმირების მომენტს განეკუთვნება. სწორედ ამ ნივთიერებამდე ცდილობენ მიღწევას მეცნიერები ბლოკის მეშვეობით.

ბლოკი კომეტას შეეჯახა საათში 37 ათასი კილომეტრი სიჩქარით. მისი „სიცოცხლის“ ბოლო წამები ჩაიწერეს და დედამიწაზე გადმოსცეს სპეციალური კამერით.

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ სწორედ კომეტებმა მოიტანეს თავის დროზე დედამიწაზე წყალი, აგრეთვე ის ზოგიერთი ქიმიური სტრუქტურა, რომლებიდანაც მოგვიანებით ჩაისახა სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე.

# ბუში მხარს უჭერს ახალ ტექნოლოგიებს, მაგრამ ეწინააღმდეგება კიოტოს ოქმს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აცხადებს, რომ შეუძლებელია ამერიკა შეუერთდეს ეკოლოგიის სფეროში დადებულ ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, როგორიც არის კიოტოს ოქმი.**

ბრიტანული „აი-თი-ვი“ ტელეარხით გამოსვლისას, ბუშმა თქვა, რომ გაცილებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ისეთი ტექნოლოგიების განვითარება, რომლებიც გადაჭრიდნენ გლობალური დათბობის პრობლემას. როგორც ბუშმა თქვა, იგი სწორედ ამ კუთხით აპირებს განიხილოს ეგრეთ წოდებული „რვა დიდი ქვეყნის“ ლიდერებთან შეხვედრაზე დედამიწაზე კლიმატის შეცვლის პრობლემა.

ბუშმა აღიარა, რომ არ შეიძლება გლობალური დათბობის პრობლემის უგულებელყოფა, და რომ ადამიანის საქმიანობასაც „გარკვეულწილად“ მიუძღვის ბრალი შექმნილ ვითარებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ იგი გაილაშქრებს კიოტოს ოქმის მსგავსი იმ ნებისმიერი შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს ატმოსფეროში სათბურის გაზის გამოფრქვევის შემცირებას.

ბუშმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები აქტიურად აბანდებს ინვესტიციებს ისეთი ტექნოლოგიების განვითარებაში, რომლებიც გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას მოგვცემს. – ჩემი აზრით, ჩვენ შევძლებთ ეკონომიკის განვითარებას და პარალელურად მავნე გაზების წინააღმდეგ ბრძოლას, – თქვა ბუშმა. ვაშინგტონის პოზიცია ასეთია: კიოტოს ოქმი, რომელიც ზღუდავს სათბურის გაზის გამოფრქვევის მოცულობას და ვრცელდება მხოლოდ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე, დიდ უპირატესობებს ანიჭებს იმ ქვეყნების ეკონომიკებს, რომლებიც არ შედიან შეთანხმებაში, უწინარეს ყოვლისა, ჩინეთს, ინდოეთს და ბრაზილიას.

რაც შეეხება შოტლანდიის სამიტის დღის წესრიგის მეორე პუნქტს, როგორც ბუშმა განაცხადა, შეერთებული შტატები მზად არის უარი თქვას სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებზე იმ მიზნით, რომ დაეხმაროს აფრიკის ქვეყნების განვითარებას. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი უარს იტყვის სოფლის მეურნეობის სფეროში სუბსიდიების შესახებ თავის ხელშეკრულებაზე.

როგორც ცნობილია, ეგრეთ წოდებული „რვა დიდი ქვეყნის“ სამიტი ოთხშაბათს დაიწყება შოტლანდიაში და იგი სამ დღეს იმუშავებს.





## მოწვევა ტენდერზე

საქართველო

**ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი**
**საბითუმო ელექტრომრიცხველების შესყიდვა**

**კრედიტის No: 3502-GE და 3502-1GE**
**მოწვევის No: T-0505W-0019**

1. წინამდებარე მოწვევა ტენდერზე ქვეყნდება ამ პროექტისათვის 2004 წლის 9 დეკემბერს Development Business-ში (No 645) გამოქვეყნებულ შესყიდვებზე ზოგადი განაცხადის საფუძველზე.

2. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისგან (IDA) საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის (EMSP) დასაფინანსებლად. ამ კრედიტის ნაწილი გამოყენებული იქნება საბითუმო ელექტრომრიცხველების შესაძენად, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფრასტრუქტურისთვის.

3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა კონკურსში იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა მათ წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები (შემოთავაზებები) საბითუმო ელექტრომრიცხველების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების მოწოდებაზე გადაცემის ქსელისათვის. მოწოდებას ექვემდებარება 4-სადენიანი ელექტრომრიცხველები, მონაცემთა კონცენტრატორები, GSM მოდემები და ანტენები და მრიცხველების კაბინები თერმოსტატიკული გათბობის მოწყობილობებით. მოწოდებული მოწყობილობის დამონტაჟებას განახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა საკუთარი ძალებით ან ცალკე კონტრაქტით.

4. შერჩევა ჩატარდება საერთაშორისო სატენდერო შერჩევის პროცედურების შესაბამისად, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს ***“შესყიდვა IBRD სესხებით და IDA კრედიტებით”*** მიხედვით და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მონაწილეს, ამ სახელმძღვანელოთი განმარტებული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქვემოთ მოყვანილ მისამართზე **$09^{00}$ დან $15^{00}$ საათამდე** სამუშაო დღეებში.

6. სატენდერო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია მას შემდეგ, როდესაც მონაწილეები წარმოადგენენ წერილობით განაცხადს ქვემოთ მოყვანილ მისამართზე და ასევე გადაიხდიან 250 ლარს ან მის ეკვივალენტს 140 აშშ. დოლარს. გადახდის მეთოდი არის პირდაპირი დეპოზიტი ბანკის შემდეგ ანგარიშზე:

**TBC-ბანკი თბილისში, კოდი 220101830**
**ანგარიში No 35700033 ქართული ლარი,**
**ანგარიში No 70070842 ამერიკული დოლარი**
**SWIFT კოდი : TBCB GE 22,**
**მიმღები: პროექტის მომსახურე ორგანიზაცია (PSO).**

მონაწილეებს დუკუმენტაცია გაეგზავნებათ კურიერული ფოსტის საშუალებით. დაინტერესებულ მონაწილეებს ელექტრონული ვერსიის მიღება შეუძლიათ E-mail-ით.

7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტებით ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს **2005 წლის 2 სექტემბრის $15^{00}$სთ-მდე** ადგილობრივი დროით. ყველა საკონკურსო წინადადებას უნდა ახლდეს **50,000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ. დოლარის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის საგირავნო უზრუნველყოფა (ბიდ security)**. დაგვიანებით შემოსული წინადადებები უგულებელყოფილი იქნება. საკონკურსო წინადადებების კონვერტების გახსნა მოხდება ქვემოთ მოყვანილ მისამართზე **2005 წლის 2 სექტემბერს $15^{00}$ სთ-ზე ადგილობრივი დროით** ტენდერში მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, თუ ისინი გამოხატავენ სურვილს დაესწრონ ამ ღონისძიებას.

**მისამართი:**

ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მომსახურე ორგანიზაცია (PSO)
თეიმურაზ ჯუღელი, დირექტორი
ბარათაშვილის ქუჩა N2
0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 923 483;
ფაქსი: (995 32) 923 482;
E-mail: tjugeli@pso.ge (jakhalaia@pso.ge)

## Invitation for Bids

**GEORGIA**
**ELECTRICITY MARKET SUPPORT PROJECT**
**PROCUREMENT OF BULK (WHOLESALE) ELECTRICITY METERS**

**Credit No:** 3502-GE and 3502-1GE
**IFB No:** T-0505-W-0019

1. This invitation for bids follows the general procurement notice for this project that appeared in Development Business, issue no. 645 of December 9, 2004.

2. Government of Georgia received credit from the International Development Association toward the cost of Electricity Market Support Project, and it intends to apply part of the proceeds of this credit to payments under the contract for procurement of Bulk (Wholesale) Electricity Meters for utilizing in the infrastructure of the Georgian State Electrosystem.

3. The **Georgian State Electrosystem (GSE)** now invites sealed bids from eligible bidders for the supply of electricity meters and associated equipment for use on transmission networks. To be purchased equipment covers supply 4-wire meter, data concentrator, GSM modem and antenna, meter cabinet with thermostatic heating device. Georgian State Electrosystem (GSE) will carry out installation of the supplied equipment with its own efforts or under a separate contract.

4. Bidding will be conducted through the international competitive bidding procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits*, and is open to all bidders from eligible source countries as defined in the Guidelines.

5. Interested eligible bidders may obtain further information from Electricity Market Support Project Service Organization and inspect the bidding documents at the address given below from 09 a.m. to 15 p.m.

6. A complete set of bidding documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee GEL 250 (two hundred fifty) or in USD 140 (one hundred forty). The method of payment will be under direct deposit on the following bank account:

TBC Bank in Tbilisi, code 220101830
Account No 35700033 Georgian GEL
Account No 70070842 USD
Swift (swift code): TBCB GE 22
Recipient: PSO (Project Service Organization)

The copy of the document will be sent by courier service and interested participants may obtain Electronic version by E-mail.

7. Bids must be delivered to the address below at or before September 2, 2005, 15.00 local time. All bids must be accompanied by a bid security of USD 50, 000 (fifty thousand) or an equivalent amount in a freely convertible currency. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend at the address below on September 2, 2005, 15.00 local time.

Electricity Market Support Project Service Organization (PSO)
Attn. Mr. Teimuraz Jugeli, Director
2 Baratashvili Street
0105, Tbilisi, Georgia
Tel: (995-32) 923-483
Fax: (995-32) 923-482
E-mail: tjugeli@pso.ge (jakhalaia@pso.ge)

◉ მამები და შვილები

# სულიერ მარტოობაში ისევ და ისევ მამის სული მიმიძღვის გზამკვლევად

## მარგინალიები ძველი და ახალი რვეულებიდან, კინოსცენარები, რეცენზიები, წერილები...

**ასე ჰქვია, თამამად შეიძლება თქმა, დღესაქამომდე ერთადერთი უაღრესად ნაყოფიერი პროფესიონალი ქართველი კინოდრამატურგის სულიკო ჟღენტის წიგნს, სადაც თავმოყრილია ბევრი აქამდე უცნობი მასალა. ამასთან, მკითხველს გამოჩენილი სცენარისტის დაუვიწყარ კინოგმირებთან კიდევ ერთხელ შეხვედრის ბედნიერებაც ელის. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „აჯარამ“ (რედაქტორი რამაზ სურმანიძე), შეადგინა ბატონ სულიკოს ქალიშვილმა ოლიკო ჟღენტმა, რომლის წერილსაც, წიგნისთვის ბოლოთქმად დართულს, ქვემოთ გთავაზობთ როგორც საუკეთესო მამაშვილობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს.**




ამ წიგნში წარმოდგენილია მასალები, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ ადამიანს გარკვეული თვალსაზრისი შეექმნება სულიკო ჟღენტის, როგორც ადამიანის — პიროვნების, შემოქმედის, მოაზროვნის, უბრალოდ, ომში ნამყოფი „ბიჭის“, „ღიმილის ბიჭის“ შესახებ.

ჩემთვის და ჩვენი პატარა ოჯახისთვის მამა ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი და ძვირფასი ნაწილი იყო. იგი იშვიათად გვტოვებდა ჩვენ, როცა ეს საქმისთვის იყო აუცილებელი, სხვა დროს ყოველთვის თითქმის ერთად ვიყავით — სახლშიც, მივლინებებშიც, მოგზაურობის დროს. ჩვენ ერთი პატარა „ბოშათა ბანაკი“ ვიყავით, რომელიც თითქმის ყოველთვის ერთად გადაადგილდებოდა...

მამა ჩვენს პატარა სასადილო ოთახში იჯდა მაგიდასთან მუდმივი სიგარეტით და საფერფლით. ჩვენ ეს სიგარეტი გვძულდა, რადგან მამას გვართმევდა, ის კი ძალიან გვიყვარდა. დედას მამის მიმართ რაღაც არქაული დამოკიდებულება ჰქონდა. მისთვის იგი ოჯახის პატრიარქი და ხელის გულზე სატარებელი პიროვნება იყო.

მამას მაგიდაზე მუდმივად ეყარა ავტოკალმები, ფანქრები, საშლელი, დაფერფლილი ფურცლები, სიგარეტის კოლოფები, ნამწვებით სავსე საფერფლე... ქვემოთ, ფეხებთან, ხან კიდევ სკამზე ზურგს უკან, ხან საპირისპირო სკამზე — განუყრელი ჩიკო — ოჯახის ძაღლი, რომელიც უკვე ოცი წელია ჩვენთანაა. იქვე მიდგმული ხან ნავთის, ხან ელექტრონის, ხანაც გაზის ქურა, — დროის მსვლელობის და შესაძლებლობის შესაბამისად... დედაჩემის შეხსენებები პერიოდულად: „სულიკო, ამდენს ნუ ეწევი...“ მამა თავისთვის მუშაობდა, წერდა, მაგრამ გულისყური მაინც ჩვენკენ ჰქონდა მოპყრობილი. არც ერთი ჩვენი მოძრაობა თუ ნაფიქრი არ გამოეპარებოდა. ალბათ, ამიტომაც არ შედიოდა მისთვის განკუთვნილ „ბოლო ოთახში“ (როგორც ჩვენ დავარქვით), რომელშიც, მისი თქმით, 25 წლის განმავლობაში სულ ორჯერ თუ იყო ნამყოფი. მის მაგივრად იქ ჩვენი მოკრძალებული პიანინო განისვენებდა. მასაც არავინ აწუხებდა დიდად...

... მამა სულ რაღაც 16 წლისა ფრონტზე გაიპარა. იარაღის სიყვარულმა წამიყვანაო, იტყოდა. მაგრამ მთლად ასეც არ უნდა ყოფილიყო, რადგან მის ნაწერებში, ჩანაწერებში, რომლებიც ზოგჯერ ნაფლეთზე, ხელსახოც ქაღალდზე, გაზეთის ნახევებზეა დაფიქსირებული, — ყველგან ჩანს ფიქრი, ფიქრი, ფიქრი ცხოვრებაზე, წუთისოფელზე, მის რაობაზე, მისდამი ადამიანის მიმართებაზე. ერთ პატარა ჩანაწერში ისიც ვიპოვე, თურმე მთელი ცხოვრება რომ აწვალებდა აზრი, თუ რატომ წარსდგა ჩვენი უფალი იესო ქრისტე პილატეს სამსჯავროზე თავის უმართლებლად; იგი წერს, პასუხი ვიპოვე ბოლოს და ბოლოსო... და ამ პატარა ფურცლიდან ვიგრძენი, როგორი ბედნიერი იყო მამა ამ პასუხის პოვნით. მამამ მართლაც იპოვა თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში ჭეშმარიტი ღმერთი; იგი ღრმად მონანიებული, ალსარებული და ზიარებული გადავიდა ღმერთის მარადიულ სამყოფელში. ეს ფაქტი მგვრის მხოლოდ უდიდეს შვებას, როცა მამაზე ვიწყებ ფიქრს, მაგრამ ის არ ვიცი, როდის ვიწყებ ამ ფიქრს, ან როდის ვამთავრებ.

მეგონა, მამას მთელი ჩემი ცხოვრება საუკეთესოდ ვიცნობდი, მაგრამ მისი ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის პერიოდში მივხვდი, რომ მხოლოდ ახლა ვიწყებდი მშობლის შეცნობას და იგი წარმომიდგა სრულიად განსხვავებულად. მივხვდი, როგორ იდგამდა ჩემში, ჩემს დაში ღრმა ფესვებს მისი პიროვნება. მთელი ცხოვრება მამა იუმორით აღსავსე, მაგრამ ბერულად სიტყვაძვირი კაცი გახლდათ, თუმცა მის გვერდით ცხოვრება ბუმბულივით მსუბუქი იყო...

მწოლიარე მამა გამოჯანმრთელებაზე და უფლის სტიქაროსნობაზე ოცნებობდა. საწოლი არ მინდა, პირდაპირ ეკლესიის იატაკზე დავიძინებო, ამბობდა. ძალიან უნდოდა ამის განხორციელება... ყვებოდა თავისი ბავშვობის ეპიზოდებს, ზოგჯერ საშინელი იდუმალებით აღსავსეს, რადგან მისი ბავშვობა გასაბჭოების პირველ წლებს დაემთხვა. ყვებოდა, როგორ ოცნებობდა იარაღზე, რომელსაც დეიდას ქმარი ჰპირდებოდა, და როგორ აედევნა დედას გულაჩქროლებული, როდესაც დეიდას ქმარი — ნოე ჩეკაში დაიბარეს. დედა კივილით მირბოდა თავისი დის სახლისკენ საშინელების მოლოდინით, პატარა სულიკო კი, თურმე, დეიდას იმას ეძახოდა, ჩქარა შეპირებული იარაღი მომეცითო... რამდენიმე წლის შემდეგ ბიძია ნოემ, რომელიც შესანიშნავი პიროვნება იყო, და რომელიც ღმერთმა არ გასწირა, მართლაც აჩუქა „ფილთათოფი“ და მამაზე ბედნიერი მაშინ არავინ იყო თურმე.

კიდევ ის იყო, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში მამა ღამის საათებში ერთსა და იმავე დროს ილვიძებდა, გვერდით, გასაშლელ საწოლზე მყოფ ჩემს დას აღვიძებდა და შეშინებული უმეორებდა: — მეუბნებიან, ანტიქრისტეს საათია, გაფრთხილდითო... ეს სამი-ოთხი ღამე მეორდებოდა.

როცა მამამ კარგად გაგვაცნო თავი, როცა ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენს სულებში, როცა ამ ფესვებზე ნერგმაც იხარა, და როცა ჩვენი სულების სარკმლებში სინათლე აინთო, როცა წუთისოფელი მამასთან ერთად უფრო ჭეშმარიტებით გავითავისეთ, — მამა წავიდა, მიგვატოვა, მაგრამ საოცარი გარდასახვა მოხდა. წავიდა ხორცით, სულით კი უფრო სისავსით დაგვიკავშირდა. ღმერთმა ასე ინება, რომ იგი მართლაც უფლის სტიქაროსანივით გვაკვალიანებს, გზას გვიხსნის, გვმოძღვრავს, გვარიგებს.

მამა ყოველგვარ პოლიტიკას უარყოფდა. მხოლოდ უშუალო ადამიანური ურთიერთობები უყვარდა. რუსეთში, ჩეხეთში, ესპანეთში თუ სხვაგან — ყველგან საქართველოს ნაწილს ეძებდა, და რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, — პოულობდა. მას ყველგან, სხვა ქვეყნებშიც მეგობრები ჰყავდა. ისინი უყვარდა, ენატრებოდა. მათაც უყვარდათ მამა. მე ამას ვხედავდი, ვგრძნობდი...

მახსოვს ერთხელ, როცა ესპანელი კინოპროდიუსერი ერთობლივი ფილმის გადასაღებად მამის ლიბრეტოს გაეცნო, რამდენიმე ხნის შემდეგ აღელვებულმა მამას დაურეკა და უთხრა: ლიბრეტო ჩვენს ცნობილ რეჟისორს, მონჩო ალმენდარისს (მონჩო ალმენდარისის ფილმს „გულის საიდუმლოებანი“ 1998 წელს საუკეთესო ევროპული ფილმის ნომინაციით „ოსკარი“ მიენიჭა) გავაცანი და მთხოვა სასწრაფოდ ავტორთან შემახვედრეო. თანაც დასძინა, მონჩო ესპანეთში ძალიან ჭირვეულ რეჟისორად ითვლება, დიდი ხანია, რაც ფილმებს აღარ იღებს, უკვე უამრავ პროექტზე თქვა უარი, რადგან შესაფერისი იდეები ჯერ ვერ მიპოვიაო, ამბობს. კინოში მის ხანგრძლივ „დუმილზე“ უკვე ტელევიზია და პრესაც ალაპარაკდა. მასთან შეხვედრა შედგა... შემდეგ შეხვედრები გახშირდა. მამა ესპანელ რეჟისორს მომავალი ფილმის ეპიზოდებს უამბობდა, უფრო სწორად, უხატავდა. ჩვეულებრივ, რეალობა და გამოგონილი ერთმანეთს ბუნებრივად ერწყმოდა, ესპანელი და ქართველი ქალ-ვაჟის სასიყვარულო ისტორია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ფონზე ვითარდება და მოულოდნელად წყდება, ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ (ორმოცდაათი წლის შემდეგ), კვლავ გრძელდება და საუკუნის დასასრულს მათი ხანმოკლე შეხვედრა უცნაურ აზრობრივ სიღრმეებს იძენს...

ასე შეიქმნა სცენარი „იბერიული ბალადა“. „ვიცი, რასაც მიამბობთ, სცენარზე მუშაობისას ბევრი ეპიზოდი აქედან არ შევა, ამიტომ უმჯობესია თქვენი ხმა მაგნიტოფონის ფირზე ჩავიწერო, რაც ფილმის გადაღების პროცესში ძალიან დამეხმარებაო“, — უთხრა რეჟისორმა მამას. სამწუხაროდ, მონჩოს დიდი სურვილის მიუხედავად, ფილმი არ შედგა, მაგრამ ფირზე დარჩა მამის ცოცხალი ხმა — ხანგრძლივი ნაღვლიანი მონოლოგი ერთ იბერიულ ბალადაზე, ეს ხმა თითქოსდა მთლიან წარმოდგენას გვიქმნის მომავალი ფილმის გმირებზე, მის რიტმზე, ინტონაციაზე... ახლა, როცა ვათვალიერებ სცენარს — „იბერიული ბალადა“ — ვხედები, რომ ის ფიქრები, განცდები, რაც მამას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით აღელვებდა და აწვალებდა, რაც დროდადრო მის ცალკეულ ჩანაწერებში ჩნდებოდა, ფიქსირდებოდა, მის ერთ-ერთ უკანასკნელ სცენარში გადავიდა, განზოგადდა, დროსა და სივრცეში გამთლიანდა; თითქოსდა ასწრებდა ბოლომდე აეხსნა სიკვდილ-სიცოცხლის არსი.

ომიდან დაბრუნებულ მამას სახლში ბარათი დახვდა, გაყვითლებული ფურცელი, რომელიც მის დაღუპვასა და დასაფლავების ადგილს აუწყებდა მის მშობლებს. თითქოს მართლაც ასე იყო — ის ბიჭი, ომში რომ წავიდა, აღარ დაბრუნდა. მოვიდა სხვა, სული იმ ბიჭისა, მხოლოდ უფრო დაბრძენებული, ჭირგამოვლილი, სიკვდილს თვალებში ჩახედული. მამას მფრინავობა უნდოდა ბავშვობიდან. ომიდან დაბრუნებულმა საფრენოსნო სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ ფიქრის და წერის სიყვარულმა სძლია და მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სასცენარო ფაკულტეტზე ჩააბარა. ამ გზას ბოლომდე გაჰყვა.

მე ძალიან მიყვარს ეგზიუპერი და ამით არ ვარ ორიგინალური. მამა ხშირად მაგონებს ამ პიროვნებას; პარალელს ვავლებ და ბევრ მსგავსებას ვპოულობ, და ბავშვურად მიხარია. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ეგზიუპერი ჩემი მამაა, როდესაც საფრენოსნო სასწავლებელი დაამთავრა და ფრენა დაიწყო; ზოგჯერ კი მგონია, რომ მამა ეგზიუპერია, როცა ფრენის შემდეგ მოქანცული იჯდა და თავის ფიქრებს და ნააზრევს ქაღალდის ფურცლებს ანდობდა. ეგზიუპერი თვლიდა, რომ „ერთადერთი ნამდვილი ფუფუნება ადამიანთა ურთიერთობაა“, და თავი ამ ურთიერთობებს მიუძღვნა. მამა მუდამ იგივეს ახორციელებდა. ეგზიუპერი მეორე მსოფლიო ომის მფრინავი იყო, — მამა — ამ ომში მონაწილე პატარა ბიჭი. ახლა ასე წარმომიდგენია, რომ პატარა პრინცის პატარა პლანეტა საქართველოა, პატარა ცხვარი — ქრისტესთვის შეწირული ჩვენი ერი, გველი — ანტიქრისტე, ჩვენი მოშთობა რომ გადაუწყვეტია, თავად პატარა პრინცი კი ომში ომის ფილოსოფიის შესაცნობად გაპარული ჩემი მამაა.

მამა ადვილად იახლოებდა ადამიანებს, უბრალოებს, როგორც ჩვენ ვეძახდით, და ელიტარებს, როგორადაც ისინი მიიჩნევენ თავიანთ თავს. მამას უყვარდა ეს ადამიანები, კარგები და ცუდები. ცუდში იგი კარგს აღმოაჩენდა და იმ კარგთან მეგობრობდა. ეს თვისება განსაკუთრებით ახასიათებდა მას. არ განიკითხავდა ადამიანებს. ამაში მისი თანდაყოლილი სიტყვაძვირობა ეხმარებოდა. მამა ჭვრეტდა ადამიანებს, ბევრჯერ გული სტკენია მათზე, მაგრამ მიტევების ნიჭი შველოდა. ჩემი ბაბუა ერთ დროს მოწამეთას სტიქაროსანი ყოფილა. ალბათ, ამიტომ მოენატრა სტიქარი მამას. და ახლა, ჩემს წარმოდგენაში დადის პატარა სტიქაროსანი ფეხშიშველა, ომგამოვლილი ბიჭი, რომელიც ღამღამობით მთის მიტოვებული სოფლის აღდგენილ პატარა ეკლესიაში, კუთხეში მიკუნჭული იძინებს და საოცარ სიზმრებს ხედავს. მას ანგელოზები აფრთხილებენ, რომ ანტიქრისტეს საათია და იფხიზლოს, რათა სხვებსაც სიფხიზლისკენ მოუწოდოს...

მამა წავიდა და ჩვენში, მის შვილებში გადმოსახლდა, ჩვენს სულში დაიდო მყუდრო ბინა. მე დავდივარ ბათუმში და ვასწავლი მის სტუდენტებს, რომლებიც მან შეიყვარა, და რომლებიც, სურდა, რომ მის მოწაფეებად წოდებულიყვნენ. მამის მშობლიური სოფელი გურიის მაღალმთიანი სამება იყო, მშობლიური ქალაქი — ბათუმი, რომელიც სისხლხორცეულად უყვარდა. ბათუმში ჩასვლა მისთვის ყოველთვის საკუთარ არსთან დაბრუნების ტოლფასი იყო. სიცოცხლის ბოლო წლებში სევდიანი ღიმილით იტყოდა ხოლმე, — სიზმარში სულ ბათუმს ვხედავო. ბათუმით იგი განახლდებოდა. მისი გონებაც შავი ზღვის ტალღებზე მცურავი გემი იყო; გემი, რომელიც მიდი-მოდის და მრავალ მგზავრს იცვლის; გემი, რომელსაც თავისი მცირე ეკიპაჟი ჰყავს... ეს ეკიპაჟი კი ჩვენ ვიყავით. მამას ჰყავს ერთადერთი ძმა, რომელიც მისი სულის ნაწილს შეადგენს, რომელიც მისი მუდმივი სატკივარი და ფიქრი იყო. რა კარგია, რომ მამას ასე უყვარდა იგი, რადგან ეს სიყვარული ჩვენც გადმოგვცა, და ახლა ჩვენ მასში მამას ვეძებთ.

სულიერ მარტოობაში ისევ და ისევ მამის სული მიმიძღვის გზამკვლევად, როგორც აღელვებულ ზღვაში მყარად მდგარი ერთგული შუქურა...

**ოლიკო ჟღენტი**

◉ აზრები

● **დღეს ყველანი პოლიტიკოსები ვართ. ეს ჩვენი მისწრაფება კი არაა, ეს ჩვენი ბედისწერაა.**

● **თუ ჩვენში რაიმე არის კარგი და გამორჩეული, — ეროვნულია.**

● **როცა შენ გიჭირს, მოძებნე ის, ვისაც შენზე უფრო უჭირს და დაეხმარე მას. ეს უშველის შენს გაჭირვებას.**

● **დაიწმინდება საუკუნეთა მტვერი და მომავალი თაობები იმსჯელებენ ჩვენზე იმის მიხედვით, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ (ჩვენმა თაობამ) ადამიანის სულის ასამაღლებლად.**

● **ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია.**
**ჩვენი მომავალი სიბერეა და მას ვერავინ გაექცევა. ამიტომ, გიყვარდეთ მოხუცები, — თქვენი მომავალი. პატივი ეცით მათ!..**

● **ჰო, ზოგს ცოტა, ანუ მოკლე სული ერგება წილად.**

◉ აზრები

● **ისტორიის კიბეს ნახტომებით ვერ აივლი. ცხოვრება აუცილებლად გაიძულებს მოუბრუნდე გამოტოვებულ საფეხურებს.**

● **რა არის ცხოვრების საზრისი?... ალბათ ის, რომ პასუხი იპოვო ამ კითხვაზე.**

● **საკუთარი კინოსცენარები შვილებივითაა — ვერც ერთ მათგანს ვერ გამოყოფ.**

● **ტკივილი ყოველთვის საკუთარია.**

● **ახლა რომ ასე მოვკვდე, რას იტყვიან ჩემზე?.. — გაიფიქრა X-მა. — ღმერთო, ამას როგორ არ ვუფიქრდებოდი აქამდე! მთავარია არა ის, თუ როგორ იცოცხლე სიკვდილამდე, არამედ როგორ იცოცხლებ სიკვდილის შემდეგ. როგორი სახით შერჩები მარადისობას... რა კარგია, რომ ეს გავიგე. ეს ხომ ძალიან მნიშვნელოვანია. რა კარგი იქნება, რომ შემეძლოს ეს სხვებსაც შევატყობინო, ყველას, მთელ ქვეყნიერებას ვუთხრა ეს...**


სულიკო ჟღენტი მეუღლესთან ერთად. 1996 წელი.

◉ შთამომავლობა

# რატომ ურეკავს ხშირ-ხშირად ერთი აბაშელი ქალი ექიმ ლევან ლორთქიფანიძეს

**გარეგნობით სრულიად ვერ ვამსგავსებ სახელოვან პაპას. კონსტანტინე ლორთქიფანიძე უფრო ტანსრული იყო, ჯმუხი, პირფართე... ლევანი — ბატონი კონსტანტინეს შვილიშვილი — ერთი შეხედვით, მთამსვლელს ჩამოჰგავს — არცთუ მაღალი, თხელთხელი, მოძრავი... ეტყობა, შინაგანად — ძლიერი... საუბრისას თვალებში კეთილი ღიმილი უკრთის... ეს არცაა გასაკვირი, იგი ხომ პროფესიით ექიმია, ღიმილი და გულისხმიერება კი, მოგეხსენებათ, სწორედაც უნდა ახლდეს მკურნალის ყოველდღიურ ურთიერთობას ადამიანებთან.**



ამჟამად ლევანი მე-4 (ყოფილი მე-8) საავადმყოფოს ენდოკრინულ დარღვევათა და ენდოვიდეოქირურგიის განყოფილების ქირურგი-ორდინატორია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებსა თუ პაციენტებს შორის. ეს ავტორიტეტი ოდენ პროფესიონალიზმის გამო არ მოუპოვებია, ვინც კარგად იცნობს, იცის, რომ ლევანის ბიოგრაფია გადაჯაჭვულია საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ავბედით მოვლენებთან, სამაჩაბლოს, აფხაზეთის, სამოქალაქო ომის ტრაგედიულ ქრონიკებთან, რაჭის, საჩხერის ცნობილ მიწისძვრებთან, მაღალმთიანი აჭარის დამეწყვრასთან... როგორც ქირურგი, როგორც კატასტროფის მედიცინის წარმომადგენელი, ლევან ლორთქიფანიძე ერთთავად „ცხელ წერტილებში“ ტრიალებდა.

იგი ნაღვლიანად იხსენებს იმ დღეებს — ტყვიავისა და ქურთას საავადმყოფოებში დაჭრილების მკურნალობას, იმ ავბედით 14 აგვისტოს კი ჭადრაკის სასახლეში შეკრებას, „მხედრიონის“ რიგებში ჩაწერას და უკვე 18-ში სხვებთან ერთად გაგრაში ჩასვლას.

**— ბატონი კონსტანტინე რომ ცოცხალი ყოფილიყო, გაგიშვებდათ?.. —** ვეკითხები.

— არ დამიშლიდა... თქვენ გეცოდინებათ — პაპაჩემი ოთხი წელი იყო ფრონტზე, ორდენები და მედლები არ დაჰკლებია და სწორედ ფრონტული შთაბეჭდილებების შედეგად შექმნა მერე თავისი ცნობილი ნოველები. წარმოიდგინეთ, მამაჩემიც მოდიოდა, მაგრამ ასაკის გამო, ორჯერ დააბრუნეს უკან... ჩვენი ჯგუფი, რომელსაც თორნიკე ბერიშვილი ხელმძღვანელობდა, სპეცდანიშნულებისა იყო... ოპერაციიდან რომ ვბრუნდებოდით, იარაღს სპეციალურ შენობაში ვაბარებდით, ჰაიჰარად არ ვხმარობდით, წესრიგი და დისციპლინა გვქონდა. შეიძლება, ამანაც განაპირობა: ომი რომ დამთავრდა, სულ ორი კაცი (ვაჟკაცი) გვყავდა დაღუპული და 7 დაჭრილი... საერთოდ, ჩემთვის მიუღებელია, როდესაც „მხედრიონზე“ „გადამლაშებულ“ ამბებს ჰყვებიან... „მარადიორი“ და არაკაცი სად არ ყოფილა, აბა, ერთი იკითხეთ, პოლიციელების რაზმებში არ იყვნენ ასეთები?.. ანდა, ჯაბა იოსელიანზე რეებს ამბობს ზოგი! ჯაბასთანა ვაჟკაცი, ჩემი აზრით, ბევრი არ ჰყოლია საქართველოს უახლეს ისტორიას...

... უბედურება ტრიალებდა, ძლივს ვასწრებდით დაჭრილების ევაკუაციას... ტამიშის ოპერაციის დროს სამი დღის განმავლობაში ასორმოცდაოთხ დაჭრილს გავუწიეთ საექიმო დახმარება, თორმეტის ოპერაცია მე თვითონ გავაკეთე... „მარადიორებიო“?.. „მარადიორები“ კი არა, გულქართლი ბიჭები იბრძოდნენ იქ, ჩემო ძმაო... იყო ასეთი — „ბომბორას“ ვეძახდით, სამხედრო, პროფესიონალი სნაიპერი... რა ბიჭი... ტამიშთან დაიღუპა... იქ გავიცანი ირაკლი ამირეჯიბი — ჩვენი ძვირფასი ჭაბუას გმირი ვაჟიშვილი. 11 ჭრილობა ჰქონდა მიღებული... 4 ყუმბარის ნამსხვრევი ამოვუღე, ვეუბნები, ზოგი ოდნავ გაიკაწრება და თბილისში გარბის, დაცხრილული ხარ, გაერიდე აქაურობას-მეთქი. ეგ რომ გავაკეთო, ბიჭები რას იტყვიანო... თვენახევარში დაიღუპა... ეეე... რომელი ერთი გავიხსენო... უკვე საშველი აღარ იყო, 18 სექტემბერს, როგორც იქნა, სოხუმში ჩავფრინდით მე, ვალერი ვაშაკიძე, მიშიკო ჩიკვილაძე, პაატა მილორავა, ავთო ნიქაბაძე, კოტე ლატარია, გურამ აღნიაშვილი, ნუკრი ცისკაძე, სოსო ბანძელაძე, გურამ გაბიძაშვილი... ორი დღე გვბომბეს, სამი კაცი დაგვეღუპა, ექვსი დაიჭრა... ბოლო თვითმფრინავით, როგორც იქნა გამოვაღწიეთ...

**კონსტანტინე ლორთქიფანიძის** შვილიშვილს, რა გასაკვირია, რომ მწერლური ნიჭი დაჰყოლოდა. მართალია, დიდად ჰუმანურ პროფესიას ემსახურება ლევანი, მაგრამ ხანდახან კალმისკენაც წასწვდება ხოლმე ხელი. აი, ნახეთ, როგორ დახატა მან, თავისი თვალით ნანახი, თავისი გულით განცდილი აფხაზეთის ომის ერთი ეპიზოდი, ნამდვილი ამბავი.

## ცოდვა

*— ბოლოა, — გაიფიქრა ზაზამ, როდესაც შუაღამისას, ქვემეხების გრუხუნში, ჩაბნელებულ საფრენ ბილიკზე თვითმფრინავი დაეშვა.*

*რვასაათიანი განუწყვეტელი დაბომბვის შემდეგ მარჯვენა ყურში ნაკლებად ესმოდა. ნუკრის სუდარაგადაფარებულ, დასახიჩრებულ ცხედარს დახედა.*

*— როგორ მშვიდად ეძინა იმ ჯოჯოხეთში, — გადაულაპარაკა თემოს.*

*— რა მითხარი?! — ვერ მიუხვდა მეგობარი.*

*— წუხელ, დაბომბვის დროს, ბეტონის ფილებზე მიწვა და ნახევარ საათს ხვრინავდა, თითქოს დასცინოდა იმ ძაღლიშვილებს, — მისდაუნებურად გაეღიმა ზაზას.*

*— მაგარი ვაჟკაცია, — დაუდასტურა თემომ, თითქოს ცოცხალზე ლაპარაკობდა, — წავედით...*

*თვითმფრინავთან რომ მიირბინეს, ტრაპი მიდგმული დახვდათ. კარებში მფრინავი შემოეგებათ.*

*— ტვირთის გარეშე ორასორმოცდაათი კაცი შეიძლება, — გამარჯობასავით წარმოთქვა.*

*თვითმფრინავის გარშემო ოთხას-ხუთას კაცს მოეყარა თავი. ქალების კივილსა და ბავშვების ტირილს ვერ ფარავდა ქვემეხებისა და ყუმბარმტყორცნების გრგვინვა. ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროულად უტევდნენ აეროპორტს. ტყვიები ჩაბნელებული თვითმფრინავისა და ასაფრენ ბილიკზე შეჯგუფული ხალხის თავზე დასისინებდნენ.*

*— ჯერ დაჭრილები! — მოკლედ გაისმა თემოს ბრძანება.*

*— ერთი..., ორი..., ხუთი..., თხუთმეტი...*

*ოცდასამი დაჭრილისა და ექვსი დაღუპულის ცხედარი წინა სალონში მოათავსა. კარებთან მობრუნებულს გული ეტკინა: ტრაპზე ხალხი ერთმანეთზე გადადიოდა, ჯან-ღონით სავსე მამაკაცები ქალებს ჯობნიდნენ და ცდილობდნენ თვითმფრინავში შემოვარდნას.*

*— მკვდრები მიყავთ და ჩვენ გვტოვებენ, — ყვიროდა ვიღაც.*

*— მართალია, — გაუელვა თავში ზაზას და უცებ გაბრაზდა.*



*— ნუკრი, გურამი და კოტე უნდა დაგვატოვებინონ, — ისევ ცოცხლებივით ახსენა თემომ.*

*— ჯერ ქალები და ბავშვები! — საკუთარი ღრიალი შორიდან მოესმა ზაზას.*

*ხალხი თითქოს ჩაწყნარდა. თვითმფრინავში თითო-თითოდ უშვებდნენ ქალებს, ბავშვებს თავს ზემოთ აწოდებდნენ და ყოველ რიგში სამ ქალს, ოთხ-ხუთ ბავშვს უსვამდნენ კალთებში.*

*— ასორმოცდაათი..., ასორმოცდათეთრმეტი..., ასსამოცდაორი...*

*უცებ ტრაპს გვერდიდან 20-22 წლის ბიჭი ამოჰყვა.*

*— თუ ძმა ხარ, ქვემოთ ცოლი და ორი შვილი მყავს, ამომაყვანინე, მე თვითონ ვრჩები.*

*— შეეხვეწა თემოს.*

*ზაზამ და ორმა დაჭრილმა დიდი წვალებით შემოიყვანეს თვითმფრინავში დედა-შვილი.*

*— ორასორმოცი..., ორასორმოცდაორი..., ორასსამოცდაათი...*

*ტრაპზე ისევ ჩოჩქოლი შეიქნა. ვიღაცა ვიღაცას აგინებდა, ღონიერი სუსტს უკან აგდებდა, შიშისგან შეშლილი, გადაგვარებული სახეები ცდილობდნენ თვითმფრინავში შემოღწევას.*

*— ორასოთხმოცი..., ორასოთხმოცდაორი..., ორასოთხმოცდაექვსი...*

*— რამდენია?! — მფრინავის შეკითხვა ისევ შორიდან მოესმა ზაზას.*

*— 286, უფრო მეტი ბავშვია — თითქოს ნებართვა ითხოვა.*

*— ვერ ავფრინდებით. დაკეტეთ კარები — ცივად მოჭრა მფრინავმა და კაბინისკენ წავიდა.*

*ექვსმა დაჭრილმა თვითმფრინავის კარები რის ვაი-ვაგლახით მიხურა. ზაზა, თითქოს იქ არ იყო, ყველაფერს შორიდან უყურებდა. სალონში დამდგარ გახრწნილი გვამის სუნზე საავადმყოფოს მორგი გაახსენდა და სუფთა ჰაერს მონატრებულივით თვითმფრინავის კარებს გახედა...*

*ილუმინატორში კაცის სახე დაინახა. სასიამოვნო გარეგნობის, ჭაღარათმიანი, სამოცდაათ წელს მიღწეული მოხუცი მუდარით სავსე თვალებით ზაზას მისჩერებოდა, სახის წინ საჩვენებელი თითი აეშვირა და ტუჩებს აცმაცუნებდა.*

*— ერთი კაცი, შვილო, რა მოხდება, ერთი კაცი შემომიშვი, — თითქოს ცხადად გაიგონა. კარებისკენ ნაბიჯი გადადგა.*

*— არ გააღო..., ხალხს ვეღარ შევაჩერებთ, ყველა შემოვარდება და ვეღარ ავფრინდებით..., ესენიც დაიღუპებიან, — დამნაშავესავით ჩუმად ჩაულაპარაკა თემომ და იქვე კარებთან ჩაჯდა.*

*ზაზამ მოხუცს შეხედა. ბერიკაცის თვალებში ისევ მუდარა დაინახა. ვეღარ გაუძლო, თვალი მოარიდა და ილუმინატორს ზურგი შეაქცია...*

*ზაზა გაოგნებული იჯდა ნუკრის ცხედართან. თვალწინ კვლავ ჭაღარათმიანი მოხუცის სახე ედგა.*

*— სადღაც მინახავს, — გაიფიქრა, — უთუოდ დაიღუპება...*

*გულის ჯიბიდან ლოცვანი ამოიღო და ფსალმუნის კითხვა გაიწყო.*

*სამშვიდობოს გასული თვითმფრინავი დედაქალაქს უახლოვდებოდა...*

* * *

**— ლევან, ახლა, როცა იმ უბედურებიდან კარგა ხანი გავიდა, როგორ ფიქრობთ, მაინც, რა გზით უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი?**

— მე შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ომით დაკარგული, ომითვე უნდე დაიბრუნო... ომი ისეთი სიბინძურეა, ვინ შეიძლება მისი მომხრე იყოს, მაგრამ თუ საშველი აღარ იქნება, სხვა რა გზა რჩება?.. დავივიწყოთ ტაო-კლარჯეთივით აფხაზეთიც?!. წარმოუდგენელია!.. ამიტომ მე მივესალმები ჩვენი არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას და ხვალინდელ დღეზე ფიქრს.

**— სასიკეთო თუ დაგამახსოვრდათ იმ ომიდან რაიმე?..**

— დამამახსოვრდა, ოღონდ ეს მოგვიანებით მოხდა აბაშაში, სამოქალაქო დაპირისპირების დროს. მითხრეს, ახალგაზრდა ქალია მოსალოგინებელი, რთული სიტუაციაა და იქნებ დაგვეხმაროთო. მე ზოგადი ქირურგიის კურსი მაქვს გავლილი, ცოტა რამ გამეგება გინეკოლოგიაში და იქვე მყოფ ჩემ მეგობარ ექიმთან — გიორგი გვახარიასთან ერთად გავრისკე საკეისრო... ანგელოზივით ბიჭი გაჩნდა და გახარებულმა დედამ ლევანი დაარქვა ჩემ პატივსაცემად. იგი ხშირად მირეკავს ხოლმე აბაშიდან და მლოცავს. გეუბნებით, ეს ლოცვა გორგასლის ||| ხარისხის ორდენს მირჩევნია, რომლითაც ხელისუფლებამ დამაჯილდოვა.

**რა გასაკვირია, ჭეშმარიტი ექიმისთვის პაციენტის ლოცვაზე დიდი საჩუქარი, აბა, რა უნდა იყოს!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

ამა წლის 27 ივლისს 14 საათზე გაიმართება სს „ენერგოტექკომპლექტის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგით
„საზოგადოებაზე დამაგრებული მიწის ნორმატიული ღირებულების შეტანა საწესდებო კაპიტალში“. მისამართი ჭავჭავაძის 64. აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.
სს ადმინისტრაცია.

განცხადება
სს „პირიმზის“ აქციონერთა საყურადღებოდ
სს „პირიმზის“ აქციონერთა კრების სააღრიცხვო თარიღად დანიშნულია 2005 წლის 15 ივლისი.
სამეთვალყურეო საბჭო.

სს რუსეთის ეეს საქართველოს ფილიალი აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: მარშალ გელოვანის №2. ტელ: 25-18-91.

ოლიმპიური ფესტივალი

# ათვლა დაიწყო



**გუშინ იტალიის საკურორტო ქალაქ ლინიანოში დაიწყო ევროპის ახალგაზრდობის მერვე ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად საქართველოს 54-კაციანი სპორტული დელეგაციაც გაემგზავრა. ევროპის 48 ქვეყნის წარმომადგენლები სპორტის 10 სახეობაში იასპარეზებენ. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები კი ფეხბურთში, ჩოგბურთში, ბაიდარაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და ძიუდოში იბრძოლებენ მედლებისთვის.**

ლინიანომდე მგზავრობა საკმაოდ მომქანცველი გამოდგა. 1 ივლისს ჯერ მიუნხენში ჩავფრინდით. იქიდან კი გზა ავტობუსით განვაგრძეთ დანიშნულების ადგილამდე. ოლიმპიურ სოფელში ნაშუადღევს ჩავედით. აკრედიტაციის გავლის შემდეგ ჩვენი დელეგაციისთვის განკუთვნილ სამსართულიან კორპუსში დავბინავდით. აქაურობა მწვანეშია ჩაფლული. სპორტსმენთა განკარგულებაშია ფეხბურთის მოედანი, ჩოგბურთის კორტები, კალათბურთისა და ძიუდოს დარბაზები. ადრიატიკის ზღვაც სოფლიდან 100 მეტრზეა.

კვირას ოლიმპიური ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა, რომელსაც დაესწრო იტალიაში საქართველოს კონსული ირაკლი ხუცურაული. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტ ლერი ხაბელოვთან და გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილთან საუბარში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენს გუნდში საბრძოლო განწყობილებაა და თითოეული ათლეტი მედლისთვის იბრძოლებს. ფეხბურთელთა მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა გვითხრა, რომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, პირველი შეხვედრა ვისთან გვექნება. ჩემპიონობა თუ გვინდა, ყველა მეტოქე უნდა დავამარცხოთ. თუმცა, აკლიმატიზაციის მიზნით, პირველ მატჩში შვეიცარიელებთან თამაშს ლატვიელების მეტოქეობა ჯობდაო.

**კახა ბერიძე,**
**ლინიანოდან სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.**

ცურვა

# თუმც პეკინამდე ჯერ შორია...

## „საქართველოს რესპუბლიკის' პრიზი – სოფიო თევდორაძეს



**ოთხი დღის განმავლობაში რვაჯერ გამოიძახეს სტარტზე. 4 ოქროს, სამი ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი – ასეთია თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მეთერთმეტეკლასელის სოფიო თევდორაძის მონაგარი საქართველოს მოცურავეთა ღია ჩემპიონატზე, რომელსაც დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრმა უმასპინძლა. ქალთა შორის მსგავსი შედეგი ამ შეჯიბრებაზე არავის ჰქონია, ამიტომაც თევდორაძე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.**

– ექვსი წელიწადია, ცურვაში ვვარჯიშობ, – მითხრა სოფიომ. – ქობულეთში ზღვაზე ბანაობისას შემნიშნა ჩემმა მწვრთნელმა გიორგი აბზიანიძემ და მშობლების თანხმობით 1999 წელს „ლაგუნა ვერეში“ დავიწყე წვრთნა. საქართველოს ჩემპიონობა პირველად 11 წლისამ მოვიპოვე. მას შემდეგ, ყოველ ჩემპიონატზე ვიმარჯვებ ორ-სამ დისტანციაზე. მედლების მხრივ, წლევანდელი მონაგარი, მგონი, სარეკორდოა, თუმცა, დისტანციებზე ნაჩვენები შედეგით უკმაყოფილო ვარ.

დიდი მადლობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, რომელმაც გამომარჩია და სპეციალური პრიზით დამაჯილდოვა. ვეცდები გულშემატკივართა იმედები სხვა დროსაც გავამართლო...

საქართველოს ღია ჩემპიონატის დასკვნით დღეს ორი ჯილდო დაიმსახურა ერთ-ერთმა საუკეთესო მოცურავემ, ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ზურაბ ხომასურიძემ, რომელმაც ამ შეჯიბრებაზე 6 პირველი და 2 მეორე ადგილი დაიკავა. ბატერფლაით 100 მეტრზე გამარჯვებულთათვის უდროოდ დაღუპული საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის მამუკა გომართელის ხსოვნის აღსანიშნავად შპს „კუს ტბის“ პრეზიდენტის ბესო ხარძიანის მიერ დაწესებული ფულადი პრიზი ხომასურაძეს გომართელის ვაჟმა მიშიკომ გადასცა. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ლუკა იოაკიმიდის ხსოვნის თასითაც დაჯილდოვდა.

აქვე გაუწყებთ შეჯიბრების ბოლო დღის პრიზიორთა ვინაობას:

**ქალები. 50 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. სოფიო თევდორაძე (თბილისი), 2. ელენა პაშუტინა (ბაქო), 3. ნინო ბუხრიკიძე (გორი). **100 მ. ბატერფლაი.** 1. ნინო ბუხრიკიძე, 2. ლეილა ისმაილოვა (ბაქო), 3. ხატია ლიქოკელი (თბილისი). **200 მ. გულაღმა ცურვა.** 1. ელენა პაშუტინა, 2. ნინო ბუხრიკიძე, 3. ნასტია გრივაჩი (თბილისი). **200 მ. კომპლექსური.** 1. სოფიო თევდორაძე, 2. ელენა პაშუტინა, 3: ოქსანა გადამხანოვა (ბაქო).

**ვაჟები. 50 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ივანე ლექვთაძე 2. ალექსანდრე მოსეშვილი, 3. ოთარ აბდალაძე (სამივე – თბილისი). **100 მ. ბატერფლაი.** 1. ზურაბ ხომასურიძე, 2. დავით ოქროპირიძე (ორივე – თბილისი), 3. ულვი მამედოვი (ბაქო). **200 მ. გულაღმა ცურვა.** 1. კირილ შირიაევი (რუსთავი), 2. ოლეგ ფეიქრიშვილი, 3. ლაშა მეტრეველი. **200 მ. კომპლექსური.** 1. ირაკლი რევიშვილი, 2.: ივანე ლექვთავე, 3: ილია მანჯგალაძე. **1500 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ზურაბ ხომასურიძე, 2. გიორგი ჩიმაკაძე, 3. ალექსანდრე მოსეშვილი (ყველა – თბილისი).





– წლევანდელი ჩემპიონატი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, – მითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირინა მინქულინამ.** – თანადგომისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს და თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ და მამუკა გომართელის მეგობრებს, რაც შეეხება ორთაბრძოლებს, განსაკუთრებით გიორგი ჩიმაკაძისა და კირილ შირიაევის შედეგები მინდა გამოვყო. გიორგიმ 1500 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. მომზადებული შეხვდნენ ამ ჩემპიონატს საქართველოს ნაკრების წევრები – ზურაბ ხომასურიძე, ივანე ლექვთაძე, ირაკლი რევიშვილი და ალექსანდრე მოსეშვილი, რომლებიც 18-31 ივლისს მონრეალში მსოფლიო ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს. ფინალში მოხვედრაზე ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ ოკეანის გაღმა ნათლად წარმოჩინდება, 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად რა პრეტენზიები შეიძლება გვქონდეს.

მართალია, პეკინამდე ჯერ შორია, მაგრამ ოლიმპიადისთვის თადარიგის აქედანვე დაჭერა, მართლაც რომ, საშური საქმეა.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: სოფიო თევდორაძე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პრიზით; შეჯიბრების მომენტი; მიშიკო გომართელი ზურაბ ხომასურიძეს ჯილდოს გადასცემს.**
**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

რაგბი

# შვიდკაცა ბორჯღალოსნები ფინალში ითამაშებენ

**გასულ შაბათ-კვირას ბათუმმა ევროპის შვიდკაცა რაგბის სერიის ეტაპს უმასპინძლა. შეჯიბრებაში 10 გუნდი (საქართველო, მოლდოვა, ჰოლანდია, აზერბაიჯანი, აჭარა, რუსეთი, რუმინეთი, უკრაინა, ისრაელი, სომხეთი) მონაწილეობდა.**

შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც ზედიზედ სძლია აზერბაიჯანს (36:0), აჭარას (52:0), მოლდოვას (19:10) და ჰოლანდიას (45:0). ნახევარფინალში ბორჯღალოსნებმა რუმინელები დაამარცხეს 21:12 და ფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე იყო რუსეთის ნაკრები. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმაც უნაკლოდ გაწვლეს გადამწყვეტ მატჩამდე ყველა ეტაპი. ჯგუფში დიდი ანგარიშებით მოუგეს სომხებს (57:0), ისრაელის გუნდს (34:0), უკრაინას (45:5), რუმინეთს (12:0), ნახევარფინალში კი მოლდოველებს დააყრევინეს ფარ-ხმალი – 26:12.



ფინალური ორთაბრძოლა დრამატულად წარიმართა. ანგარიში ბორჯღალოსნებმა გახსნეს (7:0), მაგრამ რუსებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ კიდეც 12:7.

შესვენების შემდეგაც სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. ანგარიში 24:12 რომ გახდა, მასპინძლები მაშინ გამოცოცხლდნენ, იყოჩაღეს და ორი ლელოც გაიტანეს, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ნახევარი წუთით ადრე მაინც 2 ქულით ვაგებდით. ჩვენების ბოლო იერიში შედეგიანი გამოდგა – ელიზბარაშვილმა მეტოქე დაალელოვა და შეხვედრაც დამთავრდა. ბორჯღალოსნებმა გაიმარჯვეს 27:24 და შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. გადამწყვეტ ეტაპს 16-17 ივლისს მოსკოვი უმასპინძლებს.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ ბათუმში ერთობ მოულოდნელად დამთავრდა მესამე ადგილისთვის რუმინელთა და მოლდოველთა პაექრობა. მოლდოველებმა იოლად დაამარცხეს თანამოძმეები – 33:12 და კვრაცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ.

**გიორგი გაგუა.**

ჭადრაკი

# სამნი – მსოფლიო ჩემპიონატზე

**უკვე გაუწყეთ, რომ ვარშავაში დამთავრდა ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც რუმინელმა ნისიპიანუმ გაიმარჯვა. მეორე ადგილზე აზერბაიჯანელი რაჯაბოვი გავიდა. ბრინჯაოს მედლის მფლობელის გამოსავლენად ტაი-ბრეიქები დაინიშნა, რადგან მესამე ადგილისთვის 8,5-8,5 ქულით ერთბაშად 7 მოჭადრაკე აცხადებდა პრეტენზიას. ყველას სომეხმა ლევან არონიანმა აჯობა.**



ვარშავაში მსოფლიო ჩემპიონატის 34 საგზურიც გათამაშდა. ლევან ფანცულაიამ, რომელმაც პოლონეთის დედაქალაქში დიდოსტატის მესამე ბალი შეასრულა, რვაქულიანთა შორის უკეთესი კოეფიციენტის წყალობით დაიბევა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური, ზვიად იზორიამ კი საამისოდ ხორვატ დიდოსტატს მლადენ პალაცს სძლია 3:2.

ამდენად, წლეულს საქართველოდან მსოფლიო ჩემპიონატზე ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზვიად იზორია და ლევან ფანცულაია ითამაშებენ.

**ნათია სამხარაძე.**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**ორკვირიანი ევროპული შეკრების შემდეგ თბილისის „დინამო“ დღეს სამშობლოში ბრუნდება და ზუსტად ერთ კვირაში ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო შეხვედრას ტალინში „ლევადიასთან“ გამართავს.**

გერმანიაში წარმატებით დასრულებული სპარინგ-მატჩების შესახებ უკვე ინფორმირებულია ჩვენი მკითხველი, ამიტომ დღეს მხოლოდ შვეიცარიულ, არანაკლებ ნაყოფიერ ბატალიებზე გესაუბრებით.

დინამოელები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ „სენტ-გალენთან“, თუმცა დაცვაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომამ მხოლოდ ფრე მოუტანა 1:1 (გოლი მელქაძემ გაიტანა).

ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი კახი ცხადაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ციურიხის „გრასხოპერსთან“ დუელს და მას ესტონელებთან მომავალი „ჯახის“ წინ გენერალურ რეპეტიციად მიიჩნევდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მან თავის გამოჩენის საშუალება ამჯერად მხოლოდ ოპტიმალურ შემადგენლობას მისცა და არც შემცდარა – 85-ე წუთზე მელქაძის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა – 1:0. სხვათა შორის, ამ ეპიზოდამდე სამი წუთით ადრე მეკარე სტურუამ პენალტი მოიგერია. ასე აიღო „დინამომ“ რევანში იმავე კლუბთან 28 წლის წინათ უეფას თასზე განცდილი სკანდალური მარცხისათვის (გემახსოვრებათ ფრანგ-სომეხი მსაჯის მიშელ კიტაბჯანის მაშინდელი ოინები). სტუმრებმა პრინციპულ მეტოქესთან ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: სტურუა, ალადაშვილი, გიგაური, ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, მეგრელაძე (დვალიშვილი), მელქაძე (მახარაძე).

როგორც მოსალოდნელი იყო, დასკვნით შეხვედრაში „შაფჰაუზენის“ წინააღმდეგ მინდორზე რეზერვისტები გავიდნენ, რასაც ლოგიკური დამარცხება მოჰყვა – 1:2. გოლი მასპინძელთა კარში დვალიშვილმა გაიტანა.

* * *

**ინტერტოტოს თასი. II რაუნდის I მატჩები.**

„ვოლფსბურგი“ – „შტურმი“ 2:2, „კლუჟი“ – „ბილბაო“, 1:0, „სლავენი“ – „გლორია“ 3:2, „ჰამბურგი“ – „პობედა“ 4:1, „გენტი“ – „ზლინი“ 1:0, „ლიბერეცი“ – „ბეითარი“ 5:1, „სიგმა“ – „პოგონი“ 1:0, „ანკარა“ – „დუბნიცა“ 0:4, „სენტეტიენი“ – „ქსამაქსი“ 1:1, „ლოკერენი“ – „იანგ ბოიზი“ 1:4, „ვარტექსი“ – „ინტერი“ 4:3, „დეპორტივო“ – „ბუდუჩნოსტი“ 3:0, „ქალგირისი“ – „დინაბურგი“ 2:0, „ლანსი“ – „ლეხი“ 2:1, „ლომბარდი“ – „გიოტებორგი“ 2:3, „ტამპერე“ – „შარლერუა“ 1:0.

* * *

**მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ფინალი.** არგენტინა – ნიგერია 2:1. **მატჩი III ადგილისთვის.** ბრაზილია – მაროკო 2:1.



ჩოგბურთი

# ლაბაძე - ჩელენჯერის გამარჯვებული

ბიელაში (იტალია) კვირას დამთავრდა 85-ათასევროიანი ჩელენჯერის ტურნირი, რომელშიც ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძეც მონაწილეობდა. ჩვენს თანამემამულეს კარგა ხანია, ტურნირებში პირველი-მეორე წრის გადალახვა უჭირს, ამდენად, ბიელაში მიღწეული წარმატება მისთვის მართლაც მნიშვნელოვანია. ლაბაძემ პირველ წრეში მესამე ნომრად განთესილი პერუელი ლუის ორნა დაამარცხა, შემდეგ აჯობა იტალიელ ჯორჯო გალიმბერტის, რომელთანაც ერთად წყვილთა თანრიგში ნახევარფინალს უწია. მომდევნო ორი შეხვედრა ჩვენებურმა ხუან მარტინ დელ პორტოს და ივო მინარის მოუგო. ფინალში არგენტინელ კარლოს ბერლოსკის დააყრევინა ფარ-ხმალი – 7:6, 6:0.



ფორმულა-1

# და კვლავ ალონსო

**აბა, წარმოიდგინეთ, როგორი ბრძოლა უნდა გამართულიყო პირველობისთვის ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 56-ე მსოფლიო ჩემპიონატის მეათე ეტაპზე „საფრანგეთის გრან-პრი“, როცა მინი-კურის ავტოდრომზე ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსი იყო, ასფალტი კი 51 გრადუსამდე გახურებული.**

თუმცა „რენოს“, ესპანელმა პილოტმა, 23 წლის ფერნანდო ალონსომ ისეთი ტემპით დაიწყო, რომ 70-წრიანი რბოლის 308, 586 კილომეტრი ისე გაიქროლა, სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობა არავისთვის დაუთმია. ეს ალონსოს წლევანდელი მეხუთე გამარჯვებაა.

ფინიშთან მეორე „მაკლარენ-მერსედესის“ ფინელი მრბოლი კიმი რაიკონენი იყო, მესამე კი – შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი („ფერარი“).

10 ეტაპის შემდეგ კვლავ ალონსო ლიდერობს – 69 ქულა, მეორე ადგილზე რაიკონენია – 45, მესამეზე – შუმახერ-უფროსი – 40.

კონსტრუქტორთა თასზეც პირველ სამ ადგილზე მათი საჯინიბოებია: „რენო“ – 89, „მაკლარენი“ – 71, „ფერარი“ – 69 და ა. შ.



**სურათზე: „საფრანგეთის გრან-პრის“ ტრიუმფატორი ფერნანდო ალონსო.**

სპორტულ ორბიტაზე

# უიმბლდონზე – სამ-სამჯერ

**დასრულდა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო შეჯიბრება, მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად რომაა აღიარებული – უიმბლდონის ტურნირი.**

ვაჟთა ფინალში მსოფლიოს პირველმა ჩოგანოსანმა, შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა თითქოსდა იოლად დაამარცხა ამერიკელი ენდი რუდიკი – 6:2, 7:6, 6:4. ეს ფედერერის ზედიზედ მესამე გამარჯვებაა უიმბლდონზე. ამჯერად მთავარი პრიზთან ერთად მას 630 ათას გირვანქიანი ჩეკიც გადაეცა.

მესამედ, მაგრამ არა ზედიზედ, გახდა უიმბლდონის ჩემპიონი ამერიკელი ვინუს უილიამსსიც. მან ჯერ კიდევ მეოთხედფინალში ჩამოიშორა უიმბლდონის შარშანდელი ფავორიტი მარია შარაპოვა. ფინალში კი თანამემამულეს, ქალთა შორის პლანეტის პირველ ჩოგანოსანს ლინდსეი დევენპორტს დაუპირისპირდა. პირველი სეტი სწორედ მისი გამარჯვებით დამთავრდა – 6:4. მაგრამ შემდეგ სეტში ვინუსმა მაინც სძლია მეტოქეს 7:6, მესამე სეტში, როცა ანგარიში 4:3 იყო მის სასარგებლოდ ტრავმის გამო დევენპორტს კორტის დროებით დატოვება მოუხდა, ბრძოლის განახლების შემდეგ, თუმცა ლინდსეი ბევრს ცდილობდა, მაგრამ ველარ გაუძლო ვინუსის მძლავრ დარტყმებს – 7:9.

ამ გამარჯვებით უილიამს-უფროსმა გაიმეორა თავისი 2000 და 2001 წლების წარმატება. მისი ახლანდელი ნადავლი დიდ პრიზთან ერთად 600 ათასი გირვანქა სტერლინგია.



# სასიკვდილო დარტყმა

**შაბათს ლას-ვეგასში გარდაიცვალა 26 წლის მექსიკელი მოკრივე მარტინ სანჩესი, რომელიც წინა დღეს ნოკაუტში ჩააგდო „მანგუსტად“ ცნობილმა რუსეთელმა რუსტამ ნუგაევმა.**

როგორც თვითმხილველები ამტკიცებენ, მთელი ათი რაუნდის განმავლობაში ნუგაევი თითქმის „ცალ კარში ურტყამდა“ მექსიკელს, შემდეგ კი ისეთი დარტყმით „გაუშვა“ ნოკაუტში, რომ მარტინი ბაგირებს მიღმა რინგიდან გადავარდა, თუმცა შემდეგ წამოდგა და მეტოქეს გამარჯვებაც კი მიულოცა. ის თავისი ფეხით წავიდა გასახდელში. წინასწარი მონაცემებით, სიკვდილის მიზეზი ტვინში სისხლის ჩაქცევა იყო.



ბოლო ცნობილი ინცინდენტი, მოკრივის სიკვდილით რომ დასრულდა, ინდონეზიაში მოხდა. ორთაბრძოლიდან ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა ნოკაუტირებული 20 წლის ანტონიო მოზეს სერამი.

# რონალდო... ძველ სატრფოსთან

**თითქმის 700 ათასი ევრო დაუჯდა ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელს რონალდოს თავის მეორე საცოლესთან დანიელა ჩიკარელთან ნიშნობა, რომელიც პარიზის მახლობლად ძველ ციხე-დარბაზში გაიმართა ახლობლების ვიწრო წრისთვის, თუმცა... ოფიციალურ ქორწინებამდე ვეღარ მიაღწიეს. თვენახევრის წინ ისინი გაშორდნენ.**

მაგრამ „კიჭას“ დიდხანს არ უდარდნია. მან ძალზე მარტივი გზა გამონახა – მოძებნა თავისი ყოფილი გულისვარდი, პლეიბოის ვარსკვლავი ლივია ლემოსი, რომელსაც ბრაზილიელი ჩიკარელისთან შეხვედრამდე იცნობდა. ახლა რონალდოსა და 21 წლის ლემოსის რომანი ბრაზილიური პრესის მთავარი თემაა.



ჭიდაობა

# ჯერ – ვილნიუსში, შემდეგ – ვარშავაში

**მოხდა ისე, რომ ფილამ 2005 წლის კალენდარში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა. მსოფლიოს წლევანდელი პირად-გუნდური ჩემპიონატები თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში ახალგაზრდებს შორის ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში დანიშნა.** 6 ივლისს სტარტს აიღებს მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ჩვენი გუნდი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ნუგზარ სხირელისა და ჯონი ლორიას ხელმძღვანელობით ვილნიუსში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: 50 კგ კოკა კოტორაშვილი (თბილისი), 55 კგ – მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი), 60 კგ – მალხაზ ზარქუა (აფხაზეთი), 66 კგ – შალვა მუზიაშვილი (გორი), 74 კგ – აჩიკო ქიტიაშვილი (გურჯაანი), 84 კგ ნიკო გაგნიძე (თბილისი), 96 კგ – ზალიკო მარტიაშვილი (გორი), 120 კგ – ბაჩანა კარანაძე (რუსთავი).



დიღმის, ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში ვილნიუსის მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატისთვის მზადებას ამთავრებს საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის ახალგაზრდული ნაკრები. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა ვლადიმერ ადეიშვილმა და ვილიამ ხარაზოვმა ნაკრებში შეიყვანეს შემდეგი ფალავნები: 50 კგ – ლაშა გოგიტაძე (ქუთაისი), 55 კგ – რეზო ლაშხი (ბორჯომი), 60 კგ – ზურაბ ზავრაშვილი (რუსთავი), 66 კგ – ომარ ბაკურიძე (აჭარა), 74 კგ – ოთარ ფევაძე (აჭარა), 84 კგ – ვლადიმერ გეგეშიძე (თბილისი), 96 კგ – გივი მორჩილაძე, 120 კგ – ოთარ ბოლქვაძე (ორივე თბილისი). ვილნიუსიდან დაბრუნების შემდეგ, საქართველოს ორთავე ნაკრები გააგრძელებს მზადებას ევროპის ახალგაზრდული პირად-გუნდური ჩემპიონატისთვის, რომლებიც ვარშავაში ჩატარდება. 3-5 აგვისტოს. ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გამოვლენ, ხოლო 6-8 აგვისტოს მათ ბერძნულ-რომაული ყაიდის ფალავნები შეცვლიან.

**შალვა ქირია.**

## ალბომი

### ყველას რამე აქვს სახსოვარი



წარსულში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, 70-იან წლებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ავთანდილ ჭკუასელი (მარცხნიდან მეხუთე) სტუმრებთან წალენჯიხაში. 1977 წელი.

სურათი მოგვაწოდა ბურამ შელიამ.

## შევეწიოთ!

### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| რ. ჩანქსელიანი – ჩიქოვანი – | 100 ლარი; |
| ეკატერინე მაკარაძე – | 10 ლარი; |
| ი. მელქაძე – | 10 ლარი; |
| ჯ. ხომასურიძე – | 10 ლარი; |
| ე. ბიბილეიშვილი – | 10 ლარი; |
| ი. ტაბიძე – | 10 ლარი; |
| აკა, სოფო, ლიკა, მარიამ მიქელაშვილები – | 15 ლარი; |
| გიორგი თათრიშვილი – | 200 დოლარი. |

## გიხაროდეს!

### შვილო ჩემო, შენს გაზრდას მომასწრებს ღმერთი!

– ღიღია შვილის გაჩენით გაჩენილი სიხარული. ეს ღმერთისაგან მოძღვნილი სიხარული და შვება მალამოსავით მოეცხო ჩვენს ოჯახს, ამ დღეებში ბიჭი შემეძინა. ოჯახს კი შვილთა სიმრავლე ახარებს. მე და ჩემი მეუღლე ციალა ოთხი წელიწადი ველოდით შვილს. მან თბილისში ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში იმკურნალა, იქ კი იმედი მოგვცეს, შვილი აუცილებლად გეყოლებათო. მადლობა მათ, იმედის ასრულებისთვის!



– შვილო ჩემო, შენს გაზრდას მომასწრებს ღმერთი! – ასე ლოცავენ პატარა ბიჭს ჩემი მშობლები – მოგვახარა სენაკიდან გერონტი აბლოთიამ.

ნათელა ფაილოძე

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



თუ ჩვენს ნათელ მომავალსა და შავბნელ წარსულს შევაერთებთ, სწორედ ჩვენს რუხ დღევანდელობას მივიღებთ.

* * *

— სოფელში ისეთი რამ შემემთხვა!..

— მოკლედ მოყევი.

— მოკლედ, ბავშვი უკვე სამი წლისაა.

* * *

თუ შეიძლება მაშას სთხოვეთ ტელეფონთან?

— არ შეიძლება, იგი სამშობიაროშია.

— რა დაემართა?

* * *

გამოცდებამდე დღეებს ითვლიან, გამოცდების მერე — სტიპენდიას, გაზაფხულზე — სტუდენტებს.

* * *

— მიხო, — ეკითხება მასწავლებელი, — თუ შარვლის ერთ ჯიბეში 10 ლარი გაქვს, მეორეში კი 30, ეს რას უნდა ნიშნავდეს?

— იმას, რომ სხვისი შარვალი ჩამიცვამს.

* * *

გსურთ გაიგოთ, რით არის ლუდი „კოკა-კოლაზე" უკეთესი? სცადეთ ერთი საღამოს განმავლობაში ხუთი ლიტრი „კოკა-კოლას" დალევა.

* * *

— ვინა ხარ?

— სამსონი.

— რით დაამტკიცებ?

— შენი ყბის მონგრევით!

## მასპინძლობდა რუისი

# დედულეთის სითბო

**ქარელის რაიონის სოფელმა რუისმა და რუისელებმა, მეოთხედ აღნიშნეს უნიჭიერესი პოეტისა და მთარგმნელის ტატო ნინუას უკვდავსაყოფი დღე – „ტატოობა" და პატივი მიაგეს ისე, როგორც ეს ეკადრებოდა დედულეთს, ტატო ნინუამ რუისში აიდგა ფეხი, აქ დავაჟკაცდა, აქ შეიგრძნო სამყარო და სიყვარული ქართლის მიწისა.**

დედაუნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, თბილისის I საშუალო სკოლის (გიმნაზიის) პედაგოგები, კლასელები და კურსელები, ახლობლები და აღმზრდელები, ცნობილი პოეტები და მწერლები, ჟურნალისტები და ლიტერატორები უდიდეს მადლობას უხდიან საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში მიხეილ ქარელს, მის მოადგილეს ზვიად ხმალაძეს, ქარელის რაიონის გამგებელს გია ზანარდიას, ადგილობრივ ტელეკომპანია „თრიალეთს", თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის ყოფილ გამგებელს ავთანდილ დავითაძეს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა სოფელ რუისში, „ტატოობა" ღისეულად ჩატარებულიყო...

„დედარუისში" ჩამობრძანდნენ თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლები, გიმნაზიის პედაგოგები, მეცნიერები, პოეტები და მწერლები, მსახიობები და კულტურის სხვა მოღვაწეები, ფოლკლორული ანსამბლი „კელაპტარი" და „ჩვენებურები", მეზობელი სოფლების წარმომადგენლები...

ყველა გამომსვლელის სიტყვაში იგრძნობოდა ცრემლნარევი სინანული და გულისტკივილი, რომ ქვეყანას დააკლდა კაცი – რაინდი, პოეტი და ღირსეული მამულიშვილი...

ზეიმი ჭეშმარიტი პოეზიის დღესასწაულად იქცა, იყო გალობა და „როკვა" ქართველთა ერთად ყოფნაზე და სიცოცხლის გაგრძელებაზე, შეწირულთა უკვდავებაზე და სამშობლოს სიყვარულზე... ისმოდა თავად ტატო ნინუას ლექსთა სტრიქონები:

„ჯერ შენს სამშობლოს უნდა მისცე
ლექსები მსხვერპლად,
მის სამსხვერპლოზე უნდა დასდო
თავი – ზვარაკი
და მხოლოდ შემდეგ მოიპოვებ
ბედნიერებას!"

ამ ზეიმს მეტი ლაზათი და „სულის სიმშვიდე" შემატეს, რუის-ურბნისის მიტროპოლიტმა მეუფე იობმა და ღვთაების ეკლესიის მოძღვარმა მამა დავითმა...

ბოლოს, მასპინძლებმა სტუმრები მიიპატიჟეს „გიგაანთ უბანში", ტატო ნინუას სახელობის ქუჩაზე (სადაც ფეხი აიდგა), გივი პაპა სულხანიშვილის მიერ ნაბოძებ ძველ კარმიდამოში დაარსებულ ტატო ნინუას ფუძის დასათვალიერებლად...



**რუსუდან ჟანტურიშვილი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.**

## სიტუაცია

### სად უმკურნალებენ სნეულ ხალხს?

**ზუგდიდის** ფსიქონარკოლოგიური დისპანსერის თანამშრომლებმა გუშინ სამეგრელო-ზემო სვანეთის საპასპორტო-სარეგისტრაციო განყოფილების უფროსისგან მიიღეს სპეციალური წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ მათ უნდა დაცალონ ის შენობა, სადაც ამჟამად მუშაობენ.

ამასთან დაკავშირებით დისპანსერის თანამშრომლები 4 ივლისს გაიფიცნენ. საპასპორტო-სარეგისტრაციო განყოფილება ამჟამად ფუნქციონირებს ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს გვერდით შენობაში, რომელიც სტრუქტურულად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ დაწესებულებას ეკუთვნის და ამიტომ მათი სხვა შენობაში გადაყვანის საკითხი დადგა. ნარკოლოგიური დისპანსერის თანამშრომლები აცხადებენ, რომ შენობა, რომელსაც მათ სთავაზობენ, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს და იქ არანაირი სამუშაო პირობები არ არსებობს.

ინტერპრესნიუსი

## თითქმის ნატურიდან

# ახლა მგლების ჯერია

**მე მგონი, რაღაც შემეშალა – მეგონა ზოოპარკში შევედი-მეთქი, სინამდვილეში კი რაღაც კარუსელატრაქციონების სამყაროში აღმოვჩნდი. რა ვეფხვები, რის ფარშავანგები, აქ ნამდვილი „დისნეილენდი" გაუშენებიათ. მაგრამ არა ზოოპარკის ზემოთ – ვერეს ხეობაში, როგორც თავის დროზე ამ იდეის ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული, არამედ შიგ შუა ზოოპარკში.**

რა უჭირს მერე, ვთქვი ჩემთვის, როცა რეალობა გავაცნობიერე, აუცილებელი კი არ არის, ყველაფერი ისე გაკეთდეს, როგორც მწერალი ჩაიფიქრებს. ვერეს ხეობაში ქალაქი გაშენდა, იქ დისნეილენდისთვის, როგორც ჩანს, ადგილი აღარ დარჩა და ზოოპარკში ამიტომაც განათავსეს. ასე რომ, ბევრიც რომ ეცადო, თბილისური „დისნეილენდის" მეორად ავტორებს ვერ შეედავები.

შეედავები კი არა, პირიქით, თუ კარგად ჩაუკვირდები, იმ დასკვნამდე მიხვალ, რომ შეიძლება „დისნეილენდის" პირველ ვარიანტს სულაც მეორე სჯობდეს. ბოლოს და ბოლოს, იქ მარტო ბავშვები გაერთობოდნენ, ამ შემთხვევაში კი მხეცებიც „გაკაიფდნენ". თუმცა, ამ უკანასკნელთ თვალებში რომ შევხედე, რაღაც მოწყენილები მეჩვენნენ. ეს, ეტყობა, პატარ ბიჭმაც შენიშნა, როცა იკითხა:

**– ბებია, ბებია, ეს მელა პენსიონერია?**

– არა, შვილო, ზოოპარკში პენსიონერებს რა უნდათ.

**– აბა აბუზული და ნეკნებგალასტული რომ არის?**

– ვერ გეტყვი ბებია, ალბათ, ასეთი ჯიში აქვს, – სცადა აბეზარი კითხვებისგან თავის დაძვრენა ქალბატონმა, ბიჭს ხელი მოკიდა და ტურების გალიასთან მიიყვანა.

– მომენტით ვისარგებლე და მარტო დარჩენილ მელას გამოველაპარაკე:

**– გაიგე, ბიჭმა რა იკითხა?**

– გავიგე, მაგრამ თავი მოვიმძინარე.

**– რატომ, მართლა პენსიონერი ხარ?**

– კი, უკვე წელიწადზე მეტია, პენსიაზე გამიშვეს.

**– მიზეზი?**

– ვითომ არ იცოდე – რეფორმას ვატარებთო.

**– სადა, კაცო, ზოოპარკში?** – გავიკვირვე.

– ჰო, რას შეიცხადე, ვერა ხედავ, საატრაქციონო ბიზნესის რა გნიასია? შეიძლება ნადირ-ფრინველს იმდენად არა, მაგრამ მაგათ რეფორმა ნამდვილად სჭირდებათ.



**– სწორი ხარ**, – დავუდასტურე, – **თანაც გამოცდილი ჩანხარ, ადრე სად მუშაობდი?**

– იჰ, სად აღარ. წინა ხელისუფლების დროს კანცელარია, პარლამენტი, საგადასახადო თუ საბაჟო – ყველა შემოვიარე.

**– ახლა შენ ადგილზე ვინ გაუშვეს?**

– მგელი. საერთოდ, მელიების და ტურების ადგილზე ახლა ყველგან მგლები სხდან.

**– რატომ, ხომ არ იცი?**

– ახლა მგლების ჯერიაო!

**– ქურქის გადაკეთება არ გიცდიათ?**

– არა, რას ამბობ, იმაზეც მადლობლები ვართ, რომ არ დაგვიჭირეს.

– მელა მაინც მელაა, მთავრობის საწინააღმდეგოს ვერაფერს წამოაცდევინებ, გავიფიქრე და მაიმუნების გალიასთან გადავინაცვლე. რგოლზე ჩამოკიდებულ გორილას ნაშიერი აეტაცებინა და, როგორც სჩვევია, სასაცილოდ იჭყანებოდა. თავიდან თვალი ამარიდა, მაგრამ რომ არ შევეშვი, იძულებული გახდა, დამლაპარაკებოდა.

– რას გადამეკიდე, რა გინდა? – მკითხა ამრეზით.

**– ეგ ჩვილი ვისია?**

– ჩემია.

**– გალიაში მამრი რომ არ ჩანს, საიდან?**

– იქიდან! – ცდილობს მომიცილოს.

**– ნაშვილებია?** – არ ვეშვები.

– არა, ლომისგან შემეძინა.

**– ლომს მაიმუნების გალიაში რა უნდოდა?** – შევიცხადე.

– მიდი აბა ჰკითხე, ამბობს ნადირთა მეფე ვარო, თანაც დემოკრატიო. უარს ვერ ეტყვი, როცა მოეპრიანება, მაშინ შემოალაჯებს.

**– დაცვა არა გყავთ?**

– ჩვენ არა, თვითონა ჰყავს.

**– სხვებთანაც შედის?**

– ყველასთან, ვისთანაც მოისურვებს. აგე, ამას წინათ, მაჩვზღარბას მაგისგან ბოკვერი ეყოლა. ძალიან გაუჭირდა, კინაღამ მუცელს გადაჰყვა.

**– მერე, პროტესტი არ გამოუთქვამს?**

– არა, რა თქმა უნდა, ჩვენ ზოოპარკელები ვართ, უნივერსიტეტელები ხომ არა, რომ საპროტესტო აქციები მოვაწყოთ და წარმატებით მიმდინარე რეფორმა ჩავაგდოთ.

ოთარ ხუციშვილი

**მწერალთა სასახლის გადასარჩენად**

6 ივლისს, ოთხშაბათს, 12 საათზე, საქართველოს მწერალთა კავშირის წინ (მაჩაბლის ქ. 13) გაიმართება მიტინგი მწერალთა სასახლის გადასარჩენად.

გთხოვთ, მობრძანდეთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

## სულთათანა

# პირველი ნაჩქარევი ნაბიჯი

არა-მეთქი.

ვერ დავწერ.

საკუთარ თავს ვუთხარი უყოყმანო უარი.

სულ ასე ვფიქრობდი.

ახლაც დარწმუნებული ვარ:

ცოდვა თუ არა უსამართლობაა, არც ისე დიდი ხნით, მაგრამ მაინც უმცროსზე, შენზე ახალგაზრდაზე წარსულში საუბარი.

არადა, არც დუმილი იქნება სამართლიანი.

ისევ თქმა სჯობს, თუნდაც სულ მოკლედ, ზოგადად, დაუკონკრეტებლად.

ისიც ისეთ კაცზე, როგორიც **გიგა მიხეილის ძე კაკაბაძე** იყო.



ოცდაათი წლის წინათ გავიცანი.

აქედან ოცი წელი ვიშრომეთ ერთ რედაქციაში, ერთმანეთის გვერდით.

ამიტომაც დამეჯერება.

ჰქონდა საკუთარი გზა. ბევრისგან განსხვავებული, თავისებური. მიხვეულ-მოხვეულები არ უყვარდა. არც მიმბაძველი ყოფილა, არც მაამებელი, პირმოთნე.

მშვიდი. უხმოდ შეუპოვარი.

ხმის აუწევლად, მაგრამ ღირსების გრძნობით ამბობდა ნებისმიერ სათქმელს – ყველაზე საამოსაც და ყველაზე მწარესაც.

ერთნაირი პირდაპირობით – თანატოლთან, დიდმოხელესთანაც.

გასცემდა მეტს, ვიდრე იღებდა ყოველდღიურობაში დიდებული მამის ღირსეული შვილი.

სულ აფორიაქებული, სულ დროის სიმცირით შეწუხებული.

მიზეზთა გამო ბევრი უნდა მოესწრო. თითოეულ ჩვენგანზე მეტი ჰქონდა საფიქრალი, საზრუნავი, მოსაგვარებელი და მოსაწესრიგებელი.

ტრაგიკულს ვერ დაარქმევ გიგა კაკაბაძის სამოცწლიან ცხოვრებას.

ვერც ბოლომდე ბედნიერად მონათლავ.

ერთიც საკმარისად ჰქონდა და მეორეც მისნაირი ადამიანებისთვის მეტად მოკლე წუთისოფელში.

შრომა უყვარდა. მოსდგამდა ნიჭი.

ბოლო რამდენიმე წელი ქვეყნის ამბები საზღვრებს იქით გაჰქონდა რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტს.

საერთოდ მიღებულია: მიცვალებულზე მხოლოდ კარგს ამბობენ; უარეს შემთხვევაში კბილს კბილზე აჭერენ, თავაზიან დუმილს ირჩევენ.

გიგა კაკაბაძესთან ზედმეტი, უადგილოა ასეთი წესი თუ ადათი.

ისედაც არასდროს ითხოვდა შელავათს – ერთგული, უღალატო.

მხოლოდ ერთხელ აჩქარდა.

ამქვეყნიურობიდან წასვლა იყო მისი პირველი ნაუცბათევი ნაბიჯი.

უკანასკნელიც!

როზერტ ძერია



სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების მთავარი სპეციალისტი

ცეცილია გრიგოლის ასული მაღრაძე

დაკრძალვა: 7.VII 15 სთ, ქ. ხარაგაული, ჭავჭავაძის ქ. № 9.

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი თანაუგრძნობს ქალბატონებს მაისო ხატიაშვილსა და დალი ხოხაშვილს ბატონ

დიმიტრი ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მამალაძეების გვარის საზოგადოება და მთავარი საბჭო მწუხარებით თანაუგრძნობს ბატონ ლევან მამალაძეს მამის, გვარის თავკაცისა და საზოგადოების პრეზიდენტის

ლევრი ისიდორეს ძე მამალაძის

გარდაცვალების გამო.



შვილები მიხეილი (დათო), ლია, მალხაზი ადეიშვილები, რძლები ხათუნა მაისაშვილი, ანა ხარაძე. შვილიშვილები ელისაბედი (ლიზი), ანდრი, ნანა ადეიშვილები, მაზლები ჭიჭიკო და ვასილ ადეიშვილები. მაზლისცოლები თამარი, ლილი, ნანა, ლამარა და ლალი. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, მულიშვილები, მაზლიშვილები, მძახლები ლერი და ლალი მაისაშვილები, გივი და ნანა ხარაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზულიკო (ლამარა) მიხეილის ასული მაღრაძე-ადეიშვილისა

პანაშვიდი 5, 6, VII, 17 საათზე, დაკრძალვა 7.VII, 15 საათზე. მისამართი: დიღმის მასივი, რობაქიძის გამზირი II კვარტალი, VII [ბბ] კორპუსი, I სადარბაზო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომლის ლიანა ადეიშვილის დედა

ლამარა მაღრაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური – 022;**
**გენერალური პროკურატურა – 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;**
**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.**

## ამინდი

| 5 ივლისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 36° | 20° |
| ბათუმი | 35° | 20° |
| სოხუმი | 35° | 20° |
| ქუთაისი | 36° | 21° |
| თელავი | 34° | 20° |

## ლარის კურსი

**4 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3,2052 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8200 ლ. |
| ევრო | 1 | 2,1689 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0632 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0,3869 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4127 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6036 ლ. |

## დღის კალენდარი 5 ივლისისთვის

☼ ამოდის 04.30, ჩადის 19.38

) ამოდის 03.00, ჩადის 19.21

**წლის 186-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 179 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება წმიდა მღვდელმოწამისა – ევსევი სამოსატელი ეპისკოპოსისა (303); წმიდა მოწამეთა: ზენონ და ზინასი (304); გალაქტიონ და იულიანესი.**

**დაიბადნენ:**

**1846 – ნიკალაი მიკლუხო-მაკლაი,** რუსი მეცნიერი, მოგზაური და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1888 წელს.

**1847 – გიორგი იოსელიანი**, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1919 წელს.

**1889 – ჟან კოკტო**, ფრანგი მწერალი-ავანგარდისტი, კინორეჟისორი, მსახიობი და მხატვარი. გარდაიცვალა 1963 წელს.

**1911 – ჟორჟ პომპიდუ**, საფრანგეთის პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1974 წელს.

**1930 – ნილ არმსტრონგი,** ასტრონავტი, პირველი ადამიანი, რომელმაც მთვარეზე დადგა ფეხი.

**1940 – ნაზი შამანაური**, ცნობილი ჟურნალისტი, 1983 წელს საბჭოთა რეპრესიული სისტემის მსხვერპლი გახდა.

**გარდაიცვალნენ:**

**1911 – ჯორჯ ჯონსტონ სტონი**, ირლანდიელი ფიზიკოსი და მათემატიკოსი.

**1969 – ვალტერ გროპიუსი**, გერმანელი არქიტექტორი.

**მოვლენები:**

**1811 წელი** – ვენესუელამ, რომელიც ესპანეთის კოლონია იყო, დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**1975 წელი** – ამერიკელი არტურ ეში პირველი შავკანიანი ჩოგბურთელი იყო, რომელმაც უიმბლდონის ტურნირზე გამარჯვება მოიპოვა.

**1986 წელი** – მოსკოვში ტედ ტერნერის ინიციატივით გაიხსნა კეთილი ნების თამაშები.

მედია-ნიუსი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK